კვ. ეროსტავი

ნაკრებული ყური

ისტორია

პარიზი
1958

ნაწილი და ყალბი ისტორია.

პატარა შენიშვნა.

1956 წელს, მე დავწერე წიგნი სათაურით: «გამოცხადება და დამკვიდრება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის». წიგნი ერთავად განკუთვნილი იყო უცხოელებისათვის. ამან განსაზღვრა მისი ენაც და შინაარსიც. ის უნდა დაწერილიყო რომელიმე უცხო ენაზე, რომ მისი წაკითხვა შესაძლებოდა მეტ მკითხველს. ასეთ ენათ მე ავირჩიე რუსული ენა. ერთი იმიტომ, რომ რუსული ენა საკმარისად ვიცი, და მეორეც იმიტომ რომ ამ ჟამად ემიგრაციაში ასი ათასობით არიან ე. წ. ყოფილი ტყვეები საბჭოთა რუსეთიდგან და რუსული ენა ყველამ კარგად იცის. მათთან ხშირი შეხვედრების დროს, ჩემთვის აშკარა გახდა, რომ მათ ან სულ არ იციან და თუ იციან კანტი-კუნტად ყოველივე ის რაც მოხდა ჩვენს ქვეყანაში თებერვლის რევოლიუციის დროს, განსაკუთრებით ოქტომბრის გადატრიალებამდე. ამას ემატებოდა ისიც, რომ თვით უცხოეთში, თითქმის ყველა ქვეყნების მართველობაში მოვიდენ უმეტესად ახალი პირები, რომლებმაც არც კი იციან ხეირიანად რა მოხდა ამ 30-40 წლის წინეთ რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე, და თუ იციან მხოლოდ ზოგადათ. ხშირი ყოფილა შემთხვევა, როცა ჩვენს მთავრობას ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმომადგენელისათვის მიუმართავს—მას უთხოვია: გთხოვთ აღნიშნოთ ყოველივე რაც შეიძლება დაწერილებით და გადმოგვცეთო. და ჩვენი მთავრობა ხშირად, ძალიან ხშირად. ურდგენდა რა ხვადასხვა მთავრობას მემორანდუმს—ამ მემორანდუმებში მუდამ და ყოველთვის აღნიშნავდა შესაფერი ახსნა-განმარტებით იმ ისტორიულ დატებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში.

მართალია, ყველა მიმართულების ემიგრანტულ გაზეთებში დაწერილია ბევრი რამ ჩვენი ქვეყნის იმ ხანის შესახებ, მაგრამ უფრო მეტწილად, როგორც კერძო ეპიზოდები. მთლიანად მოთხრობილი, ერთად თავმოყრილი ყველა მნიშვნელოვანი მხარე ჩვენი რესპუბლიკის დაარსება-ცხოვრებისა აქამდე არსად ყოფილა.

რაკი წიგნი ერთავად უცხოელებისათვის იყო განკუთვნილი—აქ მარტო ლიტონი სიტყვები არ კმაროდა. ევროპის ხელმძღვანელ წრეებმა იმდენი რამ მოისმინეს ემიგრაციის გახანგრძლივებულ მანძილზე, რომ მათ «კბილი მოკვეთა» ავტორების კეთილმა და ლამაზმა აზრებმა. ამიტომ ავტორის პირად აზრსა და შეხედულებას აღარ ეძლევა იმდენი მნიშვნელობა. ამან განსაზღვრა წიგნის შინაარსიც: იგი უნდა ყოფილიყო, უთუოდ, დოკუმენტალური, თუ მინდოდა, მას თავის დანიშნულება შეესრულებია. მართალია, ეს აკლევდა წიგნს დოკუმენტების და სხვისი სიტყვების თუ აზრების კრებულათ, მაგრამ, ვიმეორებ, შექმნილ მდგომარეობაში, ასეთ მონოგრაფიებს ათასჯერ მეტი მნიშვნელობა ეძლევა, ვინემ, თუ გინდ, უმაღლესი პოეტური აღმაფრენით დაწერილ მოთხრობას თუ მიმოხილვას. ამ რიგად, როგორც ენა, ისე შინაარსი ჩემი წიგნისა, წინასწარ განისაზღვრა ზემოთ აღნიშნული მიზნებით.

ამას დაემატა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სპეციფიური მოტივიც. ემიგრაციაში დაიწყო მოლაპარაკება სხვადასხვა ერების წარმომადგენელთა მუშაობის კოორდინაციის შესახებ. მოლაპარაკების პროცესში წამოიჭრა ეროვნული საკითხი, რომლის შესახებ თავი იჩინა სხვადასხვა შეხედულებამ, ხშირად ერთი მეორეს საწინააღმდეგომ. მაგალითად, გამოირკვა რომ რუსის ემიგრაცია არ სცნობს, რომ რუსეთში მობინადრე ერების დამოუკიდებლობა გამოცხადებული იყო თანახმად ამ ერების სურვილისა და დადგენილებისა; რომ ისინი დამოუკიდებლობის მოთხოვნას სთვლიან პარტიების პროგრამულ მოთხოვნილებათ და არამც და არამც არა ხალხის სურვილის თანახმად დადგენილებათ. ამ საკითხში სოციალისტებიც-კი აკეთებენ მხოლოდ ერთ გამონაკლისს—გამონაკლისს საქართველოსათვის: სოციალისტები სცნობენ და აღიარებენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადებული იქნა თვით ქართველი ხალხის მიერ, ამიტომ, იზიარებენ თუ არ იზიარებენ არსებითად, სცნობენ მას და მხარსაც უჭერენ და იძულებული იქნებიან დაუჭირონ შემდეგშიც თუ უნდათ დარჩენ სოციალისტებათ. რაც შეეხება ყველა სხვა ერებს—სხვებთან ერთად ესენიც ითხოვენ, რომ კომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ მოწვეული იქნეს ადგილობრივი დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა დაადგინოს რა უნდა მას—გამოყოფა—თუ დარჩენა რუსეთის საერთო ფარგლებში. დავის პროცესში ისიც იქნა განცხადებული რომ უცხოელი

პასუხისმგებელი პირები საკითხის ამ მხარეს მეტად დიდ ყურადღებას აქცევენ. ამიტომ წიგნის დოკუმენტალობას გადამჭრელი მნიშვნელობა ეძლევა და ჩემი წიგნის თითქმის სამი მეოთხედი სწორეთ რომ დოკუმენტებს უჭირავს.

ყოველივე ზემოთ მოთხრობილმა განსაზღვრა ისიც, თუ რა ხანას უნდა შეხებოდა წიგნი. ის უნდა შეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ ხანას რომელშიდაც გამოცხადდა და არსებობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მოკლეთ: უნდა დაწერილიყო 1917 წლის დიდი რევოლიუციის ერთი ნაწყვეტი—როგორი ხასიათი მიიღო რევოლიუციამ ამიერ-კავკასიაში და რა შედეგები მოჰყვა მას. თქმა არ უნდა, ამ უდიდესი და მეტად დრამატიული ეპოქის აღწერა ერთ წიგნში შეუძლებელია. ამიტომ მნიშვნელობა ჰქონდა დასაბეჭდი მასალის შერჩევას და ამავე დროს მისი რაოდენობის განსაზღვრასაც, რადგან დიდი და სქელ ტანიანი წიგნების გამოცემა ემიგრანტულ პირობებში პირდაპირ შეუძლებელი ხდება.

მაგრამ მარტო დაწერა როდი კმაროდა. საჭირო იყო მისი გამოცემა. პირადათ მე მას, რასაკვირველია, ვერასოდეს ვერ გამოვცემდი უსახსრობის გამო. უნდა მიმემართა ვინმესათვის. ამ მხრივ ყველაზე საინტერესო იყო, თუ მას გამოსცემდა მიუნჰენში არსებული «საბჭოთა ისტორიის შემსწავლელი ინსტიტუტი». რატომ იქნებოდა ეს ყველაზე უკეთესი? ერთი იმიტომ, რომ ის არის დიდათ გავლენიანი და ავტორიტეტიანი დაწესებულება. მას დიდ ანგარიშს უწევენ ყველა ქვეყნის პასუხისმგებელი და კულტურული ორგანოები. ინსტიტუტი არ სცემს წიგნებს ბაზარზე გასასყიდათ. ის უფასოთ უგზავნის თავის გამოცემებს მთავრობებს, უნივერსიტეტებს, პარლამენტებს, ბიბლიოთეკებს, ჟურნალ-გაზეთებს, კერძო ცნობილ მწერლებს და ავტორიტეტულ დეპუტატებს და სასულიერო პირებს. ერთი სიტყვით ყველა იმათ, ვინც დღეს მეთაურობს და სწყვეტს მსოფლიო საკითხებს და საყოველთაოთ ცნობილია, რომ ამ ინსტიტუტის გამოცემანი ყველა ამათში უდიდესი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობს.

მეორე დიდი ღირსება ამ ინსტიტუტის ისაა, რომ მის ხელმძღვანელობაში შედიან ყველა იმ ერების ემიგრანტების წარმომადგენელნი, რომელნიც ბინადრობენ ყოფილ რუსეთის იმპერიის სივრცეზე და 40 წელიწადია აწარმოებენ შეუწყვეტელ ბრძოლას თავის ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ასე რომ, ინსტიტუტი არის არა მხოლოდ ანტი-კომუნისტუ-

რი დაწესებულება, არამედ ორგანო, სადაც თავმოყრილია 14 ერის ემიგრაციათა წარმომადგენელნი, მათ შორის, რუსებისაც. მართალია, ემიგრაციის ეს წარმომადგენლობა არ შეიცავს ამა თუ იმ ერის ემიგრაციის საერთო წარმომადგენლობას მთლიანად, მაგალითად უკიდურეს მემარჯვენეებს, ფაშისტებს და სხვ., მაგრამ საერთოდ, ყველა ერის ემიგრაციის პროგრესიული ნაწილის მეთაურობა აქ არის თავმოყრილი და საერთო ძალით ეწევიან ინსტიტუტის ფარგლებში, საერთო აკადემიურ მუშაობას კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

ამ ერების წარმომადგენლებთან ერთად, ინსტიტუტის მუშაობაში უდიდეს მონაწილეობას იღებს აგრეთვე «ამერიკული კომიტეტი». მართალია, ეს კომიტეტი არის კერძო საზოგადოებრივი დაწესებულება, მაგრამ ყველამ იცის, რომ ის მჭიდრო კავშირშია ამერიკის საგარეო სამინისტროსთან და ამერიკა ხომ დღეს უდაო ლიდერია მთელი თავისუფალი კაცობრიობის. ამ რიგად, ინსტიტუტი სამეცნიერო, ინსტიტუტი ყველა დაჩაგრულ ერთა, მათ შორის რუსების და თან «ამერიკული კომიტეტის» პირდაპირი და აქტიური მონაწილეობით—ეს ისეთი დაწესებულებაა, რომლის ყურადღება და თანაგრძნობა—მეტად ძვირფასია. და აი, ასეთ დაწესებულებასთან კავშირი და მისი თანაგრძნობის მოპოება სანუკვარი უნდა იყოს ყველა იმათთვის, ვინც ეძებს თანაგრძნობას და დახმარებას თავის ქვეყნისათვის ბრძოლაში. და ჩვენ გვაქვს სრული საბუთი განვაცხადოთ, რომ როგორც ამ «ამერიკულ კომიტეტ»-ში, ისე ამ ინსტიტუტში, ჩვენი კავშირი, ჩვენი ურთიერთობა იმდენად მჭიდრო და მყარეა, რომ როცა დადგება დრო და ჟამი—საქართველოს საკითხს ერთი უდიდესი დამცველი და ქომაგი სწორედ აქ ეყოლება. და აი ასეთი დაწესებულების გამოცემულ წიგნს, სადაც იქნებოდა დოკუმენტალურად ყოველივე ის, რაც ადასტურებს და უდაოთ ხდის, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა სრულიად «კანონიერ ფარგლებში»; რომ ის ქართველმა ხალხმა აღიარა ერთხმად და ეს კიდევაც გამოხატა თავის კონსტიტუციაში თავისუფალი არჩევნებით, ყოველგვარი ძალადობის გარეშე; რომ რესპუბლიკა აეგო უაღრესად დემოკრატიულ საფუძველზე; რომ ის ცნობილი იყო 28 სახელმწიფოს მიერ, მათ შორის ყველა დიდი სახელმწიფოების და თვით საბჭოთა მთავრობის მიერ; რომ მას ჰყავდა სრულუფლებიანი ელჩები უცხო სახელმწიფოებთან და, რომ ის სამი წლის

ბედნიერი ცხოვრების შემდეგ დაპყრობილი იქნა მოსკოვის მიერ, რომელიც დღემდე აწამებს ქართველ ხალხს—ვიმეორებ, თუ ასეთი ავტორიტეტიანი ინსტიტუტი და მასში მონაწილე 14 ერის წარმომადგენელი, ამათში თვით რუსების და თვით «ამერიკული კომიტეტი»-ც, მიაწოდებდენ თავის მაღალ კვალიფიციურ მკითხველს საქართველოს შესახებ ასეთი შინაარსის წიგნს,—ამით, უეჭველია, ბოლო მოელებოდა ყოველგვარ რყევას და რამდენიმედ მაინც წყალს დაუშრობდა იმ ბოროტ სისინს ჩვენი ქვეყნის მიმართ, რომელსაც ადგილი აქვს აქა-იქ.

ამიტომ, მე დიდათ კმაყოფილი დავრჩი როცა ინსტიტუტი დასთანხმდა ჩემი წიგნის თავისი ფირმით გამოცემაზე. მაგრამ სანამ გამოსცემდა, თანახმად ინსტიტუტის წესდებისა. ის გადასცეს გასაცნობად და თავის დასკვნისათვის ინსტიტუტის გამგეობის ერთ-ერთ ეროვნების წევრს, რომელმაც დიდი დადებითი დაფასება მისცა და დაუმატა: «ამ წიგნის გამოცემას ჩემი ერის სახელით მეც უერთდები. რადგან იგი ეხება ისეთ საკითხს, რომელიც დიდ ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვისაც და თან ისეთი ერთა შორის სიყვარულით და პატივისცემით არის დაწერილი, რომ მას დადებითი გავლენა ექნება ამიერ-კავკასიის ერების ურთიერთობაზე»-ო. (პირი ამ ვრცელი რეცენზიისა ჩემს ხელთ არის). ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილებამ, რომლის თავმჯდომარე იყო უკრაინელი პროფესორი მარტოსი, ერთხმად დაადგინა გამოსცეს ჩემი წიგნი ინსტიტუტის სახელით. ინსტიტუტის მიერ მისი გამოცემა, მართლაც რომ დიდი დახმარება იყო ჩვენი ქვეყნის საკითხის საპრაპაგანდოთ. ამიტომ, დარწმუნებული ვიყავი ეს წიგნი, როგორც თავის შინაარსით, ისე იმით რომ ის გამოსცა ინსტიტუტმა თავისი ფირმით—ყველა ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტში სათანადო კმაყოფილებას გამოიწვევდა. სინამდვილეში კი მოხდა უცნაური ამბავი. როგორც კი დაიბეჭდა წიგნი და მიიღეს პარიზში, ჩვენი ემიგრაციის ნაციონალისტური ფრთა ყალყზე დადგა და მოახდინა ისეთი აქტები, რომლის ავტორობა შეიძლება მხოლოდ ყოველგვარი გონიერების დაკარგვით. შეიკრიბენ ცალკე, ემიგრაციის სხვა ნაწილის გაუგებრად და მიიღეს საზიზღარი დადგენილება, სადაც, მე როგორც ავტორს და რ. არსენიძეს, როგორც გამოცემის ფაქტიურ რედაქტორს—გვაცხადებენ რუსების აგენტებათ და უხმობენ თავის ლაშქარს «დაჭგმნ სასტიკად, რომ მსგავსი აღარ განმეორდეს». თვით ინსტიტუტს უთვლიან

დიდ საყვედურს ასეთი წიგნის გამოცემისათვის და აცხადებენ მას «პრო-რუსულ დაწესებულებათ»!

ესეც არ იკმარეს და ახლა ზედი-ზედ მიაყოლეს ორი წიგნი. ერთი რუსულად და მეორე—ქართულად. ქართული წიგნის ავტორია—დავით ვაჩნაძე, რუსულის—რევაზ გაბაშვილი. ესენი ორნი არიან,—ტოლნი არიან, ერთად მოდიან—მოიმღერიან, როგორც იტყვიან. და მართლაც—ესენი მუდამ ორნი და ტოლნი იყვენ—იქაც საქართველოში და აქაც ემიგრაციაში და სადაც არ უნდა იყვენ ყველგან ერთნაირად მღერიან. ორივე წიგნი თითქოს პასუხია ჩემს წიგნზე, მაგრამ პასუხი აღსავსე ავლაბრული ლანძღვა-გინებით და ქუჩური ლექსიკონით, რომელიც ახასიათებს ავტორების ლიტერატურულ გემოვნებას და პოლიტიკურ რიგიანობას. ჩვენ არ გვინდოდა ამ პასკვილებზე პასუხის გაცემა, მით უფრო, რომ ჩვენ გვაქვს საბუთი, განვაცხადოთ, რომ ვინც წაიკითხა ეს წიგნაკები, განსაკუთრებით რუსული—უკვე მისცა მათ ღირსეული დაფასება. ერთმა უცხოელმა ნაცნობმა, რომლისათვის გაბაშვილის წიგნი ფეშქაშათ მიურთმევიათ, გადმომიგზავნა მე ასეთი წარწერით: «ნამდვილი ბოდვაა. მე ვერ შევსძელი მისი ბოლომდე წაკითხვა. დაათავეთ თქვენ ჩემს მაგიერ». «ბოდვაზე» პასუხის გაცემა მართლაც ზედმეტია, მაგრამ ამ წიგნაკებში იმდენი სიყალბეა, ისეთი დამახინჯებაა სინამდვილის, რომ მისი გასწორება მაინც სავალდებულოდ მივიმჩნიე.

წიგნაკების ავტორები ყველაზე მეტად იმის დამტკიცებას ლამობენ რომ თითქოს ეროვნული საკითხის, ეროვნული ჭირ-ვარამის მუდმივი ჭირისუფალნი და ქომაგები იყვენ ისენი და მხოლოდ ისენი. ამისათვის აკეთებენ საკითხის ისტორიაში გრძელ ექსკურსიას და გზადაგზა ყოველივეს ისე ამახინჯებენ და აყალბებენ, რომ იძულებული ვხდებით ჩვენც შორიდან დავიწყოთ და მკითხველს მივაწოდოთ ნამდვილი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იდგა ეს საკითხი ისტორიის მანძილზე, როგორ განვითარდა ის და რა ცვლილება განიცადა მან თავის განვითარების ხანგრძლივ მსვლელობაში. შემდეგ კი შეეცდებით, თუ ყველა ვერა,—ნაწილობრივ მაინც შევასწოროთ ის დამახინჯებანი, რომლებიც ეხება თვით ჩვენი რესპუბლიკის არსებობას.

ამ უკანასკნელი 170 წლის განმავლობაში, ჩვენმა ქვეყანამ სამი ძირითადი ცვლილება განიცადა. ეს ცვლილებები იმდენად ღრმა და მნიშვნელობისაა თავის სოციალ-პოლიტიკური შინაარსით და ზე-გავლენით, რომ არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ მის შედეგათ შეიქნა სამი სრულიად სხვადასხვა საქართველო. პირველი ცვლილება მოხდა მაშინ, როცა საქართველომ სამეფო დაკარგა და შემოვიდა რუსეთი. მეორე ცვლილება მოხდა მაშინ, როცა აღვადგინეთ ჩვენი დამოუკიდებლობა და რუსეთი გავიდა. მესამე ცვლილება მოხდა, როცა ისევ დავკარგეთ დამოუკიდებლობა და რუსეთი ისევ შემოვიდა საბჭოების სახით. ეს სამი ხანა—სამი უდიდესი ეპოქაა. არც ერთი არ ჰგავს მეორეს. პირიქით, ეწინააღმდეგება და უპირდაპირობა ერთიმეორეს. თვითეული ამათგანი შენდება სრულიად ახალ სოციალურ საფუძველზე და გვირგვინდება შესაფერი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წყობილებით.

ამ ცვლილებათა ცალ-ცალკე განხილვა, დადარება ერთიმეორეს, მეტად საინტერესო თემაა, მაგრამ ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ამაზე. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვიდან მის აღდგენამდე მეტად გრძელი ისტორიული მანძილია. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში იმდენი და ისეთი მრავალმხრივი ცვლილებები მოხდა, რომ მის აღსანუსხავად მთელი ტომებია საჭირო. ამიტომ ყველა იმ საკითხებში, რომლებიც ამ ეპოქებში წარმოიშვა, ჩვენ ვეხებით აქ მხოლოდ ერთ საკითხს—ესაა საკითხი დამოუკიდებლობის, საგითხი სუვერენიტეტის. ესეც, რასაკვირველია, დიდი და რთული საკითხია, ამიტომ მე არ მაქვს არავითარი პრეტენზია, რომ შევსძლებ მის ამოწურვას.

ამ საკითხის სათანადოთ გაშუქებაში მთავარი ადგილი უჭირავს საქართველოს ურთიერთობას რუსეთთან. რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს ურთიერთობა დაიწყო ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ, მე-18 საუკუნის ბოლომდე ის მხოლოდ ლაპარაკის სფეროში ტრიალებდა და არავითარი პრაქტიკული შედეგი მას არ მოჰყოლია. რეალური შედეგი მოჰყვა მხოლოდ ერეკლე მე-II მეფობის დროს, როცა ერეკლესა და ეკატერინე მე-II შორის დაი-

დო ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია ჩვენში ერეკლე მეფის ტრაქტატის სახელით. მართალია, ეს ტრაქტატი საქართველოს მთელ რიგ მოვალეობას აკისრებდა, მაგრამ ის მაინც მხოლოდ ნაწილობრივად ზღუდავდა ერის სუვერენობას. ასე რომ, დღევანდელი ლექსიკონით რომ ვსთქვათ—ეს იყო მხოლოდ პროტექტორატი. დამოუკიდებლობის მოსპობა კი მოხდა მეფე გიორგი მე 12 დროს.

რამ გამოიწვია და რა მიზეზებით აიხსნება ჩვენი ერის ისტორიის ასეთი მოულოდნელი ძირითადი გარდატეხა?

ამ საკითხზე ბევრია დაწერილი, ბევრია თქმული, მაგრამ ზოგი რამის აქ აღნიშვნა, მაინც საჭიროდ მიმაჩნია.

საქართველო დასცა ფეოდალურმა რეჟიმმა. რეჟიმი ანგრევს ერს. ეს არის ფაქტი დაურღეველი. ასეთი მოვლენა ხშირია ისტორიაში. როცა ერი ვერ ერევა თავის დამპალ წყობილებას და მას ემორჩილება—მახინჯდება თვითონაც და ვარდება უფსკრულში. ფეოდალური რეჟიმი მსგავსად საქართველოისა ბატონობდა დასავლეთ ევროპაში მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. მაგრამ ამ ორ მოვლენათა შორის ის დიდი განსხვავეებაა, რომ ევროპის ყველა ერმა ის დაიმორჩილა და მოსპო. მის ადგილას წარმოიშვა მონარქისტული რეჟიმი, ერთი მთლიანი ნაციონალური წყობილება, რაც დაედვა საფუძვლათ მერმინდელ აღორძინებას. ჩვენში კი მოხდა პირუკუღმა: ჩვენ ვერ დავიმორჩილეთ, ვერ მოვერიეთ ფეოდალიზმს. მოგვერია ის თვითონ და მოგვსპო.

რატომ ევროპამ შესძლო თავის ფეოდალიზმის მოსპობა და ჩვენ ვერა? ეს აიხსნება, ჩვენი აზრით, იმ გარემოებით, რომ მან წარმოშვა თავის საშოდან ფეოდალიზმის მოპირდაპირე და მესაფლავე კლასი—ადამიანთა ახალი წყება, ახალი ხელობით და ახალი საქმიანობით, რომელიც თავის განვითარების მსვლელობაში დაუპირდაპირდა ფეოდალებს. ეს იყო ვაჭრობა-მრეწველობა და მის მიერ წარმოშობილი ფეხამდგარი მოქალაქეთა კრებული—ბურჟუაზია. ეს ახალი კრებული დამკვიდრდა და თანდათან მომაგრდა ჯერ ქალაქებში და შემდეგ დაუპირდაპირდა სოფელს, სადაც გამაგრებული იყვენ ფეოდალები. ქალაქი სოფელს დაუპირდაპირდა. ამ ბრძოლაში მეფე დაეყრდნო ქალაქს და მასთან ერთად ისიც სოფელს დაუპირდაპირდა. ეს ბრძოლა-ჭიდილი გაგრძელდა დიდი ხანი, მაგრამ დასრულდა ახალი ბანაკის სრული გამარჯვებით.

და აი ასეთ პროცესს არ უწარმოებია საქართველოში. ჩვენში ბურჟუაზია ვერ განვითარდა, ქალაქები ვერ აღორძი-

ნდა, ვაჭრობა-მრეწველობა ვერ ჩაისახა და ვერ განვითარდა, ის აკვნიდან ვერ ამოვიდა. ევროპის მსგავსს მოვლენას ამ ხაზზე ჩვენ ვხედავთ ჩვენი ისტორიის სიღრმეში მხოლოდ ერთხელ. ეს იყო თამარ მეფის დროს, როცა მეჭურჭლეთ უხუცესის ყუთლუ ასლანის მეთაურობით მოხდა დიდი პოლიტიკური მოძრაობა. ამ დროს მეფესა და ფეოდალებს შორის გაჩაღებულ ბრძოლაში—მეფე დაეყრდნო ვაჭართა ფენას და სხვადასხვა «უგვაროებს». მეფე ამათ სწევს წინ, გამოაყავს სახელმწიფო ასპარეზზე და ცდილობს მათთან დაკავშირებით ალაგმოს ფეოდალთა ძალა-უფლება. სამწუხაროთ, ეს ევროპიული პროცესი დამარცხდა და მით დამარცხდა საქართველოს მომავალი. ფეოდალიზმი აღმოჩნდა უძლეველი.

ისტორია ბევრ მაგალითს იძლევა იმისას, რომ ფეოდალურ ხანაში მეფე ძალიან ხშირად მხოლოდ სახელით ყოფილა მეფე. მას არ ჰქონდა არავითარი განსაკუთრებული უფლება, გარეშე თავის საკუთარი მამულისა. ვახტანგ მე-VI ამბობს: «დროსა და გარემოების მიხედვით მეფე ისე დამცირებული და აგდებული იყო, რომ მას მხოლოდ მეფის სახელი ჰქონდა»შერჩენილი, ქვეშევრდომნი ამის მეტს მას არას უტოვებდენ და როგორც მოეპრიანებოდათ ისე ამეფებდენ და აპრევინებდენ სამართალს. მე თვითონ ვარ ამის მოწამე, ჩემი უფროსები ხომ არა ერთხელ ყოფილან ასეთის მოწამენი». ო.

ასეთივე იყო მდგომარეობა მეფე ერეკლე მეორის დროსაც. ალ. სარაჯიშვილს, თავის «ძველი საქართველო» ს მეოთხე ტომში მოყვანილი აქვს ერთი დამახასიათებელი ამბავი: «ერთი გლეხი-კაცის ბედი მე-18 საუკუნეში».

უბრალო გლეხი, ვინმე ხახანაშვილი და მისი ოჯახი, ვინმე ფარსადან ციციშვილს შეუწირავს წმ. ესტატეს ხატისათვის. ეს გლეხი ამ ხატის სამსახურში ყოფილა 50 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მას თავის ოფლით შეეძინა ქონება და ჰქონდა ნასყიდობის ქაღალდიც. მისდა საუბედუროთ, ქართლს თავს დაესხენ ლეკები და გლეხს ნასყიდობის ქაღალდიც დაეკარგა და ხატზე შეწირულებისაც. ამით ისარგებლა ადგილობრივმა მემამულე ვინმე თარხნისშვილმა და ხახანაშვილის და მისი ოჯახის მისაკუთრება დააპირა. გლეხმა წინააღმდეგობა გაუწია და გაჩაღდა ბრძოლა. ამ ბრძოლაში გლეხის თხოვნით ჩაერია მეფე ერეკლე და მემკვიდრე—გიორგი, რომლებმაც გლეხის სარჩელი იცვნეს კანონიერად და გასცეს ბრძანება თარხნიშვილი გლეხს ჩამოეხსნას და არაფერი წაართვას. მაგრამ თარხნიშვილმა მაინც წაართვა გლეხს

«აშენებული სახლ-კარი, სამი ქვევრი, სამი მინალთუნი და ორი აბაზი და ნასყიდი მამული». მეფე ერეკლემ ხელმეორედ გასცა ბრძანება ჩამოეხსნან ამ გლეხს და დაუბრუნონ მისი ქონება. არც ახლა გამოვიდა რა და გლეხმა ისევ მიმართა მეფეს. ეს ბრძოლა გაგრძელდა ათი წელიწადი და ბოლოს გლეხი ასე მიმართავს მეფეს: «თქვენ ყველაფერი კარგად გააჩინეთ, მაგრამ ამსრულებელი არავინაა და ინებეთ წყალობა ისეთი იასაული დაგვინიშნე, რომ თქვენი ბრძანება შეასრულოს». ო. მეფემ ახლა ამ საქმის მოგვარება მიანდო მემკვიდრე გიორგის. გიორგიმ მიმართა თარხნიშვილს მკაცრი წერილით ჩამოხსნოდა ხახანაშვილს და ქონებაც დაებრუნებია. არც ახლა გამოვიდა რა. მიუხედავათ მეფისა და სასამართლოს დადგენილებისა გლეხის ოჯახი თარხნიშვილს კიდევაც მიუსაკუთრებია და ორი წლის შემდეგ გაუყიდია კიდეც.

ამ ამბავში აღბეჭდილია არა მარტო იმ დროის სოციალური უსამართლობა, არამედ სრული უმწეობა მეფის. მემკვიდრის და სასამართლოსი თავგასული მემამულის წინააღმდეგ. აი, ამ შინაურ მოწინააღმდეგეთა ალაგმვა არ მოხერხდა, ფეოდალების ურჩობა ყოველივე საზღვარს გადაცდა და მათ წინაშე იძულებული გახდა ქედი მოეხარა ისეთ ძლიერ მეფესაც კი. როგორიც იყო ერეკლე მეორე.

ამ რიგად, დაყოფილ-დაფლეთილი ქვეყანა გახდა ამ დიდ გვაროვან ფეოდალების საჯიჯგნათ და სათარეშოთ. ამ ეროვნულ დრამაში ხალხი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. მართალია, მეფეს ჰყავდა ჯარი, მაგრამ არც იმდენი. ამავე დროს ჯარი ჰყავდა ფეოდალსაც. როცა მეფეს სჭირდებოდა ჯარი ქვეყნის დასაცავათ უნდა მიეცა ფეოდალებს. უნდა მიეცათ აგრეთვე სურსათი და ფული. ფეოდალები არც კი ფიქრობდენ ამაზე, და რა გასაკვირია თუ ასეთ პირობებში ისე დასუსტდა სახელმწიფო, რომ ლეკებმაც კი დახარკეს.

მეორე მხრივ, ცნობილია რომ საქართველოს ირგვლივ არსებულ სახელმწიფოებს სპარსეთს, ოსმალეთს და რუსეთს არასდროს არ განუცდიათ ფეოდალური რეჟიმი. ამათში მუდამ დესპოტია, ტირანიული მმართველობა არსებობდა და დაინტერესებული იყვენ პატარა ქვეყნები მუდამ მათ განკარგულებაში და მორჩილებაში ყოფილიყვენ. ერთი მთლიანი, მძლავრი საქართველო მათ ანგარიშში არ შედიოდა. ვინაიდან რუსეთი შორს იყო, რის გამო მასთან დაკავშირება მეტად გართულებული—ბურთი და მოედანი სპარსეთ-ოსმალეთს დარჩა და ამ მდგომარეობით უხვადაც სარგებლობდენ.

ჩვენი ფეოდალიზმის გახანგრძლივების საგარეო მიზეზები სწორედ ამ მეზობლების ანტი-ქართულ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ: არსებითათ ქართლ-კახეთს დაეუფლა სპარსეთი, ხოლო დასავლეთი საქართველო დაფლითა ოსმალეთმა, ნაწილი შეიერთა, ნაწილი თავის გავლენის ქვეშ დააყენა.

ყოველივე ამის შემდეგ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თუ რა ჯოჯოხეთური უნდა ყოფილიყო საქართველოს სამეფოს უკანასკნელი დღეები და სანამდის მიიყვანა ის მეზობელი ქვეყნების სიმხეცემ და შინაურმა გაუტანლობამ და მუხანათობამ:

სწორეთ ასეთმა მდგომარეობამ უკარნახა მეფე ერეკლეს ეძებნა თავშესაფარი და კიდევაც დაიწყო ძებნა. და როცა ევროპის სახელმწიფოებიდან არა გამოვიდა-რა—პირი იბრუნა რუსეთისაკენ. ასე რომ, ეს არ იყო არც ორიენტაციის ძიება და არც წინდაწინ გაზომით საგარეოთ აღებული პოლიტიკის შინაარსი. ეს იყო ერთავად სწრაფვა თავის ქვეყნის გადარჩენის და მეფეც გაბედულათ დაადგა ამ გზას და კიდევაც მიმართა რუსეთის ჯარების სარდლობას კავკასიის ხაზზე—რუსეთის იმპერატორის მფარველობის მისაღებათ.

ამ რიგად, რუსეთთან ურთიერთობის ძიება—ეს იყო თავის ნებით, თავის სურვილით და თავის შეგნებით გამოსავალის ძიება შექმნილი მდგომარეობიდან. და ვინც ამას დაპყრობის აქტათ სთვლის—მას არავითარი წარმოდგენა არ აქვს ჩვენი ქვეყნის იმ დროის ისტორიულ ეპოქაზე, არ იცნობს იმ დროის ვითარებას, არ ესმის მისი შინაარსი, იბნევა მის ამბავთა და მოვლენათა ლაბირინტში და ამ თავის უვიცობას, ისტორიულ სინამდვილეთ გასაღებათ ლამობს. მაგრამ წავიდა ის დრო, როცა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ცოდნა—თითოოროლა პირის მონოპოლიას შეადგენდა.

ერეკლე მეფის ტრაქტატი დაიდო, როგორც ვიცით 1783 წელს. ამ ტრაქტატით რუსეთისადმი დაქვემდებარება მოხდა განსაზღვრულ პირობებში. მაგრამ ეს პირობები ეხება უფრო მეტად ქვეყნის მმართვა-გამგეობის მოწყობას, ვინემ სუვერენობის დაცვას და, როგორც ცნობილია, რუსეთმა ის მინიმალური მოვალეობაც (საზღვრების დაცვა) კი არ გაანაღდა, რომელიც მან იკისრა ჩვენი ქვეყნის მიმართ. და ბოლოს, 1801 წელს ის სრულიად დაიპყრო, დამოუკიდებელი სახელმწიფო სრულიად მოსპო და მის მამულ-დედულზე თვითონ დამკვიდრდა ეს მოხდა 18 წლის შემდეგ ტრაქტატის დადებისა. ამ დროს რუსეთის იმპერატორათ იყო ალექსანდრე პირვე-

ლი, ხოლო ქართლ-კახეთის მეფეთ იყო გიორგი მეთორმეტე.

დაპყრობას მოჰყვა სამი აჯანყება და ერთი შეთქმულება. მაგრამ, გარდა შეთქმულთა, არც ერთ აჯანყებას არ წამოუყენებია საკითხი დამოუკიდებლობის აღდგენის. ყველა ამ აჯანყებას ნიადაგი მოუმზადა რუსი მოხელეების უსაზღვრო თავგასულობამ. სწორედ ამ მოხელეთა თავგასულობის ნიადაგზე წარმოიშვა სამივე აჯანყება. მართალია აჯანყება წარმოიშვა რეჟიმის ნიადაგზე, მაგრამ სრულიად არ იყო გამორიცხული თუ ის წარმატებით განვითარდებოდა, მის მსვლელობაში დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხიც არ წამოიჭრებოდა. მაგრამ ფაქტია, რომ არც ერთი აჯანყება ამ ლოზუნგით არ დაწყებულა.

პირველი აჯანყება მოხდა 1802 წელს. ამ აჯანყების მიზეზათ, მის მეთაურ თავადებმა დაასახელეს: 1. ხმა იმის შესახებ, რომ ვითომ ყველა თავადები იქნებოდენ გადასახლებული რუსეთში. 2. ვითომ მათ ჩამოერთმეოდათ მოურავობა. 3. არ იციან რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ მოხელეებთან და 4. ბატონიშვილთა მიერ ტახტის ძიება. ამ უკანასკნელის შესახებ მათ განაცხადეს: «ჩვენ პირველად შევფიცეთ რუსეთის ხელმწიფეს ერდგულებაზე, შემდეგ შთამამავლობითი მეფეს და ასეთ მეფეთ ვითხოვთ ყოვლად მოწყალე ხელმწიფისაგან იულონს»-ო.

მეორე აჯანყება მოხდა 1804 წელს მთიულეთში. ეს აჯანყებაც გამოიწვია მოხელეთა თავგასულობამ და ბოროტმოქმედებამ. აჯანყებულებმა მთავრობის მოციქულს ერისთავს წარუდგინეს 11 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნილება. ყველა ეს მუხლები ეხება ერთავად მოხელეთა და ჯარისკაცების თავგასულობას და გზის ბეგარას. მისი პირველი მუხლია: «კაცისაგან თითქმის მოუთმენელ სიცივეში სტეფანწმინდიდგან ანანურამდე საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გვაწმენდინეს» ო. ამასვე ეხება კიდევ ოთხი მუხლი, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა ბოროტ-მოქმედებას.

მესამე აჯანყება მოხდა ისევ კახეთში 1812 წელს. ამის მიზეზიც იყო უზომო გადასახადები, სხვადასხვა ბეგარა, წართმევა პურის, ხარ-ურმების, თივის და სხ. და ეს მაშინ, როცა წინა წლის მოუსავლობის გამო, ხალხი თვით განიცდიდა შიმშილს. ამას დაემატა ჯარისკაცების მიერ ქალების გაუპატიურება. და როცა იანვარში გლეხებს პური მოსთხოვეს—მათ უარი განაცხადეს მიცემაზე. ეს მოხდა პირველათ სოფ. ახმეტაში. ახმეტას მეორე სოფელი წამოეშველა, მეორეს—მესამე,

მესამეს—მეოთხე და მოძრაობას სათავეში ჩაუდგა თავადები, რითაც მან საერთო ხასიათი მიიღო და მთელი კახეთი ფეხზე დადგა. მოძრაობის მეთაურებმა, თანახმად მათი საზოგადო კრების დადგენილებისა, მთავარმართებელ პაულიჩს წერილობით აცნობეს შემდეგი: «რაც ხელმწიფე იმპერატორმა მანიფესტით ბრძანა, ჩვენ არ აგვისრულეთ. მტყუან-მართალს არ არჩევდით ისე ახრჩობდით, მაგრამ ამასაც ვითმენდით ხელმწიფე იმპერატორის ერდგულებით და ფიცის მიცემით. გარდა ამისა, რაც ჩვენ არ გვქონდა—ამას ეკზეკუციით და შტიკებით გვაშოვნინებდით, გვიკლავდით ცოლ-შვილს, გვტაცებდით პურს და შიმშილით გვხოცავდით. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ხელმწიფე იმპერატორი ხალხის გაწყვეტას არ ბრძანებს, მაშასადამე, მიზეზი თქვენ მოგვეცით, თქვენთან ვერ მოვრიგდებით»-ო და სხ.

ბატონიშვილი დავითი თავის «ისტორიულ მატიანე»-ში ასე გადმოგვცემს იმ დროის ვითარებას: «რუსნი ამჟივრებდენ სოფელსა ცემითა, დატაცებითა და რბევითა. სადაც შევიდიან იყო ვაებანი მასზედა, რამეთუ სცემდენ დედაკაცთა და იქმნა შფოთი რუსთა და ქართველთა შორის». პირთმზიანის მცხოვრებნი თავის მხრით სწერდენ მოურავ ანდრონიკოვს: «პირველი ჩვენი მოხსენება და საჩივარი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ გვტაცებენ ცოლს, ქმრებს ხელებს უკრავდენ და მათ წინაშე სალდათებს ქალებთან ჰქონდათ საქმე»-ო.

მოხელეთა უსაზღვრო თავგასულობას და უდიერობას ადასტურებს თვით მთავარ-მართებელი, რომელიც საგანგებო მოხსენებაში ატყობინებს პეტერბურგს: «მთელი მართვა-გამგეობა საქართველოში დაავადებულია და გარეგანი წესიერება მალავს აუარებელ ბოროტმოქმედებას და არევდარევას»-ო და სხვ.

მართალია კახეთის თავადობამ შეფიცა იულონს მეფობაზე, მაგრამ თვითონ ისინი აცხადებენ, რომ «ჯერ შევფიცეთ რუსეთის იმპერატორს და მერე იულონს, რომელსაც უბრძანებს რუსეთის იმპერატორი და ის ჩვენ გვიბრძანებს»-ო. და ეს შეფიცვისა და სუბორდინაციის იერარქია—კიდევ მეტი საბუთია იმის, რომ არც ერთ ამ აჯანყებას არ წამოუყენებია საკითხი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. კიდევ მეტი. აჯანყებამ საერთო გამოძახილიც კი ვერ პოვა. პირიქით, როცა კახეთი აჯანყდა—ქართლი გაჩუმებული იყო და მისი თავად-აზნაურობა და თბილისის მოქალაქენი რუსებს ეხმარებოდენ მოძრაობის ჩაქრობაში. ასევე მოხ-

და დასავლეთ საქართველოში. 1806 წელს, სამეგრელოს მთავარი დადიანი სწერს მთავარმართებელს თბილისში: «ახლა საუკეთესო დროა თქვენ იმერეთი დაიპყროთ»-ო და პირდებოდა დახმარებას. სამაგიეროთ ითხოვდა ორ სოფელს, რომელიც იმერეთს ეკუთვნოდა. თვით იმერეთის მეფის სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი საიდუმლოთ სთხოვდა მთავარმართებელს ჯარისკაცების ერთ პოლკს და არწმუნებდა—მთელ იმერეთს დავიპყრობო. როცა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე ტახტის შესარჩენად იბრძოდა, მის წინააღმდეგ მებრძოლ რუსის ჯარისკაცებს ეხმარებოდა გურიის, სამეგრელოს და ლეჩხუმის ქართული მილიცია. ერთი სიტყვით, თვითეული კუთხე, თვითეული ნაწილი, მხოლოდ თავის კერძო საქმეებზე ფიქრობდა და რამდენად ამ აჯანყებებმა ვერ შესძლეს გაერთიანება მთელი ერის—ის დარჩა მოძრაობათ კუთხის, ნაწილის, ხეობის.

რატომ მოხდა ეს? საინტერესო საკითხია, მაგრამ ვერც ამაზე შევჩერდები აქ.

აჯანყებებს მოჰყვა 1832 წლის შეთქმულება. ვინ იყვენ შეთქმულთა მეთაურნი და რა მიზანს ისახავდენ ისინი?

შეთქმულობის მეთაურნი იყვენ იმ დროის განათლებული ახალგაზრდობა ყველა წრიდან. მათი მიზანი იყო რუსების გარეკა და დამოუკიდებლობის აღდგენა. ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ თუ საქართველო აღსდგებოდა—ყველა სხვა საკითხები უმტკივნეულოდ მოგვარდებოდა განთავისუფლებულ ქვეყანაში. ამიტომ, სხვა რამეზე ფიქრი და ზრუნვა—ძალთა და ყურადღების დაქსაქსვათ მიაჩნდათ. უნდა ითქვას, რომ ეს ახალგაზრდობა უსაზღვრო გატაცებით და გაბედულებით ჩაება ბრძოლაში. ამ შეთქმულებას როგორც ეიცით, პრაქტიკული მოქმედება არ დასცალდა. ის ისე იქნა გაცემული ერთი მონაწილისაგან, რომ ხმლის, არამც თუ მოქნევა, ქარქაშიდან ამოღებაც კი ვერ მოასწრეს. მიუხედავათ ამისა, ის ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, რომ მასზე ცოტა უფრო დიდხანს შეჩერება არ იქნება უსარგებლო.

შეთქმულება გაცემული იქნა, ყველა მისი წევრი დააპატიმრეს, გაასამართლეს, დასაჯეს და რუსეთის ციე ადგილებში მიფანტ-მოფანტეს. ამ გვარად, პირველი ცდა დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად დათავდა მარცხით. ძველ ტკივილებს ახალი დაემატა და ქვეყანას «ფიქრნი მწარეთ მღელვარნი» დაეუფლა. ამ დღიდან დამოუკიდებლობის აღდგენი-

სათვის ბრძოლა პრაქტიკულათ მაინც, პოლიტიკური დღის წესრიგიდან დიდი ხნით მოიხსნა. ამის შემდეგ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ აზროვნებას სხვა გზა უნდა აერჩია და კიდევაც ასე მოხდა. ამის მიხედვით, 1832 წ. შეთქმულება არის ნამდვილი მიჯნა, ნამდვილი გარდატეხა საზოგადოებრივ აზროვნებაში. ამის შემდეგ ქართული პოლიტიკური აზროვნება სასოწარკვეთილი გამოეთხოვა ბრძოლის მეთოდებს და მტკიცეთ შედგა რეფორმების გზაზე. ეს რეფორმები კი დროთა მსვლელობაში და გარემოებათა მიხედვით, ხან ფართე გზით მიიმართებოდა, უფრო ხშირათ კი ვიწრო ბილიკებით. შეთქმულთა ჩავარდნის შემდეგ ახალი მთავარ-მართებელი დაინიშნა, რომელიც შედარებით უფრო ლიბერალურ პოლიტიკას დაადგა. დასჯილი შეთქმულები გაანთავისუფლეს და თბილისში დაბრუნების ნება დართეს. მაგრამ შეთქმულთა დამარცხებით დასუსტებული, ისედაც სუსტი ქართული პოლიტიკური აზროვნება—ახლა უკვე აღარ ფიქრობდა შეთქმულთა გზის გაგრძელებას. პირიქით. ეს აზროვნება ლოიალობაში და ერდგულებაში ეძებდა ხსნას და გაძოსავალს და ამ აზროვნების მეთაურნი უმთავრესად გახდენ სწორეთ ისინი, ვინც გუშინ ბრძოლით და ამბოხებით ცდილობდენ ქვეყნის სამსახურს. ერდგულების გამოჩენა კი შეიძლებოდა სამსახურში შესვლით და იქ ლოიალური თანამშრომლობით და დაბრუნებულ შეთქმულთა დიდი უმეტესობა უშიშრად გაჰყვა ამ გზას. ეროვნული წყურვილის მოსაკლავათ კი მათ დარჩათ ახლა მხოლოდ ერთად-ერთი ასპარეზი. ეს იყო მწერლობა, მათაც აქ შეაფარეს თავი და თავის უსაზღვრო სევდა-ნაღველი ლირიკაში ჩააქსოვეს. აქ მათი პოეზია ისე, როგორც წინეთ პოლიტიკაში, პირველ ყოვლისა, ეძებდა თავის სამშობლოს, თავის ქვეყანას. მათ ატირებდა ეროვნული პრობლემა და ამიტომაა, რომ მათი პოეზიის შინაარსი დღესაც არ ჰკარგავს თავის მიმზიდველობას და სათანადო გავლენასაც ახდენს.

გაბატონება ასეთი აზროვნებისა კი, უარყოფდა ყოველგვარ აქტიობას რუსეთის მიმართ და ყოველგვარ წინააღმდეგობას მთავრობისადმი. პირიქით, ლოიალობა და ერდგულება მისი ურყევი შინაარსი გახდა. ამ ერდგულებას და ლოიალობას ლოღიკურად მოჰყვა მათი დაწინაურება სამსახურში, დაჯილდოებანი და დიდი თანამდებობანი. ამას კი თავისთავად, შეუმჩნეველად, თანდათანობით მოჰყვა დაჩრდილვა ეროვნული თვითშეგნების, დასახიჩრება ეროვნული მეობის.

გაძლიერდა რუსეთუმე, რამაც სავსებით დაამახინჯა და დაკნინა ეროვნული თვითშეგნება. საილუსტრაციოთ იმისა, თუ სანამდე მივიდა ეროვნული თვითშეგნების დაცემა ერთის მხრით და რუსეთისადმი ერდგულება მეორეს მხრით—საკმარისია მოვიყვანოთ ერთი წერილი, რომელიც დაბეჭდა 1857 წელს, გაზეთ «ცისკარ»-ში, ამ გაზეთის მთავარმა თანამშრომელმა მიხ. თუმანიშვილმა. ეს შეთქმულთა გუშინდელი მეხოტბე—ახლა ასე სწერდა; «სად იყო ჩვენს თბილისის ქალაქში ამისთანა მშვენიერი სახლები, როგორსაც ვხედავთ ახლა? სად იყო ჩვენს ქალაქში ამისთანა ჩინებული ხიდი, რომელიც აშენდა მტკვრის მდინარეზე? სადაც ყოფილა ადრე კალო და საბძელი, იქ ვხედავთ სამსა და ოთხ ეტაჟიან სახლებს. სადაც ყოფილა ნახნავი—იქ ვხედავთ მშვენიერ ბულვარსა... ასე ზრუნავდა იმ დღიდან, რა დღიდანაც იმყოფება საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ უმაღლესი ჩვენი მთავრობა, რომელიც არასა ზოგავს ჩვენის კეთილმდგომარეობისათვის. მტერი ვერ ბედავს ჩვენს შევიწროებას, ვინაიდან გვიცავს ორთავიანი ბედნიერი არწივი ჩრდილოეთისა. სწველა ყვავის, უსიტკბოესის ნაყოფითა» და სხ. და სხ.

აი ის გარდატეხა, რომელიც მოხდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში: ქართულმა იდეამ და ამ იდეისათვის ბრძოლამ არხეინათ გაისეირნა ვორონცოვის მიერ გაშენებულ ბულვარებში, გავიდა მის მიერვე გაკეთებულ მტკვრის ხიდზე და სადღაც, შორს, საქართველოს სიღრმეში მიიმალა. ასეთია ყოველთვის და ყოველგან დამპყრობელისადმი შეგუებისა და ლოიალობის შედეგი. ასეთი რამის მოწამენი ჩვენც გავხდით აქ, ემიგრაციაში, როცა გაზეთმა «ქართული საქმე»-მ პირწმინდათ გაიმეორა თუმანიშვილის აზრები საბჭოთა რუსეთის მიმართ, რომლის მიერ აგებულ მრავალსართულიანი სახლებით და ვეებერთელა ქარხნებით მოხიბლულმა—თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხი მანდარინის და ჩაის ბუჩქებზე ჩამოკიდა და დამპყრობთ შეუერთდა...

ასეთი გახდა ის საბედისწერო შედეგები, რომელიც მოჰყვა შეთქმულების დამარცხებას. რაკი შეთქმულთა იდეალი—დამოუკიდებლობის დაბრუნება—შეუძლებელი გახდა იმ დროის პირობების გამო, საჭირო იყო თვით ამ პირობების შეცვლისათვის ზრუნვა-მუშაობა. მაგრამ ამ მუშაობას ეს თაობა უკვე ვეღარ იკისრებდა. ამისათვის საჭირო იყო ახალი ძალა, ახალი თაობა და ეს თაობა კიდევაც მოვიდა მესამოცე წლებში.

ვისგან შესდგებოდა ეს თაობა?

ეს იყო ის პირველი ჯგუფი ჩვენი ახალგაზრდობისა, რომლებმაც მიიღეს სწავლა-განათლება რუსეთის უნივერსიტეტებში და რომელიც ცნობილია ჩვენს მწერლობაში «თერგდალეულთა» სახელწოდებით. ამათ ქქონდათ შესწავლილი და შეთვისებული ის აზრები, რომელიც იმ დროს მთელი რუსეთის ყურადღებას იპყრობდა. ეს იყო ეპოქა გლეხთა განთავისუფლებისა, ახალი სასამართლოების და იურიდიული ინსტიტუტის შემოღების. ამ ხანის რუსეთის ახალგაზრდობამ მთელ იმ დროის აზროვნება-მოძრაობას თავისი ელფერი მისცა. სამოქმედოთ გამოვიდენ სრულიად ახალი ძალები, რომელთა მეთაურნი გახდენ ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი და სხ. გაჩაღდა ცნობილი დავა «მამა და შვილებს» შორის. ეს იყო ხანა როცა რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია გაბედულად გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე და ხალხის სამსახური თავის წმინდა მოვალეობათ დაისახა. ხალხთან დაახლოვება, «ხალხში გასვლა», დღიურ საქმედ გამოცხადდა. ხალხის ამაღლება, მისი განვითარება, მისი ყოველმხრივი გათვითცნობიერება, მისი ამოძრავება—სავალდებულო ლოზუნგათ იქცა. ეს იყო უდიდესი თავგანწირვა, უდიდესი თავდადება რუსეთის ინტელიგენციისა და ეს ინტელიგენცია ცნობილია რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიაში—ნაროდნიკების სახელით.

ამ ინტელიგენციას და მის იდეებს კარგად იცნობდა ეს ჩვენი ახალგაზდობა, ზოგი მათგანი პირადათაც გაცნობილი იყვენ მეთაურობასთან. უმრავლესობას მონაწილეობაც ქქონდა მიღებული სტუდენტების პოლიტიკურ გამოსვლებში, ზოგი დაჭერილი და ზასჯილიც იყო. ერთი სიტყვით, ესენიც დიდათ მომზადილნი, განათლებულნი, ქვეყნისა და ხალხის სამსახურით გატაცებულნი, აღვსილნი ენერგიით და სურვილით, უმეთაურონ ქართველ ხალხს და უჩვენონ ქვეყანას განვითარების ის გზა და მიმართულება, რომლითაც თვითონ იყვენ გამსჭვალულნი. ამ ჯგუფის უდაო მეთაური გახდა ილია ჭავჭავაძე. ჩვენთვის დღეს არაა ძნელი უკანარიცხვით, ესა თუ ის პირი დავსახოთ ამა თუ იმ ჯგუფის, თუ თაობის მეთაურათ. არაა ძნელი იმიტომ, რომ ჩვენ წინ ძევს მთელი მისი გაველილი მოღვაწეობა. ჩვენ გვრჩება მხოლოდ ამ მოღვაწეობის კეთილ სინდისიერათ განსჯა-დაფასება. მაგრამ, როცა წინდაწინ უნდა ენდო და მიიღო ამა თუ იმ პირის მეთაურობა და გაჰყვე მას; როცა არც შენ და არც მან არ იცის თუ რა და-

ბრკოლებანი აღიმართება მის სავალ გზაზე და შენ კი წინდა-წინ უნდა იყო დარწმუნებული, რომ შენ მიერ მეთაურად მიმჩნეული პირი შესძლებს ყოველივე ამის ღირსეულად შესრულებას—ეს მეტად რთული და პასუხისაგებია ქვეყნისა და ხალხის წინაშე. და თუ მესამოცე წლების თაობამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობა და ხელმძღვანელობა იცნო და მიიღო —უეჭველია ამ კაცს უნდა ჰქონოდა განსაკუთრებული თვისებები და უპირატესობანი. ნათელსაყოფათ იმისა, თუ როგორ აფასებდენ იმ დროს ილიას—მოვიყვანთ იმ დროის მწერლობიდან რამდენიმე ადგილს.

«შემთხვევამ მოაყოლა ეს შეგნებით მდიდარი, ნიჭიერი ილია ჭავჭავაძე იმ ქართველ ყმაწვილების რიცხვში,—სწერს სტ. ჭრელაშვილი—რომლებიც იზრდებოდენ და იწვრთნებოდენ ჰუმანიური და სოციალისტური ნაწერებით ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვისა. ჭავჭავაძის სახელმა გაიდგა ბურჯი ქართველ ახალგაზრდობაში. დიდი და პატარა ჭავჭავაძეზე ლაპარაკობდა და ჭავჭავაძეობა ენატრებოდა. ჭავჭავაძე ზურგში გვიდგას და ჩვენც ღმერთი გვიშველისო—ფიქრობდა ქართველი ახალგაზრდობა» და სხ. და სხ. ეს იყო იმ თაობის საერთო აზრი და მართლაც, ილია იყო უხვად დაჯილდოვებული ყოველივე იმით, რაც საჭიროა მეთაურისათვის: ბუნებრივი დიდი ნიჭი, უმაღლესი სწავლა-განათლება, საზოგადოებრივი იდეების ცოდნა, საკმარისად გაცნობილი უცხო ქვეყნის ლიტერატურას და აზროვნებას, პირველ ხარისხოვანი ორატორი და საუცხოვო მწერალი.

რას წარმოადგენდა ამ დროს თვით საქართველო, თვით ქართველი ხალხი?

ეს მდგომარეობა სიზუსტით აღნიშნა თვით ილიამ თავის ცნობილ ლექსში: «მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის, საკვალალო და სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ჩემი, გრძნობა ჩემი გაუზიარო!» და განცვიფრებული ასეთი გარემოებით სასოწარკვეთილი კითხულობს: «სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხოთ: ვართ-ღა სადმე? ქართველები არ არიან, მაშ რა არინ?! არიან თავადები, აზნაურნი, მღვდლები, ვაჭარნი, ჩინიანი და უჩინონი—ყველანი არიან და ქართველები კი არსად არის. ქართველი საყოველთაო სახელია და ამაში რა არის საყოველთაო? მიჩვენეთ ის საერთო ნიშანი, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკუა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და

შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო—საქართველ ოს კეთილ-
დღეობისათვის. მაჩვენეთ საერთო ლხინი, საერთო ჭირი მა-
ინც, მაგრამ სად არის! ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი
ჭირი ჩემ ჭირი არ არის; ქართველი საყოველთაო სახელია და
კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ის შემკრებლო-
ბითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყველა ჩვენგანი
ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყვე-
ლას გვერქვა—დაირღვა, ჩვენის გონებიდან ამოშრა და ქართ-
ველი ახლა ერთი კუნტულის მცხოვრებია; საკუთარი კერძო-
ობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთე-
ლი იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ერ-
თისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულ-
ნია და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით—თუ არაფერს
აკეთებს, თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთანაც და კაც-
თანაც» და სხ. (1866 წ.). «ქვეყანა სავსებით დავრდომილი:—
სწერს ის მეორე ადგილას. არც ერთი ცოცხალი აზრი, არც
ერთი პატიოსანი გრძნობა» და სხ.

მეორმოცდაათიან წლების დასასრულს «ცისკარი»-ს ერთი
თანამშრომელი (მოლაყბე) გაბრაზებული სწერს: «წასულ კვი-
რას მთელი ქალაქი მოვიარე და ერთი ნამდვილი ქართველი
ვერსად ვნახე»-ო. იგივე მოლაყბე იმავე «ცისკარ» ში მოსთ-
ქვამს: «ჩვენს ენას ახლა არავინ ხმარობს—წამხდარი ენა არ-
ის»-ო და უმატებს: «ცისკარი» სათვის მოსამსახურის ოთახია
მიმჩნეული»-ო. ყველა კრებებზე სჯა-ბაასი რუსულ ენაზე
იყო, ქართველ მაღალ სფეროებში საშობლო ენაზე ლაპარა-
კი ცუდი ტონის ნიშნათ ითვლებოდა. 1869 წელს. ჟურნალ
«მნათობი»-ში მ. ქიქოძე გაბრაზებით სწერს: «ჩვენდა სასირც-
ხოთ დავიწყეთ დედა-ენის უკადრისობა. საითკენაც გაიხედავ,
ვისაც შეხვდებით, ან თუ საზოგადოებაში შეერევით—უეჭვე-
ლათ შენიშნავთ დედა-ენის უკადრისობას. ამ ენაზე ლაპარაკს
ბევრნი არ კადრულობენ. მშობლები ზრუნავენ შეასწავლონ
შვილებს სხვადასხვა სასარგებლო ენები. მაშვინ, როდესაც
იმათ თავიანთი დედა-ენა არ იციან»-ო და სხ. თვითონ ილია
ალშფოთებით გადმოგვცემს, რომ «ბევრი კეთილშობილნი
თხოვნით მიმართავენ სასწავლებლების უფროსებს, რათა მა-
თი შვილებისათვის ქართული ენა არ ესწავლებიათ» ო და სხ.
იგივე მოლაყბე გადმოგვცემს, რომ როცა ერთხელ ის ქალა-
ქში «დაეძებდა ქართველს». სალდათის ბაზრის ახლო დაინახა
ხალხი შეგროვილი. გავეკანე იქით, რომ გამეგო რაშია საქმე
და რას ვხედავო: დამჯდარა უბრალო ბაყალი, უპირავს ხელ-

ში «ცისკარი» და ხმამაღლა კითხულობს და ყველა სულგანაბული უსმენს და როცა გაათავა დააყოლა:—ნეტავი მომცა ფული რომ ასეთი გაზეთი ყოველდღე გამოდიოდესო. მართალიაო დაუდასტურა ყველამ და მე მეტად გახარებული, რომ ერთი ქართველი მაინც ვიპოვე—გავექანე რედაქციაში რომ მეხარებია ასეთი კაცის პოვნაო.

და ასე, როცა ილია ჭავჭავაძის გადმოცემით, ბევრი კეთილშობილნი სასწავლებლის უფროსებს აწუხებდენ—«ჩემს შვილს ქართულ ენას ხუ ასწავლიო»—უბრალო ბაყალი იმაზე ოცნებობდა, რომ ქართული გაზეთი ხშირად გამოსულიყო, შიგ დაწერილს ჯგუფ ჯგუფად ხალხს უკითხავდა და მით ქართული გაზეთის გავრცელებას ხელს უწყობდა! აი ვინ შეუნახავერს ენა!

როცა ილია ქართველობას დაეძებდა, ის შეეჩეხა, პირველ ყოვლისა, ქართველ დიდ-კაცობას და როცა კარგად და უკვირდა მათ—მწარე განცდებით საჯაროთ განაცხადა: «ეს დიდ-კაცობა, როგორც სხვაგან, ისე ჩვენში სწორეთ კუბოა, რომელიც გარედან ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინებული, მაგრამ ახსენით ეს ბუზმენტები და ახადეთ, შიგ ძვლების და სულისა და ხორცის გახრწნილების მეტს ვერას დაინახავთ»-ო.

ასეთი გულშემზარავი და საშინელი იყო ის სინამდვილე, რომელიც ამ თაობას დახვდა თავის სამშობლოში. ასეთ პირობებში დამოუკიდებლობის აღსადგენად ბრძოლის დაწყება რასაკვირველია მეტად უიმედო იქნებოდა. ამიტომ სავსებით გასაგებია ის აზრი, რომელიც ამ ჯგუფმა ილიას პირით საჯაროთ განაცხადა: «ახლა ჩვენ უნდა ვსდიოთ სხვა ვარსკვლავს»-ო.

რა ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო იგი? «ეს უნდა იყოს—სწერს ილია—ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა და მისი დაცვა. სხვა საგანი ამაზე უმძიმესი, ამაზე უსაჭიროესი არ აქვს ახლანდელ საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლია, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყოველი საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების მიმავლობაში თავისით, თუ სხვისით აღმოჩნდება, ეს სკოლაა თუ თეატრი, სულ ყველაფერი ჩვენი ვინაობის საქმეს უნდა შეურჩიოთ, ქვეშ დავაყენოთ. ყველაფერს მისკენ უნდა მიუბრუნოთ თავი, ყველაფერი შაგ მიმართულების სასწორზე უნდა ავწონოთ» და სხ. მეორე ადგილას იგივე ილია სწერს: «ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვა-

სა თხოულობს, სულ სხვას ღაღადებს. ის «სხვა რამ» არის ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან» და სხ.

ასეთი იყო ის გზა, რომელიც ამ ჯგუფმა თავის სავალ გზათ აირჩია და ეს სავსებით გამომდინარეობდა იმ დროის საზოგადოებრივი პირობებისაგან. მაგრამ ეს ნიშნავდა იმავე დროს დამოუკიდებლობის აღდგენაზე ბრძოლის შორეულ მომავლისათვის გადადებას. მანამდე კი «წვრილმანი», მაგრამ ეროვნული თვითცნობიერებისათვის მეტად საჭირო. ამ ნიადაგზე ყოველდღიურ მუშაობაში ამ თაობას დიდი შეტაკება მოუხდა ძველ თაობასთან, მაგრამ ვერც ამაზე შევჩერდებით აქ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ თაობას უხდებოდა მოღვაწეობა ბატონ-ყმობის დროს. ბატონ-ყმობა კი გადავარდა ქართლში და კახეთში 1864 წელს, იმერეთში—1865 წ., გურიასამეგრელოში—1866 წ. და აფხაზეთ-სვანეთში—1867 წელს.

ბატონ-ყმობის გადავარდნით ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება ძირიან-ფესვიანათ შეირყა. წამოიჭრა მთელი რიგი მეტად რთული და მწვავე საკითხები, რომლებიც ითხოვდენ დაუყოვნებლივ პასუხს. ამ პასუხის გაცემა კი იკისრა მე-70 წლების მოღვაწეთა ჯგუფმა. ვინ იყო ეს ჯგუფი? ეს იყო იგივე მესამოცე წლების თაობა, ცოტას გამოკლებით, ცოტას მიმატებით ახალი წევრებისა. ამ ჯგუფში დარჩა ილიაც, მაგრამ ახლა იგი უკვე აღარ იყო მეთაური. ამ ჯგუფის შეთაური გახდა ნიკო ნიკოლაძე.

ამ ხანის მოღვაწეთა შორის, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელთან ერთად, უეჭველად უფრო თვალსაჩინო პიროვნებაა. დიდათ განათლებული, საუცხოო პუბლიცისტი, დიდი ტემპერამენტის მქონე, პრაქტიკოსი და თან იდეალისტი. საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ევროპის და რუსეთის საზოგადო მოძრაობა, რისთვისაც დაჭერილიც იყო. იცნობდა პირადათ ჩერნიშევსკის. საზღვარგარეთ ყოფნის დროს გაიცნო საფრანგეთის დიდი მემარცხენე მოღვაწენი ლუი ბლანი და პრუდონი, რომლებთან ჰქონდა მიწერ-მოწერა და კამათი. თანამშრომლობდა გერცენის განთქმულ «კოლოკოლ»-ში და სხ. და სხ.

თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდენ მის მოღვაწეობას იმ დროის ქართული აზროვნების მიმდინარეობაში, ამტკიცებს ის წერილი, რომელიც მისწერა მას ილია ჭავჭავაძემ იმ წერილის გამო, რომელიც დაბეჭდა ნიკოლაძემ გაზეთ «დროება»-ში—სათაურით «მშვიდობით». ის აპირებდა ევროპაში დაწა-

სვლისას დაემშვიდობა «დროება»-ს მკითხველებს. ეს წერილი ისე გაიგეს თითქოს ის სტოვებდა საქართველოს და მიდიოდა ევროპაში სამუდამოთ. ილია ამ დროს საქართველოში არ იყო და როცა წაიკითხა ნიკოლაძის აღნიშნული წერილი, მანაც ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, როგორც ყველამ და ამ შთაბეჭდილების ქვეშ მისწერა ნიკოლაძეს ვრცელი წერილი: «ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ, სად? მერე იცი რა კბილი ჩავარდება იმ ხაზს, რომელშიაც შენ ფალავანად გვეგულვები ყველას? თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც შენ აგრე თამამად და უშიშრად იღწვოდი, თუ ის ყველაფერი, რითაც შენ მოსაწონი ხარ ქარის მოტანილი არ არის— ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქადი. დარჩი მაგ უბედურ ქვეყანაში. მაგრე სამარცხვინოთ ბოლოს ნუ მოუღებ მას, რაც აგრე რიგიანად შენ თვითონვე დაიწყე. დარჩი და იშრომე და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდა შველა და არავის სხვას. თუ შენ ის სკანდელი ხარ, როგორიც იყავი, მაშვინ მიხვდები თუ რა სურვილი და გრძნობა მაწერინებს ამ წერილს» და სხ.

თვითონ «დროება»-ს რედაქტორი ს. მესხი ასე ახასიათებს ნიკოლაძეს: «როგორც რკინის გალიაში დამწყვდეული ვეფხვი თავის დღეში ვერ ისვენებს, მოძრაობს, ხან ერთ კედელს შეახტება, ხან მეორეს. სწორედ ისე ნიკოლაძე მოუსვენარი, დაუდეგარი ხასიათის კაცია. მუდამ მოწინააღმდეგეს ეძებს, კბილებს ილესავს, თითქოს განგებ უნდა მტერი გაიჩინოს საბრძოლველად. და თუ ვინმე გამოაგდო ასპარეზზე— აღტაცებაშია, ნამდვილად მხოლოდ მაშვინ სცოცხლობს. ჩხუბი, ბაასი, ბრძოლა ისეთ საჭიროებას წარმოადგენს მისთვის, როგორც წყალი თევზისათვის. ის არის ერთსა და იმავე დროს ავი და კეთილი, მგელი და ცხვარი, ვნებით სავსე და მშვიდი, ხან აღლვებული, გაგიჟებული ზღვაა და ხან კი წყნარი, უშფოთველი ტბა. მკრთალი და გამბედავი. პლანები, პროექტები იმის ხელთ არის. და ამ პლანებში და პროექტებში მოსჩანს მისი ხასიათი, იმის გამბედაობა, იმის წინდახედულება და ხან ერთობ შორს, მომეტებულად შორს მეკვრეტელობა. ერთობ მგრძნობიარე ნერვების პატრონია, ერთობ უდუღს ძარღვებში სისხლი» და სხ. («დროება» 1875 წ.).

ასეთი იყო ის კაცი, რომელიც, როგორც ვთქვით, გახდა მეთაური 70 წლების მოღვაწეთა ჯგუფის. ამ ჯგუფს თვითონ ნიკოლაძემ დაარქვა—«ახალი ახალგაზრდობა», გასანსხვავებელათ მესამოცე წლების თაობისაგან, რომლის წევრი, ერთ

დროს, თვითონაც იყო, მაგრამ ახლა აღარ თელიდა თავისთავს მის წევრად. ის მეტად საინტერესო ვრცელ წერილს უძღვნის მათთან უთანხმოებას, მაგრამ აქ ვერც ამაზე შეეხერდები.

ამ ჯგუფის მოღვაწეობის დროს საქართველო აღარ იყო ისეთი, როგორიც მესამოცე წლებში. ბატონ-ყმობის გადავარდნამ აუშვა დაბმული მასსა, შეჩვეული ადგილიდან დასძრა ხალხთა გროვა და აქეთ-იქით მიფანტ-მოფანტა. დარჩენილებმაც არ იცოდენ რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვენ. ძველი ქვეყანა ერთბაშად მოიშალა, ახალი კი უგზო-უკვლოთ დაეხეტებოდა. წამოიჭრა მრავალი მეტად რთული საკითხები სრულიად მოუმზადებელ პირობებში. ეს კითხვები ერთიმეორეს სწრაფად მოსდევდა და პასუხს დაუყონებლივ ითხოვდა. ერთი სიტყვით, ასეთი რთული საკითხების წინაშე არ მდგარა აქამდე არც ერთი თაობა. და უნდა ითქვას რომ ამ ჯგუფმა ყველაფერი ქნა იმისთვის რომ ამოვარდნილ ცხოვრების ტალღებისათვის სათანადო კალაპოტი გაეჩინა და მისი მსვლელობისათვის შესაფერი მიმართულება მიეცა. ეს მიმართულება კი გამომდინარეობდა მათი იდეური შეხედულებისაგან, რომლის დედა-აზრი იყო საქართველოს ეკონომიური ცხოვრების გადაყვანა თემური წყობილების რელსებზე, ე. ი. დამყარება ნაროდნიკული სოციალიზმის და თუ ამას შესძლებდენ—სხვა ყველა დანარჩენი საკითხები, და მათ შორის პოლიტიკური და ნაციონალურიც, თავისთავად გადაიჭრებოდა, დამყარდებოდა სრული თავისუფლება.

ასეთი შეხედულების დასასაბუთებლათ ნიკოლაძემ დასწერა ვრცელი წერილი, რომლის გაცნობა ძალიან გაგვიადვილებს იმ დროის მოღვაწეთა პოზიციას ეროვნულ საკითხში. «ჩვენ გამოვსთქვამთ მხოლოდ იმ აზრს—სწერს ის—, რომ ამ იდეის (ე. ი. ნაციონალური დამოუკიდებლობის) განვითარებას, ჩვენი აზრით, შეუძლია მნიშვნელოვანი, და შეიძლება, მეტად დიდი უბედურება მოუტანოს ქართველი ხალხის მატერიალურ და გონებრივ განვითარების საქმეს. იმაზედაც რომ არ ვილაპარაკოთ, რომ ნაციონალური მისწრაფების გადაჭარბებას შეუძლია მიიყვანოს საქართველო იმ სასაკლაოზე, სადაც ახლო ხანში ტყავი გააძვრეს პოლონეთს და სადაც გამოსწუწნეს მთელი სისხლი ჩერქეზებს. ჩვენ გვგონია, რომ არავითარ იჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ გამარჯვების შემთხვევაშიაც და საფრანგეთისა და ინგლისის ზედამხედველობის მოპოების დროსაც,—საქართველო აუცილებლად წააგ-

ებს დიდი ხნის განმავლობაში ყველა თავის შანსებს, სათანადოთ გადასაწყვეტათ მისთვის საინტერესო საკითხის. წესიერ და გონივრულ საზოგადოებრივ წყობილების შესახებ. იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ევროპის სახელმწიფოები აიყვანდენ საქართველოს თავიანთ საკუთარ და მასთანავე პროვინციის ხარისხამდე, მაშინაც კი საქართველ ოს წაგებულ ი დარჩებოდა და მოიგებდა მხოლოდ პოლიტიკური წყობილების მხრით. მაგრამ ასეთი შემთხვევის წარმოდგენა, არსებითად შეუძლებელია. ათასი მაგალითები გვარწმუნებენ იმაში, რომ ევროპის სახელმწიფოები იმ წამშივე შეუდგებიან საქართველოს განათლებას ალჟირის მსგავსად და მის ექსპლუატაციას ინდო-ჩინეთის მსგავსად. ეს იქნებოდა ნაციონალურ მისწრაფებათა ბედნიერათ დამთავრების პირობებში. თუ საით მივყევართ უბედურ შემთხვევას და თუ რამდენი შანსებია მის სასარგებლოთ და საწინააღმდეგოთ—ეს ყველას კარგად ესმის. ჩვენი აზრი რუსეთის მართველობის უპირატესობის შესახებ ევროპიულზე ქართველ მკითხველს ეჩვენება არა იმდენათ ერეტიკულათ, რამდენადაც უაზროთ. რომ გამოვიყვანოთ იგი გაუგებრობიდან ვიტყვით რამდენიმე სიტყვას ჩვენი დასკვნების საფუძვლიანობის დასაცავად» და ამ თავის დასკვნებს ასაბუთებს ასე: «ჩვენ რელიგიურათ დარწმუნებული ვართ, რომ ერთად-ერთი ფორმა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, რომელსაც შეუძლია ნამდვილ ი სარგებლობა მოუტანოს საქართველ ოს არის თემობრივი განაწილება მიწის და ყველა საკუთრებისა და თემობრივი, ორგანიზაცია, როგორც სახალხო მრომისა, ისე სახელ მწიფოებრივი მართველობისა. ყველა ამაში ჩვენ ოპტისოდენა ეჭვი არ გვეპარება. მაშასადამე, ღრმად დარწმუნებულ ი ასეთი სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდეს სარგებლობისნობაში, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რაც შეიძლება უახლოეს დროში შემოვიღოთ თემობრივი წყობილება საქართველოში. ამიტომ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომელ პირობებში უფრო ადრე მივაღწევთ ჩვენს იდეალს—ევროპის მფარველობის, თუ რუსეთის ბატონობის პირობებში. ჩვენის აზრით იდეალი უკეთესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილებისა ყველაზე უფრო ადრე შეიძლება მიღწეულ იქნეს რუსეთში, იმიტომ რომ ძირითადი პრინციპი ამ წყობილებისა, თემობრივობა, შენახულია რუსეთის ხალხში შესაძლებელ ი სისრულით. ჩვენ სრულიადაც არ ვიღებთ რუსეთის თემს ჩვენს იდეალათ, მაგრამ ის ათასჯერ უფრო ახლოს სდგას საზოგა-

დოებრივ წყობილების ჩვენს გაგებასთან, ვიდრე რომელიმე ინდივიდუალიზმის პრინციპი, რომელიც დასავლეთ ევროპაში ბატონობს. ამ მოსაზრებით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაუკავშირებდა რა თავის ბედს, თუ გინდ თანამედროვე რუსეთის ბედს, საქართველო ადრე მიაღწევდა თავის მდგომარეობის უკეთეს შესაძლებელ წყობილებამდე, ვიდრე რომელიმე ევროპიელ ნაციის კავშირში და მფარველობაში მყოფი... ჩვენში თემობრივი პრინციპების არარსებობის პირობებში—ევროპიულ «თავისუფლებებს» მხოლოდ შეუძლია გაავითაროს შეუსაბამოთ ხალხის განსაზღვრულ ნაწილში ბურჟუაზიული მიდრეკილებანი, და მასთანავე შექმნას პროლეტარიატი, რაც შეუძლებელია მოხდეს რუსეთის მფარველობის ქვეშ, თუ კი საქართველოში მოისურვებენ ცოტათი მაინც იფიქრონ თავიანთ თავზე და ისარგებლონ რუსეთის ხალხის მაგალითებით. აი რატომ ვფიქრობთ ჩვენ რომ არ იქნებოდა ცუდი საქართველოს ნაციონალური მისწრაფებანი გადაგვედო გვერდზე და რუსეთის განახლების მოლოდინში გაგვეცხო ქართველი ხალხისათვის ძირითადი პრინციპები, როგორც რუსეთის თემობრივი მიწის მფლობელობისა, ისე მთელი საერთო სოციალური წყობილებისა». («ეროლოკოლი» 1865 წ.).

ამ გრძელი და საინტერესო ამონაწერიდან ცხადათ სჩანს, რომ ნიკოლაძე და მისი თანამოაზრენი ცდილობდენ ნაციონალური პრობლემის მოწესრიგების საქმე დაეკავშირებიათ სოციალური წყობილების გარდაქმნასთან. მათ სწამდათ, რომ რუსეთში ძალიან ადრე დამყარდებოდა თემობრივი წყობილება და ამით საქართველოც ადრე მიაღწევდა სოციალურ განთავისუფლებას, რაც თავისთავად ეროვნულ საკითხსაც სასურველად გადაჭრიდა.

ერთად-ერთი კაცი იმ დროინდელ მოღვაწეთა შორის, რომელიც მტკიცედ იდგა და ყველგან იცავდა რუსეთისაგან გამოყოფის აუცილებლობას და დამოუკიდებლობის აღდგენას—ეს იყო გიორგი წერეთელი. «მნათობ»-ში დაბეჭდილია საინტერესო მოხსენება იმ საიდუმლო თათბირის შესახებ, რომელიც მომხდარა გურიაში გ. წერეთელის თაოსნობით და რომელსაც დასწრებია ოსმალეთის რომელიღაც ფაშა. თათბირს განუხილავს დამოუკიდებლობის საკითხი და დაუვალებია ფაშისათვის გამორკვევა თუ რა დახმარების გაწევა შეეძლო ოსმალეთს.

ამავე გიორგის შესახებ გ. ლასხიშვილი თავის მოგონებაში გადმოგვცემს აკაკი წერეთელის ნაამბობს: «რუსეთ-ოს

მალეთის უკანასკნელი ომის დროსაო—უთქვამს აკაკის—გიორგი წერეთელი სამხედრო კორესპოდენტათ იყო ფრონტზე, ქობულეთში მომქმედ არმიასთან. დიდის იმედებით იყო აღფრთოვანებული. ომში ინგლისი ჩაერევაო, გვარწმუნებდა ყველას, გამოგზავნის ძლიერ ფლოტს შავ-ზღვაზე და საქართველოს გაანთავისუფლებსო. ისე იყო ამაში დარწმუნებული გიორგი, რომ უშიშრად რაღაც მოლაპარაკებასაც აწარმოებდა ქობულეთის წარჩინებულ მაჰმადიან ქართველებთან. თან ჩვენ ინტელიგენციას და საზოგადოებასაც ელაპარაკებოდა ამაზე. მართავდა კრებებს თბილისსა და ქუთაისში. ერთ ამისთანა კრებაზე ქუთაისში ამტკიცებდა—მალე ინგლისელები შემოვლენ ჩვენს ქვეყანაშიო. კრებაზე, სხვათა შორის, გურიაში ცნობილი მემამულე სიო ბერიძე იყო და ინგლისელების შემოსვლის ამბავი რომ გაიგონა გიორგის უთხრა: თუ ღმერთი გწამს გიორგი, თავი დაგვანებე. ძლივსძლივობით ორი ღერი რუსული ვისწავლე და ახლა ინგლისურს რა მასწავლისო.

მერე როგორ დაასრულა გიორგიმ თავის პოლიტიკური მუშაობა—შევეკითხე აკაკისო—ცოტა დააკლდა კინაღამ ჩამოახრჩვესო»—მიპასუხა აკაკიმო. (გვ. 260).

ეგნატე ნინოშვილთან მიწერ-მოწერაში იგივე გ.წერეთელი სწერს: «რუსეთთან ძმობის გამოცხადება მანამდე შეუძლებელია, სანამდის მის მთავრობას ბრეყალებში ვყავართ გამოკლული და იმას ცდილობს, რომ ჩვენ წაგვართვას უხსოვარი დროდან ჩვენი კუთვნილი მიწა-წყალი, თბილი ჰაერი და მშვენიერი ბუნება და თვითონ დაიჭიროს. აი ამ გარემოების ძალით ჩვენ უნდა ვიყოთ შეურიგებელი მანამდე, სანამ ქვეყანაზე დაჩაგრული ნაციები, როგორც ჩვენა ვართ არ განთავისუფლდებიან სხვა ძლიერი ნაციების მონობისაგან» და სხ.

1874 წელს, ენენვაში შესდგა ქართველების კრება, რომელსაც დაესწრო 40 კაცი. კრების მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ სჯა-ბაასი. თათბირს დაესწრენ ნაროდნიკებიც ივ. ჯაბადარის მეთაურობით, რომელიც თავის მოგონებაში ამ კრების შესახებ გადმოგვცემს შემდეგს: «ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ არავითარ ფედერატიულ რესპუბლიკაზე ლაპარაკი არ შეიძლება იქ, ამიერ-კავკასიაში, სადაც ცალკე ერები არ არსებობს, არც ერთიერთისადმი სიმპატია, ნაანდერძევი წარსული ისტორიული ცხოვრების მიერ, არც საერთო ინტერესები, არც კულტურული ერთიანობა, ეროვნებათა განურჩეველობის მიხედვით, რომელიც შეად-

გენენ რუსეთის სახელმწიფოს, უნდა ვაწარმოვოთ ძმური მუშაობა რუსეთის მოსახლე ყველა ხალხთა გასანთავისუფლებლათ დესპოტიზმისაგან და კაპიტალის მონობისაგან. მისწრაფება კავკასიის გაერთიანებისა ფედერატიულ ფორმებში— უდიდეს სოციალისტურ და რევოლიუციურ ბრძოლას დაიყვანს ვიწრო ნაციონალურ ამოცანამდე, რომელიც გამოიწვევს საშიშ ანტაგონიზმს ერთის მხრით რუსეთის ხალხისა და მეორეს მხრით. კავკასიის ხალხებთა შორისაც, რომელნიც არათანაბარ ერებს წარმოადგენენ. ასეთ გაუფრთხილებელ პოლიტიკურ ნაბიჯს კავკასიის ერთა და თვით რუსეთის ხალხის პოლიტიკურად განვითარების პირობებში შეუძლია მოგვიყვანოს ისეთი სამწუხარო მოვლენები, რომლის მსგავს თეატრს სულ ახლო ხანში წარმოადგენდა პოლონეთი. ასეთი სურვილები თავდება არა თავისუფლებით, არამედ განადგურებით» და სხ.

ყრილობა დაიშალა ისე, რომ არავითარი დადგენილება არ მიუღია. ვინ იყო ამ ყრილობის ინიციატორი დანამდვილებით ვერას ვიტყვით. ვიცით მხოლოდ, რომ საბჭოთა ‹წერლობა ამის მეთაურად იმავე გიორგი წერეთელს ასახელებს. ამავე წელში გაზეთ «გუთნის დედა»-ში ცნობილმა მოღვაწემ ანტონ ფურცელაძემ წამოაყენა გარკვეული პროექტი «საქართველოს ცხოვრების საფუძვლიანად შეცვლის» შესახებ, როგორც ეწოდება ამ მის პროექტს. მაგრამ არც აქაა თქმული ერთი სიტყვაც დამოუკიდებლობის შესახებ და მთელი პროექტი ეხება მხოლოდ სოციალური საკითხების მოწესრიგებას.

1873 წელს, პირიზში გამოვიდა გაზეთი, რომლის სათაურია «დროშა». გაზეთი გამოვიდა სულ ათი ნომერი პატარა ფორმატის. გაზეთის ხელმძღვანელები იყვენ ნ. ნიკოლაძე, პ. იზმაილოვი და დ. მიქელაძე. ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულია წერილი ეროვნული საკითხის შესახებ, სადაც ნათქვამია: «თავისუფალი ფედერაცია კავკასიელ ხალხებისა, განწყობილთა ყველა მოქალაქეების ეკონომიურ თანასწორობისამებრ» და ამას ასაბუთებენ ასე: «წარმოვიდგინოთ რომ რუსული ელემენტი, რომელიც ახლა გვაერთიანებს უეცრად გაქრა კავკასიაში და ჩვენ დავრჩით თავისუფალი. ამ ელემენტების გაქრობასთან ერთად ქრება ყველაფერი, რაც კერძო ხალხებს »ერთებდა და ეს ხალხები ხელახლავ ერთმანეთის წინააღმდეგ რჩებიან, რა ძნელი იქნება მაშინ ამ გაუწყობელი ხალხების შეერთება. ამისთანა გარემოების ხედველობით ჩვენ მოვალეთ

ვთვლით იმისთანა მდგომარეობის დამზადებას, რომელშიდაც ყველაზე უფრო ნაკლებ ისახებოდეს ეს ნაციონალური წინააღმდეგობა. და ასეთ რამეთ ვთვლით ერობის შემოღებას, რომელსაც შემდეგ მიეცემა პოლიტიკური ფუნქციებიც» და სხ. ამას არ ეთანხმება მეორე თანამშრომელი დ. მიქელაძე, რომელიც ამბობს, რომ მშვიდობიანი პროგრესი, ერობა და სხვა ასეთები ვერ გვიხსნის. საჭიროა «როცა რუსეთი გარეშე მტერს შეებმის—ყველა იარაღით გამოვიდეთ და შევსძახოთ: თავისუფლება ან სიკვდილიო!»

შემდეგ წლებში ივ. ჯაბადარის ზემოთ მოყვანილი მოგონების გამო, ნ. ნიკოლაძე სწერდა: «როცა ჩვენს ქვეყანაში ჩვენმა თაობამ, 70 წლებში, მიძინებულ საზოგადოებას თვითმართველობის და თვითმოქმედების იდეალი დაუდგინა, ყოველად შეუძლებელი იყო ჩვენთვის, განსაკუთრებით თბილისში, თავდაპირველათვე არ დავჯახებოდით იმ სიძნელეს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის წარმატებას წინ უდგამს მისი მრავალრჯულიანობა, მრავალენიანობა, მრავალმოდგმიანობა. ბევრი ვეძებეთ მაშვინ, ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი ვეცადეთ, მაგრამ სხვა გზა და იარაღი ვერა ვიპოვეთ რა—საფედერაციო პრინციპის მეტი. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ 1870 წლებში დადგენილი პროგრამა, მარტო ჩვენ და სომხებს კი არ შეეხებოდა, არამედ ყველა სხვა ერებსაც, ვინც კი ჩვენში ცხოვრობდა. უამისოდ ყოველად შეუძლებელია ცალკე. რომელი მე ერის განვითარება, მას სხვების ჯიბრი და მტრობა დაამ ხობს» და სხ.

როგორც ვხედავთ, ფედერალიზმის პრინციპი ამიერკავკასიისათვის წამოყენებული იქმნა ჯერ კიდევ 70 წლებში ნიკოლაძის და მისი წრის მიერ.

ასეთი იყო 70 წლების თაობის შეხედულება და პოზიცია ეროვნულ საკითხში. ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ ამ საკითხს სათანადოთ გადასჭრიდა ეკონომიური ცხოვრების ძირიანად შეცვლა, ე. ი. საზოგადოების გარდაქმნა სოციალისტური წყობით და ეს სოციალიზმი კი ესმოდათ ნაროდნიკული გაგებით. ამ რიგად, ამ თაობამ ეროვნული განთავისუფლების საკითხი ერთავად სოციალურ საკითხს დაუმორჩილა.

1876 წელს ეს წრე დაირღვა. ჭავჭავაძემ გამოსცა თავის გაზეთი «ივერია» და ახლა სულ სხვა პოზიცია დაიჭირა, ვინემ ეჭირა 70 წლების დასაწყისში. ნიკოლაძე გავიდა «დროება»-ს რედაქციიდან, სადაც ის ერთი უმთავრესი მეთაურთაგანი იყო და თავის გაზეთი გაიჩინა. შიგ «დროება»-ში შევიდენ ახალი

პირები. ერთი სიტვით, ძველი რაზმი დაიშალა და ასე არევ-დარევით გადავედით მე-80 წლებში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების დაპატრონება და მისი გაძღოლა მოიწადინეს ქართველმა ნაროდნიკებმა, რომლებმაც თავი მოიყარეს გაზეთ «იმედი»-ს ირგვლივ. ეს ჯგუფი გაჩნდა ჩვენში ჯერ კიდევ მე-70 წლების დასაწყისში, მაგრამ მაშინ ისინი ერთიანად არ ლეგალურ მუშაობაში იყვენ გართულნი და არც ერთი იმ საკითხების საჯარო გარკვევაში, რომელიც იმ ხანამ წამოაყენა მონაწილეობას არ იღებდენ. ბევრი ამათგანი არაძ ეგალ ურ ი მუშაობისათვის დაეპატიმრეს და გადაასახლეს. ასე რომ მე-70 წლების მიწურულში მათი მუშაობა თითქმის სრულიად შეწყდა. ახლა კი ისევ იჩინეს თავი და საზოგადოებრივი აზროვნების მეთაურობაც მოინდომეს. ამ ჯგუფის მეთაური გახდა ვ. ზდანოვიჩი, რომელიც ცნობილია ქართულ ბეწერლობაში მაიაშვილის ფსევდონიმით.

ზდანოვიჩი საკმარისად ცნობილი იყო რუსეთის რევოლიუციონურ წრეებში. 75 წელში, მან ივ. ჯაბადართან და ჩიკოიძესთან ერთად შეადგინა «სრულიად რუსეთის სარევოლიუციო ჯგუთი». რომლის მეთაური თვითონ გახდა. ამავე წელში ის დაეპატიმრეს, გაასამართლეს და მიუსაჯეს 6 წლის და 8 თვის კატორღა. სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში 1881 წელს და დაიწყო თანამშრომლობა ადგილობრივ გაზეთებში. შემდეგ ის გახდა სოციალ-ფედერალისტების პარტიის ერთი მეთაურთაგანი. მე 90 წლებში ის არჩეულ იქნა ეიათურის შავი ქვის «საბჭო»-ს თავმჯდომარეთ და ბოლო ხანებში ცხარე კამათი ჰქონდა ნიკოლაძესთან. როგორც მარგანეცის. ისე სხვა პოლიტიკურ საკითხებზე.

ამ ჯგუფის სახელით მაიაშვილმა (ზდანოვიჩი) დასტამბა ილიას «ივერია»-ში ვრცელი საპროგრამო წერილი. სადაც ის უკიჟინებს წინა თაობას პროგრამის უქონლობას. ბრალს სდებს იმაში, რომ ისინი შორს იდგენ ხალხისაგან. სწერდენ ხალხისათვის გაუგებარ ენაზე და ითხოვდა მათგან ხალხთან მისვლას, ხალხის იდეოლოგიის შეთვისებას, ხალხისათვის გასაგებ ენაზე წერას და მისი ინტერესების ირგვლივ დარაზმვას და იძლეოდა ამავე დროს თავის პროგრამას. ეს იყო ეკონომიური საკითხების ახსნა განმარტება და ხელის შეწყობა, რომ ხალხმა შესძლოს თავის ეკონომიური იდეალის განხორციელება. ამ იდეალთ კი სახავდა კოლექტიურ მეურნეობას და ამ საპროგრამო წერილს ათავებს ასე: «მხოლოდ ღრმა ეკონომიურ ცვლილებებისათვის ბრძოლა არის ნამდ-

ვილი გზა თავისუფლებისიდმი; მხოლოდ საუკეთესო ეკონომიური წყობილების (ე. ი. სოციალიზმის) დამყარება ნამდვილად გაანთავისუფლებს ხალხს და მისცემს მას ჭეშმარიტ თავისუფლებას; მხოლოდ ხალხის ეკონომიური ინტერესების დაცვით შეიძლება დააკმაყოფილოს ინტელიგენციამ სამშობლო ქვეყნის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი. მოძრაობის დროს პირველად უნდა ვიქონიოთ სახეში ხალხის ეკონომიური ინტერესები და მერე სხვა ინტერესები—პოლიტიკური და ნაციონალურიო» და სხ.

მეორე ცნობილი ნაროდნიკი ჭრელაშვილი ამავე შეხედულებას გადმოგვცემს ასე: «ჩვენი საზოგადოების ძარღვებში გამჯდარია ორნაირი სურვილი ბრძოლისა. ბრძოლა ხალხის ეკონომიური სამართლიანობის დასაფუძნებლათ და ბრძოლა უსამართლოებასთან. ეს არის ორი უდიდესი შინაარსი ჩვენი ხალხის სურვილის»-ა და სხ. («იმედი» 1882 წ.).

ამ რიგად, ნაროდნიკულმა ინტელიგენციამ ისე. როგორც მე-70 წლების თაობამ, ეროვნული საკითხი დაუმორჩილა ერთავად სოციალურ საკითხებს.

პარალელურათ, ამავე[დროს—გამოდიოდა ილიას რედაქტორობით გაზეთი «ივერია». მაგრამ ის განაგრძობდა იმ ხაზს, რომელიც აიღო მესამოცე წლების თაობამ, ე. ი. ვინაობის აღდგენას და მის დაცვას. ასეთი აზროვნება კი ითხოვდა, პირველ ყოვლისა, პოლიტიკის გვერდის ახვევას და ნდობის მოპოვებას მართველობასთან. ასეთმა აზროვნებამ მეტად მეტევმეტყველური დასაბუთება პოვა იმ წერილში, რომელიც დაიბეჭდა «ივერია»-ში 1896 წ. თვით ილია ჭავჭავაძის ხელის მოწერით. ნიკოლოზ მე-II ტახტზე ასვლის გამო. «ერდგულება ტახტისა, ქრისტიანობრივი სასოება და ქვეშევრდომული თავგანწირვა თავის მირონცხებულ ხელმწიფისა. ამ უტყუარის სასოებით ვეგებებით ამ ჩვენთვის და მთელი რუსეთისათვის დიდებულ დღეს და ერდგულ ქვეშევრდომობის გრძნობით ღმერთსა ვსთხოვ მრავალ ჟამიერ სიცოცხლეს ჩვენის საყვარელის იმპერატორისას და იმპერატრისისას საბედნიეროთ და საოხად ჩვენდა».

ამავე თემას უბრუნდება იგივე «ივერია» და 1901 წ. სწერს: «ბატონებო! ქართველს უნდა ჰქონდეს გარკვეული პროგრამა. ასეთი პროგრამა გვაქვს. პირველი მუხლი: ქართველობა აღიარებს თავის მტკიცე ერთობას და ერდგულებას რუსეთისას და ჩვენის ხელმწიფე იმპერატორისას... ეს ერდგულება ქართველებს სისხლში უდგიათ» და სხ.

ასეთი აზროვნების ნიადაგზე აღმოცენდა 1900 წ. იდეა პეტიციებისა, ადრესებისა და თხოვნებისა. ეს იყო უკვე გაგრძელება იმ პოლიტიკისა, რომელსაც დაადგა ძველი თაობა 50 წლების მიწურულში და თუ რა შედეგი მოჰყვა ასეთ აზროვნებას—უკვე მოვისმინეთ ზევით თვით ილიას პირით.

ამავე ხანებში გამოდიოდა ქუთაისში გაზეთი «შრომა». ამ გაზეთში მისმა მთავარმა თანამშრომელმა ბოსლეველმა დაბეჭდა წერილი რენანის ცნობილი თეორიის შესახებ ნაციონალურ საკითხზე, რომელსაც ათავებს ასე: «ჩვენი დრო არის დრო ნაციონალური მოძრაობისა. ჩვენმა დრომ უნდა მისცეს პასუხი ნაციონალურ კითხვასა». ეს დროკი გადიოდა. მაგრამ პასუხს არ იძლეოდა და ამ პასუხის მოლოდინში გადავედით მე-90 წლებში.

თუ მე-70-80 წლებში ბატონყმობის გაძარცვნით გამოწვეული საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერ კიდევ არ იყო დადუღებული და ახალი ცხოვრების კონიუქტურები ჯერ კიდევ იმდენად მკრთალი თუ უჩინარი იყო, რომ მისი საფუძვლიანი განსჯა-გარკვევა არც ისე ადვილი იყო,—90 წლებში იგი იმდენად აშკარა გახდა, რომ მისი არ დანახვა შეუძლებელი იყო. სოციალური დიფერენციაცია და მისი შენობის კლასიკური სტრუქტურის მიხედვით დალაგება უკვე დაწყებული იყო. ქვა-ნაშენი, შავი-ქვა, რკინის გზა უკვე მოძრაობაში იყო მოყვანილი. აღებ-მიცემობა თანდათან ძლიერდება. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყალიბდებოდა ახალი ურთიერთობა. ამ ახალმა ურთიერთობამ წამოაყენა ახალი საკითხები. ახალი ცხოვრება ახალ მეთაურობას ითხოვდა და ეს მეთაურობა ახლა წილად ხვდა იმ თაობას, რომელიც ცნობილია ჩვენში «მესამე დასი»-ს სახელწოდებით. ამ დასის მეთაური კი გახდა ნ. ჟორდანია.

ნოე ჟორდანიას როლი ამ ხანაში იმდენად დიდია, რომ მას ველარ მალავს მისდამი მტრულად განწყობილი ბოწინააღმდეგეც კი. კომუნისტი ხუნდაძე თავის სამტრომიან ნაწარმოებში ნ. ჟორდანიას შესახებ სწერს: «ამჟამად ეროვნულ-ეთვის სადაო არ არის, რომ ნ. ჟორდანიამ 90-იან წლებში ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში უდიდესი როლი ითამაშა. გარდა იმისა, რომ იგი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა ძველ მიმდინარეობათა—ნაროდნიკებისა და ივერიელების წინააღმდეგ და ამით ახალი იდეები შემოაჭონდა ქართულ პრესაში, ნ. ჟორდანიას წერილებს დიდი ნიჭი და საკითხის ღრმა ცოდნა ატყვია. ჩვენი პუბლიცისტიკის ისტორიაში იგი

აუცილებლად ერთ-ერთ დიდ მწერლით უნდა ჩაითვალოს. ნ. ყორდანიას პირველი წერილები «ეკონომიური წარმატება და ეროვნება», «გაზეთი «ივერია» და ეროვნება», «მოამბის პუბლიცისტიკა» და მრავალი სხვა—ნიჭიერათ დაწერილი პუბლიცისტური ნარკვევებია და მასთანავე ისეთი ნარკვევები, რომელნიც ძირიანად ანადგურებენ მოწინააღმდეგეთა შეხედულებებს. ყველა ამ წერილებს ახასიათებს მკვეთრი ლოგიკა და დალაგებულათ გამოთქმა, საკითხების ნათლად დაყენება და სწორ-ხაზიანობა. ასეთი არის ნ. ყორდანიას ნაწერების გარეგანი ფორმა. ნიჭიერმა მწერალმა თავიდანვე დაიმსახურა დიდი სახელი და ახალი დასის უმეტესობის მიერ იგი ბელადათ იქნა აღიარებული.

«ეგნატე ნინოშვილი თავის უკანასკნელ წერილში გ. წერეთელისადმი 1894 წ. მის შესახებ სწერს: «ძლიერ მესიამოვნა რომ ნ. ყორდანიამ «ივერია»-ს თავი დაანება და თქვენი თანამშრომელი გახდა. ვინც ამ კაცს (ნ. ყორდანიას) კარგად გაიცნობს, დარწმუნდება, რომ ეს ახალი და მეტად დიდი ძალაა მწერლობისათვის. ნინოშვილმა სწორეთ აღნიშნა: მართლაც ყორდანია მეტად დიდ ძალათ გადაიქცა ქართულ მწერლობაში. ნ. ყორდანიას პუბლიცისტიკის ძირითადი შინაარსი ახალი და მნიშვნელოვანი იყო. იგი შეეხებოდა ახალი დასის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ პროგრამას და იმ თეორიულ-მეცნიერულ საკითხებს, რომელნიც შეადგენდენ ამ დასის დასაყრდნობ საფუძველს» და სხ. და სხ.

ამ დახასიათებას ამ ჟამად ჩვენ სხვა რამეს აღარ დაუმატებთ, გარდა იმისა, რომ მთელი ათეული წლების განმავლობაში ნ. ყორდანია დარჩა ამ თაობის მეთაურათ და ქართულ საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროში ისეთი ბრძოლა აწარმოვა, და ისეთი როლი ითამაშა, რომ სრულიად სამართლიანად ამ ხანას «ნ. ყორდანიას ეპოქა»-ს უწოდებენ.

ამ ჯგუფის საზოგადო ასპარეზზე გამოსვლა იწყება 1893 წ. ამ წლის ბოლოს, ეგ. ნინოშვილის ბინაზე, ყვირილაში, შეიკრიბა მცირე რიცხოვანი წრე და განიხილეს ამ წრის წევრის ევ. ვაჭაძის მიერ შემუშავებული სამოღვაწეო პროგრამა, რომელიც უფრო ნაროდნიკული გამოდგა, ვინემ მარქსისტული. ამიტომ ის იქნა უარყოფილი და მიენდო ნ. ყორდანიას მისი დაწერა. მან კიდევაც დასწერა და რამდენიმე თვის შემდეგ წარუდგინა იმავე წრეს თბილისში, რომელმაც მოიწონა ის და უმჯობესნელო მესწორებით კიდევაც მიიღო. ეს წერილი დაიბეჭდა შემდეგ წელს ჟურნალ «მოამბე»-ში სათაურით: «ეკო-

ნომიური წარმატება და ეროვნება. მთელი ეს საპროგრამო წერილი ეხება ერთ და იმავე დროს ორ საკითხს—ეროვნულს და ეკონომიურს. ერთხელ ნ. ნიკოლაძე სწერდა: ყველა თაობას თავის საკუთარი ტვირთი აკისრია თავის ეპოქის მიერო. ეს სრულიად მართალია და ამ ეპოქის საპროგრამო ტვირთიც სწორედ იმაში იყო, რომ მომხდარიყო ამ ორი საკითხის ურთიერთობის გარკვევა, მათი ერთობის და განსხვავების აღნიშვნა, თვითეულისათვის თავის კუთვნილი ადგილის მიჩენა, მათი ერთობიდან საერთო მოქმედების, საერთო გეზის გამონახვა, განსხვავებისათვის კიდეე შესაფერი კალაპოტის მიჩენა.

შეთქმულთა თაობამ, როგორც დავინახეთ ზევით, პირველ რიგში წამოაყენა ეროვნული საკითხი და სხვა ყველა დანარჩენი საკითხები მას დაუმორჩილა. მე-70—80 წლების თაობამ კი წინააღმდეგ—პირველ რიგში წამოაყენა ეკონომიური გარდაქმნის საკითხი და სხვა ყოველივე, მათ შორის, ნაციონალურიც. მას დაუმორჩილა. და აი, დადგა დრო, როცა უნდა მომხდარიყო ამ ორი საკითხის სინტეზი: ეროვნულის და ეკონომიურის გარდაქმნა ერთმანეთის ქვემდებარეობიდან. ეს იყო ამ ეპოქის ნაკარნახევი ტვირთი და, უნდა ითქვას სიმართლე—ეს მძიმე ტვირთი ამ თაობამ გაბედულათ აიკიდა. ეს არ იყო ადვილი საქმე. ამ დროს ცხოვრებაში შემოჭრილი ეკონომიური ურთიერთობა უმოწყალოთ აოლეკვდა ერის მთლიანობას და მის ნაწილებს ერთი-მეორეს უპირისპირებდა. აქ უკვე აღარ შეიძლებოდა ერის მთლიანობაზე ლაპარაკი ისე როგორც ეს იყო შესაძლებელი წინა ხანის სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობის დროს. ახლა მჩაგვრელი და დაჩაგრული ორივე ამ თაობის წინაშე იდგა და მასზე იყო დამოკიდებული თუ ვის მხარეზე დადგებოდა ის და ვის გაუწევდა დახმარებას და მეთაურობას ყოველდღიურ საარსებო ბრძოლაში. მაგრამ ეს დახმარება თუ მეთაურობა უნდა მოწყობილიყო ისე, რომ ნაწილს არ დაეჩაგრა მთელი და, ვიმეორებ, ეს არ იყო ადვილი საქმე.

ნ. ჟორდანიას ზევით ნახსენები საპროგრამო წერილიც ერთავად ამ საკითხს დასტრიალებს. ვრცლათ შეჩერება არც ამ წერილზე შემიძლია, ვფიქრობ, ის ბევრს წაკითხული აქვს. ამიტომ აქ მოვიყვან მხოლოდ დასკვნებს: ინივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრების. თავისუფლება მთელი ერის და თვითეული პიროვნების, როგორც ხელის შემწყობი უმთავრესი სურვილის მისახწევათ და რო-

გორც უახლოესი საგანი მოწინავე დასის სამოქმედოთ. ჩვენ ჩავდექით ახალ ხანაში, არა როგორც ეთნოგრაფიული ხალხი, არამედ როგორც ქართველი ხალხი, მქონე საკუთარი ისტორიის, კულტურის, ზნე-ჩვეულების. აი ეს არის ეროვნული ნიადაგი, ამაზე ვაშენებთ ევროპიულ ცივილიზაციას. თუ ეს ნიადაგი დავკარგეთ, გვეკარგვის ხალხსნობა, კულტურა, თავისი «მე». თუ ევროპის ცივილიზაცია არ შევითვისეთ—ვრჩებით დაუძლურებული, სუსტი, მზათ გადასაშენებლად. ქარცველობა და ევროპიელობა—აი რა სწერია ჩვენს დროშაზე. ჩვენი წინსვლა ამ დროშის თანდათან გაშლას მოასწავებს. ჩვენი ქვეყანა უკვე შედგა გაევროპიელების გზაზე. გაევროპიელება სწარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. საამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა—აი რა სწერია ახალ დროშაზე. ამის ამოკითხვა და ხალხის შეგნებაში გადატანა—ჩვენი დროის ისტორიული კითხვაა». (ხაზი ყველგან ჩვენია).

ამნაირად—ერი და დემოკრატია, თავისუფლება ერის, თავისუფლება პიროვნების—აი ის დროშა, რომელიც ააფრიალა ამ ჯგუფმა. შემდეგ ამ დასმა მიიღო სოციალ-დემოკრატიის სახელწოდება, შევიდა რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიაში და მასთან ერთად მიიღო საერთო პროგრამა და ამ პროგრამაში მისი ენერგიული მოთხოვნით შეტანილ იქნა კონკრეტიული მუხლები ეროვნული საკითხის შესახებ. ასე რომ, ინიციატივა ნაციონალურ საკითხის წამოყენების რუსეთის სოც.-დემოკ. პარტიაში ეკუთვნის საქართველოს ორგანიზაციებს და ეს მოხდა 1903 წელს ლონდონის ყრილობაზე, სადაც პროგრამაში შეტანილ იქნა სამი მუხლი: 3. 8 და 9. მესამე მუხლი ითხოვდა განათლების მიღებას სამშობლო ენაზე, მერვე მუხლი—ვანაპირა ქვეყნებისათვის ფართე თვითმართველობას და მეცხრე—ერთა თვითგამორკვევის უფლებას თვით გამოყოფამდე.

აქ საჭიროთ მიმაჩნია შევაჩერო ჩვენი მკითხველის ყურადღება საპროგრამო წერილის იმ დასკვნებზე, რომელიც ზევით მოვიყვანე და აგრეთვე თვით პროგრამის მე 9 მუხლზე. თუ მკითხველი დაკვირდება ხაზგასმულ სიტყვებს—ადვილად დაინახავს, რომ ნ. ჟორდანია თავის საპროგრამო წერილს დასკვნებში ერთხელაც არ ახსენებს რუსეთს. სამშობლო და უცხოეთი—აცხადებს ის და ამ უცხოეთად ასახელებს ევროპას. საქართველო და ევროპა—აი მისი გზა. დაწინააღმდეგ იმათისა, ვინც რუსეთისაგან გამოჭლოდა სიკეთეს, ის ეძახის

ქართველ ხალხს ევროპისაკენ. ქართველობა და ევროპიელ ობა—აი მისი ლოზუნგი.

ამნაირად ნ. ჟორდანია, და შემდეგ სოციალ-დემოკრატია თავის საპროგრამო იდეებით ხსნას გამოელოდა არა რუსეთისაგან, არამედ ევროპისაგან: ევროპა, ევროპიელობა—აი საით იწვევს ის ქართველობას. მაგრამ გაევროპიელება უნდა მოხდეს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. ამაზე უფრო ახდილათ მოთხოვა და აღიარება ერისა და პიროვნების თავისუფლების და ქვეყნისათვის აშკარათ და საჯაროთ გზის გაკაფვა ევროპისაკენ—მართლაც რომ აღარ შეიძლება.

მეორე დიდი საპროგრამო მუხლი—თავისუფალ ერში, თავისუფალი პიროვნება-კი შესაძლებელი იყო მხოლოდ დემოკრატიულ წყობილებაში. ამ რიგად, საქართველოს სოც.-დემოკრატიულ დროშაზე, პირველი დღიდანვე, დიდი ასოებით დაიწერა: ერი და დემოკრატია. მაგრამ ამის განხორციელებას ესაჭიროებოდა სათანადო მუშაობა, შესაფერი ტაქტიკა, რის უპირველესი მოთხოვნილება იყო დანგრევა იმ დროს არსებული რეჟიმის და მის ადგილას დემოკრაკრატიული წყობილების დამყარება. მაგრამ ასეთი წყობილების დამყარების დროსაც-კი—დამოუკიდებლობის საკითხის საბოლაო გადაწყვეტა აღიარებული იყო ერის, თვით ქართველი ხალხის ძირითად სუვერენულ უფლებათ. და ეს ღიათ და მკაფიოთაა გამოსახული პროგრამის მეცხრე მუხლში: «მიეცეს თვითგამორკვევის უფლება ყველა ერს, რომელნიც შედიან რუსეთის სახელმწიფოში».

ეს ნიშნავდა იმას, რომ თვითეულ ერს ენიჭებოდა უფლება თვითონ გამოარკვიოს და გადასწყვიტოს—იყოს დამოუკიდებელი თუ შევიდეს რომელიმე სხვა სახელმწიფოს საზღვრებში—ფედერატიულ, კონფედერატიულ თუ მთლიან საფუძველზე. ასე რომ ეროვნულ საკითხში სოც.-დემ. პარტიის ძირითადი დებულება იყო—[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. ეს უფლება კი მჭიდროთაა დაკავშირებული დემოკრატიის მთავარ მოთხოვნილებებთან—თავისუფლება სიტყვის, წერის, ბეჭდვის და სხ. მხოლოდ ასეთ პირობებში შეუძლია ერს გამოსთქვას თავის სურვილი თავისუფლად და გადასწყვიტოს თავის ბედი. ეს კი მოითხოვს. ვიმეორებ, დემოკრატიის ბატონობას. სადაც ეს პირობები არ არის დაცული—იქ ერის თვითგამორკვევის უფლების განხორციელება—შეუძლებელია. ამიტომ ძველი რეჟიმის დანგრევა და თავისუფლების მოპოება აუცილებელი წინასწა-

რი პირობა იყო ერის თვითგამორკვევისათვის, საფუძველი მის მიერ თავის სუვერენული უფლებების განსახორციელებლათ. და როცა ერი მიიღებდა ასეთ შესაძლებლობას, მას პირველ რიგში დაუდგებოდა—რა სჯობია მისთვის, რა უფრო შეეფერება მისი არსებობის ინტერესებს—სრული თავისუფლება. ფედერაცია, კონფედერაცია თუ ცენტრალიზმი. ყველა ესენი არის ფორმა სახელმწიფოებრივი სტრუქტურისა და ამ ფორმებში რომელს დაადგებოდა ერი—ეს იყო დამოკიდებული არსებულ პირობებზე, თვით ერის შეგნებაზე და მის სახელმწიფოებრივად მომზადებაზე. აქ მთავარი იყო არა ამ ფორმების გამორჩევა, არამედ თვით ამ ფორმების გამონასვის უფლების მოპოვება. ამიტომ იყო, რომ როგორც კი დაიწყო რევოლიუცია, დაინგრა დესპოტია და გამეფდა თავისუფლება—ამეტყველდა თვითეული ერი. ჩვენც მოგვეცა შეძლებლობა ჩვენი სურვილის და უფლების განაღდების. და საქართველო განშორდა რუსეთის საზღვრებს და შექმნა თავის დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ამ რიგად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არის ღვიძლი შვილი 1917 წლის რევოლიუციისა და ვინც ამას უარჰყოფს, ის უარჰყოფს თვით ამ რევოლიუციას, ის ხელს იღებს დემოკრატიაზე, რადგან ქართველმა ხალხმა თავის დამოუკიდებელი არსებობა, სწორედ რომ დემოკრატიაზე ააგო. ასე რომ ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო უაღრესად დემოკრატიული და ვინც ცდილობს ფაშორეს ერთმანეთს დამოუკიდებლობა და დემოკრატია —ის ეწევა ანტი-ეროვნულ, ანტი-სახელმწიფოებრივ მუშაობას, ის უარჰყოფს ერის მიერ საჯაროთ აღიარებულ სუვერენულ უფლებებს და ამით ის დგება ქვეყნის და ერის მოსისხლე მტერთა რიგებში.

ზემოთ აღნიშნული საპროგრამო მუხლებით ეროვნულ საკითხში ჩვენ მოვდიოდით დიდ ომამდე. ომმა მდგომარეობა შესცვალა. 1914 წლის დასასრულს სარაყამიშში ოსმალეთის გამარჯვებამ საკითხი პრაქტიკულათ დააყენა, რადგან ამ გამარჯვების შედეგად რუსის ადმინისტრაცია კავკასიის დატოვებას ფიქრობდა. ამის გამო თბილისში, ბელინსკის ქუჩაზე, შესდგა საიდუმლო თათბირი, რომელსაც დაესწრენ სახ. ორგანიზაციების და პარტიათა წარმომადგენელნი. აქ წამოყენებული იქნა საკითხი დროებითი მთავრობის შესაქმნელად. ჩვენი პარტიის წარმომადგენლებმა არ გაიზიარეს ეს აზრი იმ მოტივით რომ არ სჯეროდათ ოსმალების საბოლოო გამარჯ-

ვება და დროებითი მთავრობის შექმნით კი შეიძლებოდა ხალხი საფრთხეში ჩავარდნილიყო. სხვებმაც გაიზიარეს ეს აზრი და წინადადება მოიხსნა. ოსმალები მართლაც დამარცხდენ და რუსის ადმინისტრაციაც ადგილიდან არ დაძრულა. მიუხედავად ამისა, 1916 წლის ბოლოს ეს საკითხი ისევ დადგა ჩვენ პარტიაში და სოფ. ჯუნჯუათში (გურია) მოხდა პარტიული კონფერენცია, სადაც ყველა შეეთანხმდით იმაში, რომ თუ რუსის ჯარი გავიდოდა კავკასიიდგან—ჩვენ აგვეღო ხელისუფლება და დამოუკიდებლობაც გამოგვეცხადებია. კრების წევრები მოითხოვდენ რეზოლიუციის გამოქვეყნებას. მაგრამ კონსპირატიული მოტივით ეს წინადადება უარყოფილი იქნა. მხოლოდ დაევალა ნოე ყორდანიას დაეწერა წერილი ამის შესახებ შესაფერი მიდგომით და მან კიდევაც დასწერა ორი ფელეტონი, რომელიც დაბეჭდილია გაზ. «ერთობა»-ს მე-16 და მე-17 ნომერში.

ამავე ხანებში, უცხოეთიდგან სხვადასხვა დროს ჩამოვიდენ გ. მაჩაბელი და მ. წერეთელი. მათ ინახულეს ყორდანია და ე. გეგეჭკორი და ითხოვდენ რომ პარტიას მიეღო რეზოლიუცია დამოუკიდებლობის შესახებ. ყორდანია არც ახლა დათანხმდა დაჩქარებაზე იმავე მოტივებით, რომ ნაჩქარევი ნაბიჯით ხალხი ხიფათში არ ჩავარდნილიყო. ამათაც გაიზიარეს ეს მოტივი და გაბრუნდენ. სოც.-დემ. კი დარჩა თავის დადგენილების ნიადაგზე—როცა დადგებოდა ხელსაყრელი პირობები პარტია ისარგებლებდა ამით და გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ასეთი აზროვნება არსებობდა ს.-დ. პარტიაში, როცა დაიწყო თებერვლის დიდი რევოლიუცია. მაგრამ, როცა რევოლიუცია მოხდა—ს.-დ. მაშინაც არავითარი სეპარატიული მოთხოვნა არ წამოუყენებია, რომ მისი წამოყენებით ხელი არ შეშლოდა რევოლიუციის მსვლელობა-განმტკიცებას.

1904 წელს დაარსდა სოციალ-ფედერალისტების პარტია. ამ პარტიის იდეური მედროშე იყო არჩილ ჯორჯაძე. სანამ ეს პარტია დაარსდებოდა—ჯორჯაძე ცხოვრობდა პარიზში და ხელმძღვანელობდა ქართულ გაზეთს, რომელსაც ერქვა «საქართველო». ამ გაზეთის რედაქციამ შეიმუშავა და დაბეჭდა თავის პირველსავე ნომერში თავის პროგრამა. სადაც ვკითხულობთ: «ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ.—ჩვენ პოლიტიკური სეპარაციის მომხრე არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება საქართველოს პირობებთან შესაფერი კონსტი-

ტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოში, მხოლოდ შინაურ საქმეებში გვიხდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ» და სხ.

ამავე გაზეთმა მოიწვია 1904 წ. ყენევაში კონგრესი, რომელსაც დაესწრო 21 კაცი. ეს კონგრესი მეტად საინტერესოა თავის მოხსენებებით. მაგრამ აქაც უნდა შეეეხო მის მსჯელობას მხოლოდ ეროვნულ საკითხზე. მოხსენება ამის შესახებ გააკეთა არჩ. ჯორჯაძემ. რომლის დასკვნა ასეთია: «პოლიტიკური დამოუკიდებლობა კიდევ არ არის ის სანატრელი ფორმა, რომელშიდაც კულტურული წინმსვლელობა მიმდინარეობს ნორმალურათ». ჯორჯაძის შემდეგ ილაპარაკა ვერმიცანიძემ (გ. ლასხიშვილის გადმოცემით ეს ფსევდონიმი ეკუთვნის სან. გაბუნიას), რომლის სიტყვის დასკვნა იყო ასეთი: «დამოუკიდებელი, განკერძოებული საქართველო, შესაძლებელიც რომ იყოს, მაინც არაა სასურველი. და ეს იმიტომ რომ თავისუფალ ორგანიზმათ გამხდარ სახელმწიფოს თან დაყოლილი აქვს ტენდენცია იზარდოს, გაფართოვდეს. ამ გვარივე ტენდენცია ექნება საქართველოსაც და ამასთანავე მის მეზობელ დამოუკიდებელ სახელმწიფოებსაც. ამის შედეგი ის იქნება, რომ ან საქართველომ ვინმე თავის მეზობელი უნდა შთანთქას, ან თვითონ იქნეს შთანთქმული. ამას დასჭირდება საზღვრების დასაცავათ ჯარები, მოკყვება შოვინიზმი, საბაჟოები, კარჩაკეტილობა» და სხ. და სხ. მთელ კონგრესზე დამოუკიდებლობას არ აღმოაჩნდა დამცველი ისეთ ანარქისტებშიაც კი, როგორიც იყვენ აქ დამსწრე ანარქისტი კ. გოგელია და კიდევ უფრო დიდათ ცნობილი ანარქისტი ვარ. ჩერქეზიშვილი.

მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: «ქართველ რევოლიუციონერთა კონფერენცია უარსყოფს სეპარატიზმს, რომელიც კიდევ არ ჩაითვლება ერთა სოციალურ განვითარებისა და ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცების თავდებათ და აცხადებს, რომ განთავისუფლებულ საქართველოსათვის საუკეთესო და უსაჭიროესი პოლიტიკური წყობილება უნდა იყოს ავტონომიური საქართველო, სხვადასხვა ერებთან ფედერატიულათ შეკავშირებული». ამ რეზოლიუციას ხმა მისცა 19, ერთმა თავი დაიჭირა, ერთმა არ მიიღო მონაწილეობა კენჭის ყრაში. ამის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ის მიღებულია ერთხმად.

ამ რეზოლიუციაში საინტერესოა ისიც, რომ დამოუკი-

დებლობის მოთხოვნა უარყოფილია არა რაიმე ტაქტიკური მოტივებით, არამედ მისი არსებითი შინაარსის გამოც. ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა იმავე წელში ნ. ჟორდანიამ საგანგებოთ ამის შესახებ დაწერილ ბროშურაში, რომლის სათაურია—«ქართველი ნაციონალისტები», და რომელიც დაიბეჭდა იმავე ყენევაში იმავე წელს, და იქიდან არალეგალურად იმავე წელში შემოვიდა საქართველოში.

იყო ჩვენში კიდევ სოც. რევოლიუციონერების პარტია, რომელიც შედიოდა რუსეთის სოც.-რევ. პარტიაში და შეადგენდა მის ადგილობრივ ორგანიზაციას. მისი პროგრამული მოთხოვნილებაც ეროვნულ საკითხში იყო ავტონომია და არა დამოუკიდებლობა. როცა ჩვენში დამოუკიდებლობა გამოცხადდა—ამ ნიადაგზე ამ პარტიაში მოხდა განხეთქილება. რუსული ნაწილი წინააღმდეგი გახდა დამოუკიდებლობის. ამან აიძულა ქართული ნაწილი გამოყოფოდა მათ და საკუთარი პარტია შეექმნათ იმავე სახელწოდებით. რუსული ნაწილი დან ამათ გამოაკლა მხოლოდ რამდენიმე კაცი.

1917 წლის რევოლიუციის შემდეგ ჩვენში დაარსდა ახალი პარტია, რომელიც დღემდე ატარებს «ეროვნულ-დემოკრატიის» სახელწოდებას. ამ პარტიის შესახებ ქვევით უფრო ვრცლათ გვექნება ლაპარაკი, აქ კი დავკმაყოფილდები იმის აღნიშვნით, რომ ამ პარტიას არამც თუ დამოუკიდებლობა—ავტონომიაც კი არ შეუტანია თავის პროგრამაში.

პარტიების გარდა ჩვენში იყო სხვადასხვა საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულებანი—ქალაქის თვითმართველობანი, სათავად-აზნაურო საკრებულო და სხ. იქნებ ამათ მოითხოვეს დამოუკიდებლობა? ვნახოთ ესეც.

ჩვენი თავად-აზნაურობა არას დროს არ მალავდა თავის ერდგულებას რუსეთის ტახტისადმი. ჯერ კიდევ მე-60 წლებში, როცა დ. ყიფიანი აირჩიეს მარშლათ, მან თავის ამრჩევლებს ასეთი სიტყვებით მიმართა: «ერდგულება ჩვენი ხელწიფე იმპერატორისა და მისი უმაღლესი ტახტისადმი აუცილებელია. ჩემი სინდისისა და ძალის და ღონის მიხედვით ერდგული ვიქნები ამ გრძნობისა. პირდაპირ ვამბობ: მე არ მესმის არავითარი ინტერესები გარეშე ამ წესისა, გარეშე, ასე ვსთქვათ, ჩვენი მოვალეობისა და ღირსების შეგნებისა: თავადაზნაურთა ღირსებას კი შეადგენს უძრახველი სამსახური ტახტისადმი» და სხ. ამას ამბობდა მე-60 წლებში ის პირი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა 32 წლის შეთქმულებაში და ამისთვის დაჭერილიც იყო. ცდა რომ ეს წოდება შე-

რიგებოდა და შეგუებოდა რუსულ პოლიტიკას მონარქიზმის ჩარჩოებში არა ერთხელ განმეორდა შემდეგშიაც. 1877 წელს, თბილისის მარშალი ბარატიონ-მუხრანსკი ასე ესალმებოდა ახლად დანიშნულ ეგზარხოსს პალადის: «ანდერძი ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენის ისტორიისა—არის ერდგულება ღმერთის და ერდგული ქვეშევრდომობა ხელმწიფე იმპერატორისა».

ამავე ხანებში ცნობილი კონსტ. მამაცაშვილი რუსულ გაზეთ «კავკაზ»-ში მთელ რიგ წერილებში უქადაგებდა ქართველ ხალხს, რომ «საქართველოს მომავალი სვე-ბედი ერთთავად დამოკიდებულია რუსეთის მომავალ ბედზე». ამავე ხანებში გამოვიდა ცალკე წიგნად სენატორ მუხრანსკის შრომა, სადაც ის ამტკიცებს, რომ «პატარა ერების ხანა გათავდა, იწყება დიდი სახელმწიფოების ხანა და პატარა ერებმა თავის ბედი მას უნდა შეუკავშირონ» ო. ამ წიგნს სასტიკი პასუხი გასცა ილიამ, ნიკოლაძემ და აკაკიმ.

1888 წელს საქართველოს ეწვია რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მე-III. მისი მასპინძელი იყო ქართველი თავადაზნაურობა და მას მართლაც დიდის ზეიმით შეხვდენ. ზეიმის ლოზუნგი იყო: «უმაფოთ ხალხი ობოლია» და ლოცვა: «იმეფე ჩვენდა სასახელოთ და მტრების თავ-ზარ დასაცემათ». სადგურზე მას მიეგება მარშალი ბაგრატიონ-მუხრანსკი. სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებით: «მოწყალეო ხელმწიფეო! ჩვენ მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული მეფის ერდგულება და დამტკიცებული გვაქვს ეს ერდგულება თქვენი უდიდებულესობის ტახტისადმი. ყველა ქართველი ხედავს რა თავის თვითმპყრობელ მბრძანებელს, ამაყობს იმ აზრით, რომ შენ ხარ ჩვენი მეფე, ჩვენი ძალა და ხსნა». ამაზე თავად-აზნაურობამ იკისრა მოწყობა საიუბილეო დღესასწაულის 1901 წელს რუსეთთან ასი წლის შეერთების გამო. 1904 წელსაც კი, როცა რევ. მოძრაობა ისე გაძლიერდა ჩვენში—იგივე თავად-აზნაურობა უგზავნის მეფეს დეპეშას, სადაც «განგებას ადუღლენენ ლოცვას, რომ მან მიანიჭა სათაყვანებელ მეფეს მემკვიდრე მთელი რუსეთის სანუგეშოთ და საიმედოთ». როცა 1905 წელს, მთელ საქართველოში რევ. მოძრაობა იყო გაბატონებული, მაშინაც კი მხოლოდ «ქართველების გათანასწორება რუსებთან უფლებაში» მოითხოვეს. მხოლოდ შემდეგ ძლივს მოითხოვეს თავის ქვეყნისათვის ავტონომია და ისიც მას შემდეგ, როცა ილია ჭავჭავაძემ მიიღო მათ კრებებში აქტიური მონაწილეობა და როგორც იქნა დაჯერა მოეთხოვათ ავტონომია (იხ. ამის შესახებ გ. ლასხიშვილის მოგონება).

ამ რიგად, ეროვნული საკითხის ისტორიის კეთილსინდისიერათ შესწავლით, ურყევად შეგვიძლია დავადგინოთ რომ საქართველოში ყველა ჯგუფი, ყველა პარტია, თავს დასტრიალებდა ეროვნული საკითხის მოწესრიგებას, მაგრამ სწყვეტდა სხვადასხვანაირად: თავად-აზნაურობა და ლიბერალური ინტელიგენცია ფიქრობდა ამ მიზნის მიღწევას თვითმპყრობელურ რეჟიმზე დაყრდნობით. მემარცხენეკი (სოც.-დემ., სოც.-ფედ. და სოც.-რევ.) რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობით და რუსეთის სრული დემოკრატიზაციით. ამავე დროს სოციალდემოკრატია დამოუკიდებლობის საკითხის გადაჭრაში გადამწყვეტ როლს ანიჭებდა ხალხის ნებასუფერენიტეტს (თვითგამორკვევა), რომლის დადგენილება საკალდებულო უნდა ყოფილიყო ყველასათვის. პარალელურად სოც.-დემოკრატია დიდხანს აწარმოებდა ბრძოლას სხვა პარტიებთან ადგილობრივი საკითხების მოსაგვარებელი ორგანოების ფორმის ირგვლივ. სოც.-დემოკრატიას უფრო საუკეთესოდ მიაჩნდა ამიერ-კავკასიისათვის ერთი «საოლქო თვითმართველობა» პარლამენტით თბილისში. სოც.-ფედერალისტები და სოც.-რევოლ. კი იცავდენ ერების ცალკე ერთეულების ავტონომიას და შემდეგ მათ ფედერაციას.

ასე იდგა ეს საკითხი ისტორიის მანძილზე და ასე სწყვეტდენ მას ერთი-მეორის მომდევნო თაობები. მაგრამ შეიძლება ითქვას რომ ამ თაობებს არ აინტერესებდათ თავის ქვეყნის თავისუფლება, თავის ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობა? შეიძლება ითქვას, რომ მათ უნდოდათ დარჩენილიყო ჩვენში რუსის ბატონობა? რასაკვირველია არა! ეს ნიშნავდა მხოლოდ იმას, რომ იმ დროის პირობები არ მიაჩნდათ ამ თაობებს შესაფერად დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის, მაგრამ, როცა მომზადდა საამისო ხელსაყრელი პირობები— დამოუკიდებლობის საკითხი თავისთავად დადგა დღის წესრიგში.

როდის და როგორ მოხდა ეს?

ამის შესახებ ჩემს წიგნში მე ვსწერ: «რასაკვირველია, საქართველო უკმაყოფილო იყო მისი გუბერნიებად გადაქცევით, მაგრამ, 1917 წ. რევოლიუციის დასაწყისში (კომენტუ რევოლიუციი) არც ერთი პარტია არ აყენებდა თავის პროგრამულ მოთხოვნილებათ რუსეთისაგან გამოყოფას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. (გვ. 75). ჩემმა მოწინააღმდეგებმა კი მომაწერეს თითქოს მე დამეწეროს, რომ იგანვლილ წლებში არ არსებობდა საქართველოში არც ერთი

პარტია, რომელსაც თავის პროგრამაში მოქცეული ჰქონდა „ენერგია სრული ეროვნულ-დემოკრატიულობისაკენ» (ხაზი ჩვენია). ამ სიყალბეს რომ გაბაშვილი სჩადის—ეს მე არ მიკვირს. ეს მისი ხელობაა. მაგრამ როცა ჩემი წიგნის შესახებ დაბეჭდილ ვრცელ წერილში («ქართული აზრი» № 15), სიტყვა-სიტყვით იგივე გაიმეორა ისეთმა დინჯმა ჟურნალისტმა, როგორიცა რ. ინგილო—ეს კი მართლადაც რომ გასაკვირია. მე მაშინვე უპასუხე მას და ჩემი პასუხი გაუგზავნე იმ გაზეთს, რომელმაც ინგილოს წერილი დაბეჭდა. პრესის ელემენტარული საყოველთაოთ მიღებული ეთიკაა, რომ როცა ვინმეზე რამეს დაბეჭდავ—მოპასუხეს უარს ვერ ეტყვი პასუხის დაბეჭდვაზე. ეს იმდენად მიღებული უდაო უფლებაა პიროვნების რომ კანონიც იცავს მას და ამის შესახებ არსებობს მუხლი. რომლის ძალით ვერც ერთი რედაქცია უარს ვერ იტყვის დაბეჭდვაზე. მაგრამ ასეთი ეთიკა სავალდებულოა რიგიანი და პროგრესიული პრესისათვის. «ქართული აზრი» სათვის, როგორც სჩანს, ასეთი რამ უცხო ხილია. ამ გაზეთმა მთელი თვეების განმავლობაში ბეჭდა ჩემი საწინააღმდეგო წერილები სხვადასხვა „ავტორების, თვით რედაქციამ თავის გაზეთის ფურცელზე საჯაროთ განაცხადა: «როცა საწინააღმდეგო წერილების ბეჭდვა დათავდება—ბ-ნ ურატაძესაც ექნება საშვალება თავის ოპონენტებს პასუხი გასცეს» ო. ამით დაიმედებულმა გადავეცი მათ ჩემი პასუხი. პირველად შემპირდენ დაბეჭდვას, მაგრამ შემდეგ ათრიეს ჩემი წერილი რამდენიმე კვირა და ბოლოს უარი მითხრეს. მე შემეძლო კანონის ძალით მომეთხოვა მისი დაბეჭდვა. მაგრამ აღარ ვქენი. ამას აღვნიშნავ აქ მხოლოდ იმისთვის, რომ ვიცოდეთ რა მორალის მოწინააღმდეგეებთან გვაქვს საქმე. გაგლანძღავენ, დაგწამებენ ცილს, მოგაწერენ ათასგვარ შეუსაბამო რამეს და აღარც იმის პასუხისმგებლობას გრძნობენ, რომ პასუხი დაგიბეჭდონ. სარგებლობენ რა იმით, რომ მე არ მივცემ ჩემს თავს ნებას უცხო ქვეყნის კანონით ჩემი ქვეყნის მოქალაქის წინააღმდეგ გამოვიდე.

ეს ფორმალურად. არსებითად კი უნდა განვაცხადო, რომ ის რაც მათ მე მომაწერეს არც დამიწერია და არც არის ასეთი რამ ჩემს წიგნში. ეს სავსებით მათი შეთხზული და ჩემზე შეგნებულად მოწერილია და საკვირველი ისაა, რომ მთელი ციტატა ფრჩხალებშია თითქოს ჩემი და არც კი უჩვენებენ რომელ გვერდზეა ასეთი რამ დაბეჭდილი, რომ მკითხველმა შესძლოს შემოწმება! ამიტომ ერთხელ კიდევ კათეგორიუ-

ლად უნდა განვაცხადო, რომ ასეთი რამ მე არ დამიწერია, თუმცა შეშეძლო კი დამეწერა. არ დამიწერია იმიტომ რომ ეს არ შედიოდა წიგნის მიზანში. წიგნი იწერებოდა უცხოელებისათვის და ამათთვის ასეთი საკითხები სრულიად არ შეადგენდა ინტერესს და არც თვით საქმის ინტერესი მოითხოვდა ასეთ რამეს. ამიტომ ჩემს წიგნში სხვა პარტიებთან ურთიერთობის შესახებ არსად ერთი სიტყვაც არ არის, რადგან, ვიმეორებ, ეს არის ჩვენი შინაური საქმე და მისი უცხოელების წინაშე გამოფენა არაფერით საქმე არ მოუხდებოდა. ჩვენს პარტიებთან ბრძოლაში მე არ ვერიდები შიგნით. ჩვენს შორის, მაგრამ უცხოელების წინაშე ის არას დროს არ მიწარმოებია და არც ვაწარმოებ. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ისიც რომ ამ ჩემს პასუხს, მიუხედავად იმისა, რომ გაბაშვილმა ათასი საზიზღროება უცხოელების წინაშე რუსულ ენაზე გამოაფინა და ეს, ერთგვარად, პასუხსაც იმავე რუსულ ენაზე ითხოვდა —ეს მე შეუძლებლად ჩავსთვალე ჩემთვის და ვსწერ ქართულად.

ამ რიგად, მე ვსწერ—«არ აყენებდენ რევოლიუციის დასაწყისში»-მეთქი და არა საერთოდ. ე. ი. ვსწერ რომ რევოლიუციის პირველ სანებში გამოყოფის საკითხი არც ერთ პარტიას არ წამოუყენებიათ-ქო და არა იმაზე—ჰქონდა თუ არა რომელიმე პარტიას პროგრამაში ასეთი მუხლი.

არის თუ არა ეს სწორი? გავსინჯოთ.

რევოლიუცია დაიწყო 1917 წ. თებერვალში, საქართველოს დამოუკიდებლობა კი გამოცხადდა 1918 წ., 26 მაისს, ე. ი. ერთი წლისა და სამი თვის შემდეგ. ეს ერთი წელი და სამი თვე დროთი მცირეა, მაგრამ თავის ისტორიული შინაარსით და ტრამატიული ეპიზოდებით იმდენად მდიდარი, რომ მისი გვერდის ავლა შეუძლებელია. ეს არის სწორედ ის დრო, რომელსაც ჩემი წიგნი რევოლიუციის დასაწყისად აღნიშნავს. და ამ დასაწყისში არამც თუ არ მოუთხოვია რომელიმე პარტიას დამოუკიდებლობის გამოცხადება, პირიქით, ყველა პარტია ენერგიულად ჩაება სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში, რომელიც მოხდა იმავე 1917 წლის ნოემბერში, ე. ი. რევოლიუციის დასაწყისიდან ცხრა თვის შემდეგ. ამ არჩევნებში თვით გაბაშვილ-ვაჩნაძის პარტიამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო და ცამეტი სადეპუტატო კანდიდატი წამოაყენა, თუმცა მათ შორის არც გაბაშვილი იყო და არც ვაჩნაძე. მათი საარჩევნო სია იყო № 8 და მათი კანდიდატების სახელი და გვარი რუსულად და ქართულად დაბეჭდილია მა-

თიეე გაზეთ «საქართველო»-ში (№ 255. 1917 წ.). ამავე ნომერ-ში დაბეჭდილია მათი საარჩევნო პლათფორმა რუსულად და ქართულად. რას მოითხოვენ ისინი ამ საარჩევნო პლათფორ-მაში? «საქართველოს ეროვ.-დემოკ. პარტიის მიზანია—ვკით-ხულობთ იქ—დაამყაროს ის ეროვნული თვითმართველობა, რომლის უფლებანი საქართველოს ეკუთვნის 1783 წლის რუ-სეთდან დადებული ხელშეკრულებით» (ხაზი ჩვენია) და სხ.

ორი ცნობა კიდევ: როდესაც რევოლიუცია დაიწყო და თვითმპყრობელური რეჟიმი დაემხო—რუსეთის დროებითი მთავრობამ თავის წარმომადგენლათ ამიერ-კავკასიაში დანი-შნა საგანგებო კომისია ე. წ. «ოზოკომი», რომლის თავმჯდო-მარე იყო კაზაკი ხარლამოვი, წევრებათ კი ყველა ადგილობ-რივი ერების და პარტიების წარმომადგენელნი. ამის წინა-აღმდეგ არც ერთ პარტიას არავითარი პროტესტი არ განუ-ცხადებია. პირიქით. მის მუშაობაში დიდ აქტიურ მონაწი-ლეობას იღებდენ. «ოზაკომი» არსებობდა ოქტომბრის გადა-ტრიალებამდე და საქმიანობდა რუსეთის დროებითი მთავ-რობის სახელით. მისი რეზიდენცია იყო თბილისში.

იმავე წლის აგვისტოში პეტერბურგში შესდგა ე. წ. «სა-ხელმწიფო სათათბირო». ამ თათბირზე თბილისიდან იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ი. მაჭავარიანი. თათბირზე სხვებთან ერთად მანაც ილაპარაკა და, სხვათა შო-რის, სიტყვა-სიტყვით განაცხადა შემდეგი: «საქართველო თა-ვის სურვილებს განუცხადებს მხოლოდ რუსეთის დამფუძ-ნებელ კრებას, მანამდე კი საქართველოს საკითხი არ არსე-ბობს»-ო. მაჭავარიანის ეს სიტყვა მე თვითონ მოვისმინე იმ თათბირზე, რომელზედაც მეც ვიყავი დელეგატათ, როგორც თავმჯდომარე ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსი. მაგრამ მომყავს აქ კონ. ცაგარელის რუსული წიგნიდან—«ნე-სკოლკო სლოვ პო გრუზინსკომუ ვაპროსუ». გვ. 9. გამოცემა ხარკოვში (1917 წ.). მაჭავარიანის ასეთ განცხადებას არავი-თარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია იმ დროს არც მის პარ-ტიაში და არც სხვა საზოგადოებრივ წრეებში. შეგვეძლო ბევ-რი ასეთი მაგალითები მოგვეყვანა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია, იმის დასამტკიცებლათ, რომ რევოლიუციის და-საწყისში არამც თუ არ წამოუყენებია ვინმეს დამოუკიდებ-ლობის საკითხი—პირიქით ყველა საერთო-სარუსეთო მუშა-ობაში იყო გახვეული,

რატომ დადგა იმ დროს ასეთ პოზიციაზე ყველა პარტია განურჩევლად? იმიტომ რომ იმ დროს ქართველი ერის ტრა-

ღიკული მდგომარეობა პირველ რიგში აყენებდა არა დამოუკიდებლობის საკითხს, არამედ თვით ერის ფიზიკურად გადარჩენის საკითხს. ერთი მხრიდან კალიასავით მოედო ჩვენს ტერიტორიას კავკასიის ფრონტიდგან თავის ნებით მოხსნილი, ყოველგვარ დისციპლინას მოკლებული ჯარები. მას ფეხდაფეხ მოსდევდა ოსმალოს ჯარები, გამხნევებულნი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით და გამსჭვალულნი მთელი ამიერ-კავკასიის დაპყრობის სურვილით. რუსეთის მხრიდან კიდევ ბოლშევიკური მთავრობა თავის სამოქალაქო ომით და უამრავი აგენტებით ჩვენში და ისინიც საქართველოს დაპყრობით გატაცებულნი. და ჩვენი პოლიტიკური პარტიების სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა სწორედ იმაში გამოიხატა, რომ ასეთ საბედისწერო მომენტში მათ თავის უდროო მოთხოვნით ხელი არ შეუწყვეს შემოსეული მტრების ბოროტი ზრახვების განაღდებას. ეს იყო, უეჭველად, დიდი სიბრძნე და დარწმუნებული ვარ მიუდგომელი ისტორია ყველაზე მეტ დამსახურებათ თავის ერის წინაშე ამ პარტიებს სწორეთ ამას ჩაუთვლის და რატომ ამბობენ ახლა ჩვენი ნაციონალისტები ამაზე უარს—ვერ გამიგია.

თუ რამდენად საბედისწერო იყო იმ დროს მდგომარეობა ამტკიცებს თუ გინდ ის მოწოდება, რომლითაც მიმართა რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა ფრონტს: «ადგილობრივ ბოლშევიკებს უნდათ—სწერია ამ მიმართვაში—გამოიწვიონ აქ სამოქალაქო ომი. ისინი მოგიწოდებენ თქვენ აჯანყდეთ ადგილობრივ ხელის უფლების წინააღმდეგ მთელ ამიერ-კავკასიაში. ისინი გეუბნებიან თქვენ, რომ ამიერ-კავკასია თითქოს უკვე გამოეყო რუსეთს. არ დაუჯეროთ ამხანაგებო ამ პროვაკატორებს. მაგათ უნდათ დაღვარონ თქვენი სისხლი! შემოკრებით მუშათა და ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების გარშემო, მთელი კავკასიის დემოკრატიის ირგვლივ და მათთან ერთად თქვენ მოიპოვებთ ხავს, მიწას და თავისუფლებას». ასეთი მდგომარეობის დროს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე ღაღადი—ეს იქნებოდა უეჭველი პროვოკაცია ქართველი ერის მიმართ და ქება და დიდება იმ ხელმძღვანელობას, რომელმაც ეს განსაცდელი ქართველ ხალხს ააცდინა.

შემდეგ კი, რევოლიუციის პროცესში, როგორც აღვნიშნეთ, დამოუკიდებლობის საკითხი დღის წეს-რიგში დადგა თავისთავად და ეს აზრი იმდენად საყოველთაო შეიქნა, რომ როცა ჩვენი პარტიის ცენტ. კომიტეტმა მიიღო დადგენილე-

ბა დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ და ეს დადგენილება დეპეშით ვაცნობეთ ყველა ჩვენს ორგანიზაციებს მთელ საქართველოში, მეორე დღესვე. დეპეშითვე, მიღებული იყო პასუხი, რომ ყველა, ყოველგვარი რეზერვის გარეშე, ეთანხმებოდენ და იზიარებდენ ცენ. კომიტეტის დადგენილებას. არც ერთი ხმა წინააღმდეგ არ ყოფილა.

აქ ვსარგებლობ შემთხვევით უარვჰყო გაბაშვილის ყოვლად უპატიოსნო ცილისწამება ირ წერეთელზე—თითქოს ის წინააღმდეგი ყოფილიყოს დამოუკიდებლობის გამოცხადების. პირიქით, ზემოდ ნახსენებ ცენტ. კომიტეტის სხდომაზე სწორედ ის იცავდა და ასაბუთებდა, რომ დადგა დრო უთხრათ ჩვენ ხალხს უშველოს თავს, რისთვისაც აუცილებელია დამოუკიდებლობის გამოცხადებაო. და ცენტ. კომიტეტმა სწორედ მას დაავალა ამ წინადადების დაცვა სეიმის სხდომაზე და, როგორც ვიცით, სეიმის სხდომაზე მან ორჯერ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა ამ დადგენილების დასაცავად. (მისი ორივე სიტყვა, შედარებით ვრცლათ, დაბეჭდილია ჩემს წიგნში.

26 მაისს, დილით, დაიშალა სეიმი. ნასადილევს, 4 საათზე და 10 წუთზე, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. იშვა ახალი საქართველო, საქართველო გაერთიანებული ტერიტორიალურად, გაერთიანებული სულიერად, გაერთიანებული ეროვნულად. ამ დღეს აღსდგა საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. ამ დღეს მოშორდა მას მისი ასი წლის მპყრობელი—რუსეთი. ამ დღეს დაიბადა თავისუფლება ერის, თავისუფლება პიროვნების. ამ დღეს გადაეშვა ქვეყანა ახალი ცხოვრების მორევში. ამ დღეს ეზიარა ქართველი ერი იმ უსაზღვრო სიხარულს, რომელიც ერთხელ თუა ერის ცხოვრებაში საუკუნეთა განმავლობაში. ამ დღეს აიღო თვით ხალხმა მეთაურობა ყველა მისთვის საჭირო რეფორმების გატარებისა, როგორც პოლიტიკურის, ისე სოციალურ-ეკონომიურის. ამ ბედნიერ დღეს ნაშობ სახელმწიფოს ეწოდება—«საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა» და ამ დღიდან ყველა ჩვენ ამ რესპუბლიკის მოქალაქე გავხდით. მიუხედავად იმისა, თუ ვინ რა აზრის იყო მის გამოცხადებამდე. თუ წინეთ დიდი დავა და შეხლა-შემოხლა იყო პარტიათა შორის ეროვნული საკითხის და მის ირგვლივ—26 მაისის შემდეგ დავა ამ საკითხის შესახებ გადაეცა ისტორიის არქივს და დეე ახლა ისტორიკოსებმა იმტვრიონ თავი და არკვეონ არქივის მტვერში ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი. ჩვენთვის კი დღეს

ყოველგვარი დავა დამოუკიდებლობის თუ მის სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ არის სრულიად დაუშვებელი, რადგან ესაა უარყოფა როგორც დამოუკიდებლობის აქტის, ისე დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და ერთხმად მიღებული კონსტიტუციის, სადაც სწერია: «ხელმწიფება ეკუთვნის მთელ ერს» და რომლის შესახებ ერთხელ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე პუანკარემ პალატის ტრიბუნიდან განაცხადა შემდეგი: «მე კარგად არ ვიცი სად სძევს საქართველო:—ევროპაში თუ აზიაში? ეს შეიძლება სადაო იყოს გეოგრაფიულად, მაგრამ პოლიტიკურად ეჭვს გარეშეა, რომ საქართველო სძევს ევროპაში. ამის უტყუარი საბუთია მისი კონსტიტუცია, რომელიც თავის ძირითადი პრინციპებით იგივეა, რაც ყველა განათლებულ ქვეყნებში».

სამწუხაროდ, ჩვენი ემიგრაციის შემარჯვენე სექტორში დღეს იშვიათად გაიგონებთ დემოკრატიული რესპუბლიკის და მისი კონსტიტუციის ხსენებას. ისინი თითქოს უბრუნდებიან 26 მაისამდე არსებულ მდგომარეობას, ე. ი. საქართველოს საკითხს ხდიან ისევ ეროვნულ საკითხად და ეს მაშინ, როცა საქართველოს საკითხი დღეს არის ერთავად სახელმწიფოებრივი საკითხი და ის არავისათვის არ შეიძლებაიყოს არც სადაო და არც საკამათო. ის ცნობილი და დადასტურებულია, პირველ ყოვლისა, თვით ქართველი ხალხის მიერ და შემდეგ 28 სახელმწიფოს მიერ, რომელთაგან არც ერთს არ წაუღია უკან მის მიერ ფორმალური ცნობა. ამიტომაა რომ, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, მოსკოვის სატრაპებმა დღემდე ვერ შესძლეს წაეშალათ ჩვენი ქვეყნის de inre-თ ცნობა. ვერც ის შესძლეს, რომ ამათი დასტურით, საბჭოთა რუსეთის საზღვრეთის საზღვრები ამიერ-კავკასიაში გადაეტანათ. ასე რომ, საქართველო, მაუხედავად დაპყრობისა, საერთაშორისო უფლებით დარჩა დამოუკიდებელ სახელმწიფოთ ყველა იმათთვის, ვინც ის იცნო de iure-თ და ასეთ ურთიერთობაში არიან მასთან დღემდე. და აი ასეთ დროს მხოლოდ ჩვენი ემიგრაციის ნაციონალისტების ერთი წრე გაბაშვილის მეთაურობით დადის კარდაკარ და ცდილობს დაარწმუნოს ყველა რომ საქართველოს მთავრობის არსებობას აღარ აქვს არავითარი raison d'être-ი და მის მაგიერ ჩვენთან დაიჭირეთ საქმეო. მეორენი კი მას «საფლავში ჩაწოლილათ» აცხადებენ უცხო აუდიტორიის წინაშე (ლ. ზურაბიშვილის მოხსენება), მაშასადამე არ არსებულათ და მის ხაცვლად თავის კანდიდატურას აყენებენ.

საქართველოს კანონიერი მთავრობის უარყოფაზე ქადაგება ამ წრემ დაიწყო ემიგრაციის პირველ დღიდანვე. შემდეგ თანდათან გაძლიერეს და ბოლოს ბრძოლის მთავარ ლოზუნგად გაიხადეს. ერთხელ ამ წრის გაზეთი «სამშობლო» საქვეყნოთ აცხადებდა: «სამი ათასი წელი გაუტარებია საქართველოს მენშევიკურ მთავრობას მოკლებული და იმედია მომავალშიც იარსებებს უამისოდ»-ო (№ 5—6).

ამბა რა უნდა ელაპარაკო ისეთ ხალხს, რომელსაც იმის გაგებაც კი არ აქვს, რომ მთავრობის გამოცვლა თუ გადაყენება არის მხოლოდ და მხოლოდ შინაური პოლიტიკის საკითხი, რომლის წესი განსაზღვრულია თვით ქვეყნის კონსტიტუციაში. არ ესმით რომ მთავრობის დამხობა უცხო ქვეყნის თავდასხმით—არის დამხობა თვით ეროვნული სუვერენობის, ამიტომ ობსოლიუტურად მიუღებელი ყველა ჭეშმარიტ პატრიოტისათვის, რა შემადგენლობისაც არ უნდა იყოს უცხო ძალის მიერ განდევნილი მთავრობა.

მიაქციეთ ყურადღება იმასაც, რომ შიგ საქართველოში მომქმედ არც ერთ პარტიას, გარდა რასაკვირველია კომუნისტებისა, არ მოუთხოვია მთავრობის გაუქმება და მის მაგიერ რაღაც მოძალისეთა ხელმძღვანელობის შექმნა. ეს მხოლოდ აქ გამოიგონეს და ამით ესენი სავსებით დაშორდენ ჩვენს ქვეყანაში მომქმედ ძალებს. ამიტომაა, სხვათა შორის, რომ მათ ღაღადს და ათასგვარ დაბეზღებას არსად გასავალი არ აქვს და არც ექნება.

გაბაშვილ-ვაჩნაძე არაფერს არ სტოვებენ შეუბღალავს. არ ინდობენ ისეთ დაწესებულებასაც კი, როგორიც იყო «ეროვნული საბჭო» ის «ეროვნული საბჭო», რომელმაც გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. და მთელი მათი ცდა, ქართულად და რუსულად იმაშია დაუმტკიცონ შინაურს და გარეშეს, რომ სოც.-დემ. წინააღმდეგი იყო «ეროვნული თათბირის» მოწვევის და რომ დაეთანხმებიათ. ამისთვის ქრთამის გაღებაც კი დასჭირვებიათ—თუ ამდენს და ამდენს გაიღებს თავად-აზნაურობა—დავთანხმდებითო. თითქოს განუცხადებია ნ. ჟორდანიას. დამატებით კიდევ საბჭოში წევრთა ორი მესამედი მოუთხოვია თავის პარტიისათვის და თან დამუქრებია: თუ ამას არ იზამთ მოვიყვან სალდათებს და სულ გავრეკავ ამ თქვენს თათბირსო. არ გჯერათ? ამბა მოუსმინეთ რას სწერს ერთი რუსულად და მეორე—ქართულად: «რუსეთის სოც. დემ. პარტიის ერთმა ხელმძღვანელთაგანმა—სწერს გაბაშვილი—, რომელიც იმავე დროს თავმჯდომარე იყო მუ-

შათა და ჯარისკაცთა საბჭოსი (ნ. ჟ.) განაცხადა: «თუ ს.ქვეინ არ დაიანსმდენით ამ პროგიზერგიანზე, მე გაკრეკავ თათბირს და ეროვნულ საბჭოში არაკითარი არჩევნები არ ძალუნდებაო» (გვ. 23. ხაზი ჩვენია). ასეთ მოთხოვნას მის წრეში თურმე დიდი აყალ-მაყალი გამოუწვევია. მაგრამ მდგომარეობა ისევ გაბაშვილს უხსნია: «მე შევსძელი დამეჯერებია ამხანაგები და ჩვენ დავთანხმდით ამ საზიზღარ წინადადებაზე» ო (იქვე). ეს რუსულათ. ახლა ქართულად: «თუმცა ეროვნული უმრავლესობა არა სოციალისტური წრეებისაგან შესდგებოდა, მაგრამ მარქსელებმა მოითხოვეს ორი მესამედი ადგილი თავის პარტიისათვის ეროვნულ საბჭოში. ან და უარს ამბობდენ «ეროვნული საბჭოს» დაარსებაზე. ამის თაობაზე ეროვ.-დემ. პარტიის ცენტ. კომიტეტში ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი სჯა-ბაასი გაიმართა-ო, რაც ვაჩნაძის გადმოცემით,«დათავებულა დათმობით».

საინტერესოა გავიგოთ—რამ აიძულა ეს რაინდები ასეთ «საზიზღარ წინადადებაზე» დათანხმებულიყვენ? მოტივები დათანხმებისათვის მათი გადმოცემით ბევრი ყოფილა, მაგრამ მოვიყვანთ აქ ორიოდეს უფრო დამახასიათებელს: «ეროვ.-დემ. პარტიის მხრივ ძალა-უფლების ხელში აღება ჯერ უდროეთ და უიმედოა რადგან საქართველო გახვეულია რუსულ-სოციალისტურ ორონტრიალში და მის დაძლევისათვის პარტიას ძალა არ შესწევს. ამ გზას დაადგება პარტია მხოლოდ იმ დროს, როცა რეეოლიუციური ქარიშხალი ჩადგება და ხალხი გამოფხიზლდება სოციალისტურ-უტოპისტების ნამოქმედარ მავნე შედეგებისაგან» და სხ. ცოტა ქვევით იქვე: «მთავრობაში ეროვ.-დემ. მიეცათ ერთი ადგილი—საფინანსო პორტფელი. საქართველოს მთავრობის მესაჭეობა ნ. ჟორდანიას ჩაბარდა»-ო და სხ. (ვაჩნაძე. გვ. 49—50).

პირველ ყოვლისა საჭიროა გაუსწოროთ დ. ვაჩნაძეს ფაქტიური შეცდომა, რაც ასე ბლომათაა მის წიგნაკში. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობა იყო კოალიციური და მისი მესაჭეობა ჩაბარდა არა ნ. ჟორდანიას, როგორც ის სწერს, არამედ ნ. რამიშვილს. ნ. ჟორდანიას ჩაბარდა მესაჭეობა შემდეგ—24 ივნისს. მეორე—ის სწერს: რომ ეროვ.-დემოკრატებს მიეცათ მთავრობაში ერთი ადგილიო. არც ეს არის მართალი. ეროვ.-დემოკრატებს მიეცათ ორი ადგილი, მაგრამ მათ უარი განაცხადეს. ის ერთი ადგილი, რომელიც მათ ეპირათ—მოხდა მათი სურვილის წინააღმდეგ. ეს იყო გ. ჟურული, წევრი ეროვ.-დემოკრატ. პარტიისა, რომელიც შე-

ვიდა მთავრობაში წინააღმდეგ თავის პარტიის ხელმძღვანელთა სურვილისა და მან ეს საჯაროთაც განაცხადა. ამ ურჩობისათვის ის გაბაშვილ-ვეშაპელმა იმით დასაჯეს, რომ როდესაც პირველი მთავრობა წარუდგა «ეროვნ. საბჭოს» თავის დეკლარაციით და მთავრობის შემადგენლობა გაეცნო მას—გამოვიდა ვეშაპელი და თავის ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ მისი ფრაქცია წინააღმდეგ აძლევს ხმას მთავრობის დეკლარაციას და ამავე დროს აცხადებს, რომ ჟურული არ არის ეროვ.-დემოკ. პარტიის წარმომადგენელი და არავითარ პასუხს არ ვაგებთ მის მოქმედებაშიო. ეს იყო ისეთი რამ, რომლის ახსნა დღესაც ძნელია. გასინჯეთ თვითონ: მკვდრეთით აღდგენილ სამშობლოს პირველი მთავრობა, შემდგარი ყველა პარტიისა და ჯგუფის წარმომადგენელთაგან, მოდის დეკლარაციით, სადაც აღნიშნავენ თუ როგორ აფასებენ მდგომარეობას და რის გაკეთებას ფიქრობს და რომ მას, თუ გინდ იმისთვის, რომ იმ აფორიაქებულ ხანაში დაანახო სხვას, რომ მთავრობა გამოხატავს და წარმოადგენს მთელ ერს—გამოდის ერთი ფრაქციის წარმომადგენელი და ტრიბუნიდან საჯაროთ აცხადებს: მე ამ მთავრობას უნდობლობას ვუცხადებ. ერთი მისი წევრი, რომელიც ჩვენი პარტიის წევრია—ჩვენ არ გაგვიგზავნია, მისით შევიდა მთავრობაშიო! ვფიქრობთ მკითხველი თვითონაც ადვილად შესძლებს ასეთი სრულიად დაუშვებელი გამოსვლის ღირსეულად დაფასებას, ამიტომ მე თავს ვიჭერ მისი კვალიფიკაციისაგან.

რაც შეეხება არსებითად უნდა განვაცხადო, რომ გაბაშვილ-ვაჩნაძის მოთხრობილი ამბავი «ეროვ. საბჭოს წევრთა რიცხვის განაწილების შესახებ თავიდან-ბოლომდე მათი გამოგონილია. იმ დროს არც ერთ პარტიას არ აუტეხია დავა რაიმე პროპორციისათვის და არც ეცალა ვინმეს ამისათვის. ან რა მნიშვნელობა ჰქონდა რამდენიმე დეპუტატი მეტი ეყოლებოდა თუ ნაკლები რომელიმე პარტიას! მით უფრო სოც.-დემ. პარტია, რომელის ხელში იყო მოძრაობის მეთაურობა და ხელმძღვანელობა მთელ ამიერ კავკასიაში! და ასეთ დროს ნ. ჟორდანია თურმე რუსის ჯარისკაცების ხიშტებით ემუქრებოდა თავის ქვეყნის პარტიებს რაღაც ზედმეტი ხმების მისაღებად! რამდენად უპატიოსნო უნდა იყოს ადამიანი რომ საქართველოს პირველ პრეზიდენტს და ისიც ისეთ პიროვნებას, როგორიც იყო ნ. ჟორდანია ასეთი სისაძაგლე გამოუგონო!

ნ. ჟორდანიას არავითარი კავშირი არ ჰქონია ხმების გა-

ნაწილებასთან. მას არც კი ეცალა ამისთვის. ხმების განაწილება თათბირზე მოხდა სრულიად მის გარეშე და არც ერთ პარტიაში, ვიმეორებ, არავითარი უთანხმოება არ გამოუწვევია. თათბირმა შეთანხმებით აირჩია საბჭოში 88 წევრი, რომელიც განაწილდა პარტიათა შორის ამ გვარად: სოც. დემ. —51, სოც.-ფედ.—11, სოც.-რევ.—9, ერ.-დემ.—10, რად.-დემ.—1, უპარტიო—2, ალიონისტები—4. ასეთი იყო საბჭოს შემადგენლობა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. როცა და მოუკიდებლობა გამოცხადდა, პირველსავე სხდომაზე, რომ კრებას კანონიერი ხასიათი მისცემოდა, არჩეული იქნა სამანდატო კომისია ყველა პარტიათა წარმომადგენლებისაგან. ეროვ.-დემოკრატებისაგან კომისიაში შევიდა—გ. გვაზავა. ამ კომისიამ დაადგინა საბჭოს წევრთა რიცხვი, ნაცვლად 88—გადიდებულიყო—120. დამატებული 32 ახალი წევრი კი განაწილდა ასე; სოც. დემ.—16, სოც.-ფედ.—5, ეროვ.-დემოკ.—5. ალიონისტებს—1, სოც.-რევოლ.—3, რად.-დემოკ.—1, უპარტიოს—1. როდესაც სამანდატო კომისიამ ეს თავის დადგენილება წარუდგინა საბჭოს დასამტკიცებლათ—არც ერთ პარტიას ასეთი განაწილების წინააღმდეგ კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ უპარტიოებმა და ეროვ.-დემოკ. მოითხოვეს საერთო რიცხვის—120—გადიდება და გადიდებული წევრების რიცხვიდან დამატება იმათთვის, ვისაც წევრთა მცირე რიცხვი ყავდა. მაგრამ სოც.-ფედ. წარმომადგენელმა შ. მიქელაძემ შემოიტანა წინადადება დარჩენილიყო რიცხვი—120. მიქელაძის წინადადება მიღებული იქნა ყველა ხმებით გარდა ორისა. (იხ. «ეროვნული საბჭო»-ს სხომის ოქმი). ასეთია სინამდვილე. ხოლო რასაც გაბაშვილ-ვაჩნაძე გადმოგვცემს—ეს არის ნაყოფი მათი ღვარძლის და სხვა არაფერი.

ვაჩნაძის გადმოცემაში ერთი ახალი გარემოებაა, რომელიც უნდა იქნეს აღნიშნული. მათ ჯგუფში თურმე მსჯელობა ყოფილა «ძალაუფლების ხელში აღების» შესახებ, მაგრამ «ჯერ კიდევ უდროოთ უცვნიათ»—როგორც გვატყობინებს ის. ეს მართლაც რომ ახალი ამბავია. იმ დროს, როცა ყველა პარტიები ქვეყნის განადგურებისაგან ხსნაზე და ხალხის ფიზიკურ გადარჩენაზე დღიან-ღამიანათ იღვწოდენ—გაბაშვილ-ვაჩნაძის ჯგუფი თურმე ძალაუფლების ხელში აღებაზე მსჯელობდა და ოცნებობდა. ვაჩნაძე იმასაც გვატყობინებს, რომ ძალა-უფლების ხელში აღება გადავდევით იმ დროისათვის, როცა «ხალხი გამოფხიზლდებოდა»-ო. ეს «გამოფხიზლება» ალბათ, მოხდა დამფუძნებელი კრების არჩევის დროს, რო-

ᲛᲔ «გამოფხიზლებულმა ხალხმა» დამფ. კრების 130 დეპუ-
ᲨᲘ—109 სოც.-დემოკრატი აირჩია და გაბაშვილი და-ვა-
ᲯᲘ სიახლოვესაც არ გაიკარა. ასე დაიფასა ქართველმა
ᲘᲛᲐ ვაჩნაძე-გაბაშვილების მოღვაწეობა და ხალხის ასეთი
ᲮᲔᲜᲘᲡ შემდეგ მათ ადგილას სხვა ვინმე გაჩუმდებოდა მა-
ᲒᲔᲡᲔᲜᲘ კი განაგრძობენ ბაქიაობას და რაკი სინამდვილე
ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲗ—სიცრუით და ყალბი საბუთებით ლამობენ ამ
ᲛᲓᲒᲘᲚᲘᲡ გაბᲗᲘᲚᲔᲑᲐᲡ. ტყუილი ცდაა. ისტორია იწე-
ᲑᲐᲨᲘᲜ, როცა იქმნება და იმ დროის ისტორიის ფურცლ-
ᲮᲔ ვერავინ ამოიკითხავს ისეთ რამეს, რომელიც ვაჩნაძე-
ᲨᲕᲘᲚᲘᲡ დაფნის გვირგვინს დაუმზადებდეს!
ᲐᲠᲐ ნაკლებ საინტერესოა იმის გაგებაც—თუ რანაირად
ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲜ ვაჩნაძე-გაბაშვილი იმ დროს ხელისუფლების
ᲐᲡ? პარლამენტარული წესით ეს არ შეიძლებოდა, რად-
ᲛᲘ დროს არც პარლამენტი არსებობდა, არც საბჭო და
ᲓᲐᲛᲤ. კრება. ცხადია, აპირებდენ ძალით, ე. ი. იწყებდენ
ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲝᲛᲡ! რის იმედი უნდა ქონოდათ მათ ვერ ვიტ-
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ იმის გაგება კი სამწუხაროა, რომ ჩვენში თურმე
Ი იდეა წარმოშობილა და მისი ავტორი ყოფილა ის ᲯᲒᲣ-
ᲤᲘᲡ ᲬᲔᲠᲝᲜᲘᲡᲬᲘᲠᲘ, რომელიც დღემდე სახელმწიფოებრივი იდეის მატარებ-
ᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ გამოდის. უბრალო რეგისტრაციაც ამ ფაქტის
ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐ ვაჩნაძის და მისი ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘᲡ გასა-
ᲗᲐᲗ.
თვით ეროვნული ყრილობის მოწვევის შესახებ აი რა
ᲗᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ გადმოგვცემს დ. ვაჩნაძე: «პოლიტიკური მდ-
ᲒᲝᲠᲔᲝᲑᲐ მოითხოვდა საქართველოს ეროვნული ყრილო-
ᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐᲡ. საქ. სოც. დემ. პარტიის მეთაური ნ. ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ
ᲛᲓᲔᲑᲝᲓᲐ ასეთი ყრილობის მოწვევაზე «თუ თავად-აზნა-
ᲣᲠᲘ გადმოსცემს ქართველ ხალხს თავის საზოგადო ქონ-
ᲔᲑᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲘᲜᲘᲗ» Ო. ამის გამო მოწვეული იქ-
ᲜᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ თავად-აზნაურთა საგანგებო ყრილობები თბი-
ᲚᲘᲡᲨᲘ და ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ᲐᲛ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲗᲐ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ:
ᲝᲜᲔᲑᲚᲘᲕ გადასცეს ქართველ ხალხს თავის საზოგადო
ᲑᲐ, ᲝᲠᲝᲜᲓ მოწვეულ იქნეს საქართველოს ეროვნული
ᲠᲝᲑᲐ» Ო. (გვ. 42).
დღემდის ყველას გვეგონა, რომ ქართველ თავად-აზნაუ-
ᲠᲗᲐ ᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ და-შეგნებით. თა-
ᲕᲔᲑᲘᲗ გადასცა ქართველ ხალხს თავის საზოგადოებრივი
ᲥᲝᲑᲐ. გაბაშვილ-ვაჩნაძეს გადმოცემით კი ეს მომხდარა ნ.
ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲣᲚᲢᲘᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ—თუ ამას არ იზამთ,

ისე არ ვიქნები თანახმა ეროვნული საბჭოს მოწვევისაო. გამოდის—რომ ნ. ჟორდანიას არ მოეთხოვა, ისე არც კი ფიქრობდა თურმე თავად-აზნაურობა ასეთი აქტის მოხდენას! ასეთ დამცველობას უწევს გაბაშვილ-ვაჩნაძე ქართველ თავად-აზნაურობას და ასე ახურდავებენ მათ მიერ მოხდენილ ისტორიული მნიშვნელობის აქტს! დავიჯეროთ აღარავინ დარჩა ჩვენს მემარჯვენე პარტიებში, რომ ამ თავაშვებულ ხალხს ლაგამი ასდოს?

ეროვნული თათბირი შესდგა თბილისში 1917 წ. 19 ნოემბერს. როცა თათბირმა დაადგინა აერჩიათ «საბჭო»,—ყველა პარტიებმა წარმოადგინეს სია თავის კანდიტატებისა საბჭოში. სიაში ეროვ.-დემოკრატებისაგან ვაჩნაძეც იყო და გაბაშვილიც. მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ «ეროვ. საბჭოს» სხდომაზე წაკითხული იქნა განცხადება, რომ როგორც ეროვ.-დემოკრატების პარტიიდან, ისე მისი საბჭოს ფრაქციიდან გადიან ექვსი წევრი და აარსებენ საბჭოში ცალკე ფრაქციას «დამოუკიდებელი ეროვნული» ფრაქციის სახელწოდებით. ეს ექვსი წევრი იყო: გრ. ვეშაპელი, ვასილ წერეთელი, დავით ვაჩნაძე, მ. მაჩაბელი, რ. გაბაშვილი და შ. ქარუმიძე. ამ ფრაქციის თავმჯდომარე გახდა—გრ. ვეშაპელი და ეს მოხდა 1918 წ. სექტემბერში, ე. ი. დამოუკიდებლობის გამოცხადების სამი თვის შემდეგ. სამი თვის მეტი ვერ გასძლეს თავის საკუთარ პარტიაში და რა გასაკვირია თუ ასეთი ჯგუფი თუ პირები სხვა ჯგუფებისადმი მტრობას და გაუტანლობას იჩენდენ! იმას, ვინც თავის საკუთარ ოჯახში ვერ სძლებს დაგარბის—სხვისი ოჯახის პატივისცემას ვერ მოსთხოვ! მაგრამ კურიოზული ისაა, რომ თვითონ წავიდენ თავის პარტიიდან და ..... გვაბრალიან ჩვენ—სოც.-დემ. გაგვთიშაო! რანაირად შეგვეძლო ჩვენ სხვისი პარტიის გათიშვა და ცალკე ფრაქციათ დაფუძნება—ამას ნორმალური გონიერება ძნელათ წარმოიდგენს. აქვე უნდა შეუნიშნო, რომ ვაჩნაძე-გაბაშვილი ხშირად იმეორებენ: ჩვენი ერ.-დემ. პარტიის თავმჯდომარე კოტე აბხაზიო. ესეც მათი ჩვეულებრივი სიყალბეა. კ. აბხაზი არას დროს ერ.-დემ. თავმჯდომარე არ ყოფილა: კ. აბხაზი და კ. მაყაშვილი შეადგენდენ «უპარტიოთა ფრაქციას» და ყოველთვის გამოდიოდენ ამ ფრაქციის სახელით. ამ «წრეს» ეკუთვნოდა აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი.

სანამ გაბაშვილი და ვეშაპელი ეროვ.-დემოკ. ფრაქციაში იყვენ, შედარებითა უფრო თავდაჭერილათ იყვენ ეროვნულ საბჭოს ტრიბუნაზე. მაგრამ როგორც კი დასტოვეს ეს ფრაქ-

ცია—სულ აიწყვიტეს და თავის უმგვანო გამოსვლებით, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ყველაფერს შვრებოდენ იმისთვის, რომ სახელი გაეტეხათ ახალგაზდა პარლამენტისათვის. და თუ სანამდე მივიდა ამ მხრით საქმე, საკმარისია თუ გინდ იმ განცხადების გაცნობა, რომელიც გააკეთა ერთ-ერთ სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარე კ. ჩხეიძემ. აი ეს გაცხადება: «ჩვენს პრაქტიკაში შემოგვეპარა ერთნაირი პარლამენტარული ყარგონი, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონდეს მოედანზე, «ტალკუჩკაზე». უმორჩილესად მოვითხოვ, რომ ასეთნაირი ფორმა პარლამენტარული მსჯელობისა განდევნილი იქნეს. მე ძალიან ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ მე იძულებული ვიყავი მეთქვა ეს, რადგან ეს არ შეეფერება არც თქვენს ღირსებას და არც ჩვენს ეროვნულ საბჭოს».

ეს ყარგონი კი შემოიტანეს ვეშაპელმა და გაბაშვილმა და თავმჯდომარის ეს განცხადებაც ვაკეთებული იყო გაბაშვილის ერთ-ერთი გამოსვლის გამო. ამათმა ვერ შეითვისეს ის აზრი, რომ პარლამენტის ტრიბუნა ეს იყო უაღრესად საპასუხისმგებლო ტრიბუნა და რომ აქ არ შეიძლებოდა იმ ლექსიკონით ლაპარაკი, როგორსაც ისინი მიმართავდენ. ვერც იმას გაუწიეს ანგარიში, რომ ჩვენ ვიყავით ახალი სახელმწიფო, მტერი და მოყვარეც შემოგვყურებდა—ვიყავით თუ არა მომზადებული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის.

საინტერესოა, რომ საპარლამენტო ტრიბუნის ეს უმაღლესი დანიშნულება ხელათ შეიგნეს და შეითვისეს ჩვენმა მუშებმა, რომლებიც პარლამენტის წევრებათ იყვენ. ყველა მათ ისე ეჭირათ თავი თითქოს დიდი ხნის პარლამენტარული გამოცდილება ჰქონოდათ. არ ყოფილა შემთხვევა რომელიმე მათგანს ან თავის ქცევით, ან თავის გამოსვლებით, ან თავის ლექსიკონით, ოდნავ რითმე შეებღალოთ დეპუტატის და პარლამენტის მაღალი ღირსება. საკმარისია გადაიკითხოთ სტენოგრამა მათი გამოსვლებისა, რომ ამაში დარწმუნდეთ.

გაბაშვილ-ვაჩნაძეები სიტყვას არ მოაბრუნებენ ისე, რომ გვარდია არ ჩაწიხლონ! საკვირველია! როცა ამ ორმოცი წლის შემდეგ ვიხედები უკან და ვიგონებ იმ დროის ამბებს—სხვა მრავალ საკითხთა შორის ჩემი ყურადღება ჩერდება იმაზედაც, თუ რით არის გამოწვეული ჩვენი ნაციონალისტების ასეთი სიძულვილი სახალხო გვარდიისადმი, რომელიც, როგორც სჩანს, რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში ოდნავადაც არ განელებულა! რით დაიმსახურა სახ. გვარდიამ ამ:თი ასეთი მტრობა და სიძულვილი? გვარდია შესდგებოდა მუშები-

საგან და გლეხებისაგან. ყველა ესენი იყვენ, მაშინდელი ტერ-
მინით რომ ვსთქვათ, მოწინავე ელემენტები. საკმარისად მო-
მზადებულნი საზოგადო საკითხებში, უაღრესად იდეურები,
პიროვნულად ყველა ზრდილი, თავაზიანი და მორიდებულნი.
საზოგადოებრივად დიდი ხნის აქტიური მონაწილენი ყოველ-
გვარი ქართული პროგრესიული წამოწყებისა, სახელმწიფო
ბრივად განუკითხავად თავდადებულნი თავის ქვეყნისათვის.
სადაც კი ანარქია წამოყოფდა თავს—გვარდია იქ იყო გაჩენი-
ლი და აღადგენდა წეს-რიგს. როცა საზღვარს მტერი მოად-
გებოდა—გვარდია ცეცხლის პირველ ხახსე იდგა და მტრის
ტყვიას შეუდრეკლათ მკერდს უშვერდა, როცა ომი დათავ-
დებოდა—სამხედრო ტროფეებათ თავის ამხანაგების ცხედარს
მოასვენებდენ ხოლმე და დაჭრილები მოჰყავდათ. უდაო ფა-
ქტია, გვარდია არ ყოფილიყო, ვინ იცის ჩვენი ქვეყნის და-
მოუკიდებლობა როდის და რა პირობებში გამოცხადდე-
ბოდა. გვარდია ხომ ჯამაგირს არ იღებდა, რომ ამ ნიადაგზე
მას რაიმე გაუგებრობა გამოეწვია. ის არ შემდგარა თავის ნე-
ბით და თვითნებობით. მას დაუძახეს დასახმარებლათ წეს-
რიგის აღდგენაში, მანაც მიატოვა თავის ყოველგვარი პირა-
დი და ოჯახური საქმეები და ხელში იარაღი აიღო. ის არ იყო
თვითნება ორგანიზაცია. ის იყო ჯერ რევ. ორგანოების და
მერე მთავრობის განკარგულებაში და ასრულებდა მხოლოდ
და მხოლოდ მათ დავალებას. გვარდია არც ცალკე, დამოუ-
კიდებელი პარტია იყო. რომ მას პარტიულ-პროგრამულ ნი-
ადაგზე რაიმე უსიამოვნება ჰქონოდა სხვა პარტიებთან და სხ.
და სხ.

მაშასადამე, კიდევ—რით აიხსნება მისდამი გაბაშვილ-
ვაჩნაძების ასეთი სიძულვილი, რომელიც დღემდე გრძელ-
დება და მისგან ვერ შეიკავა თავი ისეთმა თავდაჭერილმა
ნაციონალისტმაც კი, როგორიც არის რ ინგილო. მან ჩემი
წიგნის შესახებ დაწერილ წერილის ბოლოში გვარდიის მეთა-
ურს ვ. ჯუღელს ისეთი რამეები მიაწერა, რომელიც მას არ
შეეძლო ეთქვა და არც ჰქონდა საამისო საბაბი. სამშობლო-
სათვის მოწამებრივად შეწირული ადამიანი ასეთი ცილისწა-
მებისაგან მაინც უნდა იქნეს დაზღვეული ისეთი პირისაგან,
როგორიც არის ინგილო.

ვალიკო ჯუღელს იმდენი ღვაწლი მიუძღვის საქართვე-
ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამკვიდრებაში და მან
ისე მიიტანა თავის თავი ზვარაკად მისი აღდგენის საკურთ-
ხეველზე, რომ ვიღაცას მიერ შეთხზული ბრიყვული ცილის-

წამების დოკუმენტად გამოტანა—ნამდვილი დანაშაულობაა. ასეთ პირებს წინეთ ეკლესია წმინდანთა შეირიცხავდა ხოლმე და თუ დღევანდელი ნაციონალისტების ეკლესია ასეთ რამეს არ სჩადის, იმას მაინც არ ემართლება, რომ ციხისწამებით შემოსოს მისი მოწამებრივი ხსოვნა! ვ. ჯუღელს, როგორც წინეთ, ისე ახლა გაბაშვილ-ვაჩნაძე წამოსძახებენ ხოლმე— ბოლშევიკი იყოვო! მერე რა! იყო ბოლშევიკი რევოლიუციამდე, როცა რევოლიუცია დაიწყო—მიატოვა თავის წრე, ანსხა თოფ-იარაღი და თავდადებულათ ჩაეყენა თავისთავი ქვეყნის ხელმძღვანელთა განკარგულებაში და უსიტყვოთ ასრულებდა ყველა მათ განკარგულებას. და თუ ისაა დასაყვედრი, რომ შეხედულება შეიცვალა და ძველი აზრები უარყო—მაშინ დასაყვედრი ყოფილა თვით ინგილო, რომელიც ჩემთან ერთად, ჯერ კიდევ ინსტიტუტში სოც.-დემოკრატ. ორგანიზაციაში იყო და შემდეგაც კარგა ხანს დარჩა ამ ორგანიზაციაში.

რაც შეეხება თვით ეროვ.-დემოკრატების პარტიას—ამის შესახებ სოც.-ფედერალისტების ერთი მეთაურთაგანი გ. ლასხიშვილი, თავის მოგონებაში, მოგვითხრობს შემდეგს: «ჩვენს პარტიაში მოხდა განხეთქილება. ბევრნი, უმეტესად მემარჯვენენი, პარტიიდან გავიდენ. შემდეგ ხანებში საქართველოში ამ ელემენტებიდან დაარსდა ეროვ.-დემოკრატების პარტია. მთავარი დამაარსებელი ამ პარტიისა ჩვენი პარტიის ყოფილი წევრი იყოვო» და სხ. (გვ. 240). თვით გაბაშვილი ხომ ერთ დროს სხვა პარტიის წევრი იყო! და თუ ასეთი რამ დიდი დანაშაულია—მაშინ აქ, ემიგრაციაში, მათ წრეში ბევრია სასტიკად დასასჯელი.

ჩვენ აქ ასე ვრცლად შევჩერდით საერთოდ გვარდიაზე და კერძოთ მისი მეთაურის პიროვნებაზე, რათა ნათელ-გვეყო, რომ მემარჯვენეების სიძულვილს გვარდიის მიმართ არც საზოგადოებრივი, არც სახელმწიფოებრივი და არც პატრიოტული მოტივები არ ამართლებენ. ამიტომ ის უნდა ვეძიოთ თვით ამ მემარჯვენეების ბუნებაში და მახინჯ ფსიხიკაში. მათ სძულდათ გვარდია იმიტომ რომ გვარდია იცავდა რუსპუბლიკას, რესპუბლიკა კი ნიშნავს ხალხის მართველობას და რადგან გაბაშვილ-ვაჩნაძეების წრე ყოველგვარ მეთაურობას თავის წილ ხდომილად სთვლიდა—ვეღარ იტანდენ სხვის მეთაურობას. მაგრამ გვარდიის შიშით ვერც მის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას ბედავდენ. ალბათ, ამ ნიადაგზე იმდენი ბოღმა დაგუბდა მათ გულში, რომ დღემდე ანთხევენ და კი-

დევ არ გამოილია. არავითარი სხვა საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მოტივი გვარდიის სიძულვილისა მათ არც ჰქონიათ და არც შეიძლება ჰქონოდათ. ეს სიძულვილი კი, ვიმეორებ, იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ დღესაც, ამ 40 წლის შემდეგაც არ აძლევს მათ მოსვენებას და გაბაშვილის პირით, უცხო აუდიტორიას მათ შესახებ ისეთ რამეებს აწვდიან, რაც სხვა დროს წარმოუდგენელი იყო. და ამას ეძახიან პატრიოტულ მოღვაწეობას!

რომ გვარდიისადმი ამ თავის პირად თუ ჯგუფურ ტიტველ სიძულვილს ცოტათი მაინც საზოგადოებრივი ხასიათი მისცენ—გვარდიის საკითხს უკავშირებენ რეგულიარული ჯარის შექმნის საკითხს. თითქოს გვარდიის არსებობამ ხელი შეუშალა ჯარის შექმნას. უჯაროთ კი ქვეყანა დაუცველი დარჩა და აკი მტერმაც ასე ადვილად დაგვიპყროვო—იმეორებენ ყველა ჯვარედინ გზაზე. იმას კი არ დაგიდევენ, იმ პირობებში, რომელშიდაც ჩვენი ქვეყანა იყო—შეიძლებოდა თუ არა საზოგადოთ ჯარის სათანადოთ შედგენა. ან როდის უნდა შემდგარიყო ჯარი? საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წ. 26 მაისს, დაპყრობა მოხდა—1921 წ. თებერვალში. ე. ი. სამი წლის შემდეგ და ამ მცირე დროს განმავლობაში და ისიც ჩვენს პირობებში—აბა რა ჯარის შექმნა შეიძლებოდა!

მაგრამ მიაჩნდა თუ არა მთავრობას საჭიროთ ჯარის შექმნა და ზრუნავდა თუ არა ამისათვის? გავეცნოთ ამასაც. როგორც კი გამოცხადდა დამოუკიდებლობა და შესდგა მთავრობა, მან მაშინვე მიმართა ქართველ ხალხს მოწოდებით, სადაც უხსნიდა მას ჯარის შედგენის აუცილებლობას. მოწოდება თავდებოდა ასე: «თავისუფალნო ქართველნო! მიმოიხედეთ რა ხდება ირგვლივ! თავისუფლებას უნდა დაცვა. მოგლა, როგორც ახალგაზდას, ჯერ კიდევ ძირმოუმაგრებელ მცენარეს. რომ დავიცვათ თავისუფლება უნდა ვიყოთ ძლიერი. ამისათვის უნდა შევქმნათ შეკავშირებული მწყობრი ჯარი. იჩქარეთ, დაეხმარეთ სამშობლოს» და სხ.

ებრძანა თბილისის და ქუთაისის კომისრებს: «შთააგონეთ ყველას, რომ ბედი სამშობლოსა და რევოლიუციისა დამოკიდებულია ჯარზე. დაარწმუნეთ ყველა, რომ ჯარისკაცის წოდება არას დროს არ ყოფილა ასე საპატიო და საამაყო, როგორც დღეს. გამოგზავნეთ ჯარისკაცები. გამოგზავნეთ მოხალისენი» და სხ. ამ დროს ხელისუფლების ადგილობრივი აპარატები ჯერ კიდევ არ იყო ისე მოწყობილი, რომ შესაძ-

ლებელი ყოფილიყო მობილიზაციის გამოცხადება და ჩატარება, ამიტომ მიმართავდენ მოწოდებით.

ივნისში შესდგა ნ. ჟორდანიას მთავრობა. საბჭოს პირველსავე სხდომაზე, მან თავის დეკლარაციაში, სხვათა შორის, სთქვა: «დიდი ხანი არაა, რაც ჩვენ მივიღეთ კანონი გვარდიის შესახებ, მაგრამ ეს არ კმარა. სახალხო გვარდიას ჩვენ უნდა მივმართოთ განსაკუთრებულ შემთხვევაში. თუ გვარდია მუდამ ფეხზე იქნება, ამით დაზიანდება მრეწველობა, რადგან გვარდია, როგორც იცით თქვენ, შესდგება მუშებისაგან. ჩვენ უნდა შევქნათ რეგულიარული ჯარი და გვარდია დავაბრუნოთ თავიანთ ქარხნებში». და კიდევაც შემოიტანა კანონპროექტი ჯარის შესაქმნელად, რომელიც მიღებულ იქნა ორ აგვისტოს, ე. ი. დამოუკიდებლობის გამოცხადების ორი თვის შემდეგ.

ეს პროექტი შემუშავებული იყო ქართველი სამხედრო პირების მიერ და გერმანელი სამხედრო სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით.

. თანახმად ამ პროექტისა დაარსებულ იქნა გენ. შტაბი სხვადასხვა სექციებით, რომელთა სათავეში ჩაყენებული იყო საუკეთესო სამხედრო პირები. მართალია ყველა ეს სექციები და მათი მეთაურები ემორჩილებოდენ სამხედრო სამინისტროს, რომლის სათავეში იდგა არა სამხედრო პირი, მაგრამ ამ შემთხვევაში კანონით დაშვებული იყო ისეთი გამონაკლისი, რომელიც არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს და შეიძლება ჩვენთვისაც ზედმეტი იყო. ეს გამონაკლისი იყო შემდეგი: «სამხედრო მინისტრს დაენიშნება ამხანაგი, რომელიც იმავე დროს ნაცვალია სამხედრო მინისტრის. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მიმდინარე საქმეებს პრინციპიალური და საბიუჯეტო ხასიათი არ აქვს, სამხედრო მინისტრის ამხანაგი დამოუკიდებლად გადასწყვეტს საქმეს და სამხედრო მინისტრის მაგიერ აწერს ხელს». ეს მუხლი კანონისა საგანგებოთ იყო შექმნილი, რომ სამხედრო უწყებისათვის მიეცათ სრული საშვალება ემუშავათ თავისუფლათ და დამოუკიდებლათ ე. წ. «შტატსკი» პირებისაგან. თანახმად ამისა, სამხედრო მინიტრის ამხანაგად მუდამ იყო სამხედრო პირი. პირველად დაინიშნა გენ. კვინიტაძე, შემდეგ, როცა ის მთავარ სარდლათ დაინიშნა—მის ადგილას დაინიშნა გენ. ოდიშელიძე, ხოლო მის შემდეგ გენ. გედევანიშვილი, რომელსაც გარდა მისი პირდაპირი მოვალეობისა, საგანგებო ბრძანებით, დაეკისრა პირდაპირი ზედამხედველობა და ხელმძღვანელობის გაწევა

ჯარის ორგანიზაციის ძირითადი კანონების ცხოვრებაში გასატარებლად, რასაც მინისტრი უმატებდა: «გამოცდილება, ღვაწლი და ენერგია გენერ. გედევანიშვილისა მაიმედებს, რომ ის მოკლე დროში სათანადოთ მოაწყობს ჯარის ორგანიზაციას.».

ასე რომ ჯარის მომზადების საქმე პირველი დღიდანვე ჩაბარებული ჰქონდა ცხობილ სამხედრო პირებს.

მიუხედავად ქვეყნის მეტისმეტად მძიმე ეკონომიური პირობებისა—სახელმწიფოს ბიუდჯეტში სამხედრო უწყების ხარჯების დასაფარავად ისეთი თანხა იქნა შეტანილი, რომ პირველ წელიწადს (1918 წ.) ხუთი მილიონი დაუხარჯავი დარჩა. შემდეგ წლეებში კი (1919—1920 წ.წ.) სამხედრო ხარჯები კიდევ უფრო გაიზარდა (იხილე ხარჯთ-აღრიცხვა) და მთავრობის საგანგებო დადგენილებით ხაზინა პირველყოვლისა აკმაყოფილებდა სამხედრო უწყებას. ასე რომ მთავრობამ ყველაფერი ქნა რაც მისგან იყო დამოკიდებული, რომ რეგ. ჯარი სათანადოთ მოწყობილიყო და თუ მიუხედავათ ამისა ის მაინც არ მოეწყო ჯეროვნად—ამის მიზეზი სულ სხვა ადგილას უნდა ვეძიოთ.

რეგულიარული ჯარის შედგენა არაა ისე ადვილი, როგორც ზოგიერთებს ეჩვენებათ. ეს უდიდესი და მეტად რთული ორგანიზაცია ითხოვს სახელმწიფოსაგან ხანგრძლივ შრომას წლების მანძილზე. მის შესაქმნელად არ კმაროდა მარტო ის, რომ გეშოვათ ტანსაცმელი და შეიარაღება. ეს რთული ორგანიზაცია მოითხოვს მთელი სახელმწიფო აპარატის სათანადოთ მოწესრიგებას, რაც იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო მოგვარებული. ამ დაბრკოლებათა გადალახვა რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველივე შესაძლებლობას აღემატებოდა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ჯარის შესაქმნელად მუშაობა მაინც მიმდინარეობდა და კიდევაც, თითქმის პირველი დღიდანვე. შეიქნა მცირე რიცხოვანი ჯარი, რომელიც გვარდიასთან ერთად იღებდა მონაწილეობას, როგორც ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე ქვეყნი დაცვაში. და თუ ის სუსტი იყო—ეს იყო სისუსტე თვით ქვეყნის და არა ვისიმეს ბოროტი ზრახვების, რასაც ასე უპასუხისმგებლოთ წამოისვრიან ხოლმე ჩვენი მოწინააღმდეგენი. რასაკვირველია, ვინც დამოუკიდებლობის დროისას ყველაფერს წყეველა-კრულვით იხსენიებს, თქმა არ უნდა, ასეთ ფაქტებსაც გვერდს აუვლის. აი როგორ პროპაგანდას უკეთებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი თავის ქვეყნის წარსულს უცხოეთში და ამავე დროს ვითომ

დამოუკიდებლობის აღდგენას ძირს უმაგრებენ! იმაზე კი ერთხელაც არ დაფიქრდებიან, რომ მთავრობა მათ ხელში ყოფილიყო—ჯარს კი არა ერთ ჯარისკაცსაც ვერ იშოვიდენ! და ასეთი ხალხი, დიდი ბაქა-ბუქით გამოდიან და გაჰყვირიან —ყველაფერი მთავრობამ და სოც.-დემ. პარტიამ დაღუპა. რადგან აწარმოეს არა სახელმწიფოებრივი, არამედ პარტიული მუშაობაო. და ჩვენი პარტიის გასაწბილებლად უმატებენ: «რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ფილიალს შეადგენდენ»-ო! ჩვენ არას დროს არ დაგვიმალავს და არც ვმალავთ, რომ შევდიოდით რუს. სოც-დემ. პარტიაში და არც ვხედავთ ამაში რამეს რომ საჭიროებდეს დამალვას. საქართველო მისი დაპყრობის შემდეგ ფორმალურად გახადეს რუსეთის იმპერიის ნაწილად, ამით მოგვაქციეს ერთ სახელმწიფოში და ამ სახელმწიფოში კი ვიყავით იმ პარტიაში, რომელიც ყველაზე უკეთ იცავდა სოციალურ და ეროვნულ სამართლიანობას. მაგრამ როცა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა—ჩვენც გამოვედით ამ პარტიიდან და შევქენით საკუთარი—«საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტია»! რა არის ამაში ისეთი, რომ მისი წამოქადნებით ვინმემ რაიმე კაპიტალი შეიძინოს!

ვაჩნაძე-გაბაშვილის გამოგონებას ეშმარიტად საზღვარი არ აქვს. აბა მოუსმინეთ: «არსებულ ქართულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა შინა დავაში—სწერს ვაჩნაძე—ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვი მხარში ამოუდგა ახლად ორგანიზაციულად დამკვიდრებულ ქართველ მარქსელების პარტიას» (გვ. 27). შემდეგ: «კავკასიაში დატრიალებულმა ამბებმა მიიზიდეს ყურადღება პეტერბურგში ზოგიერთი გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწეებისა. გრაფ ვარანცოვ დაშკოვს მოუვიდა შეკითხვა თუ რატომ უჭერს მხარს ქართველ სოც.-დემ. პარტიას. თავის ცნობილ «უქვეშ. მოხსენებაში» იმპერატორ ნიკოლოზისადმი (1907 წ.) ვორონცოვმა მოურიდებლათ განუცხადა იმპერატორს, რომ ის მხარს უჭერს ქართველ სოც.-დემ., რადგანაც ის ერთად-ერთი პარტიაა საქართველოში, რომელიც თავისი პოლიტიკური მიმართულებით და გეგმით იცავს რუსეთის იმპერიის მთლიანობას და ებრძვის თავადაზნაურობაში დამკვიდრებულ ქართულ ნაციონალიზმს და რუსეთისაგან ჩამოშორების ტენდენციებს» (გვ. 30). მთელი ეს ამონაწერი ვაჩნაძეს მოჰყავს ვითომდა ის იყოს ამოღებული ნამესტნიკის მოხსენებიდან, მაგრამ არც ფრჩხილებში სვამს და არც გვერდს უჩვენებს. უკეთებს კი ასეთ კომენტარიას: «ნამესტნიკი ვორონცოვის უჩუმარი მფარველობის ქვეშ გა-

ღვიძებულმა ამ გვარ «კლასთა ბრძოლის» მოძრაობამ საქართველოში გაშალა ფრთები. ამას მოჰყვა ზოგიერთ ადგილებში,, განსაკუთრებით საქართველოს შუაგულში—ქართლში, ხალხის არეულობა და ადამიანთა მსხვერპლი* და სხ. (გვ. 29).

ეოთხელ ასეთი სისულელე დასწერა შ. ამირეჯიბმა და რომ ნამესტნიკის ვითომდა ასეთი «მოხსენება» დასაჯერებელი გაეხადა, უმატებდა: «ნამესტნიკი ვორონცოვ დაშკოვი ჭკვიანი, განათლებული, სახელმწიფო საქმეებში გამოცდილი კაცი იყოვო»! თუ რამდენად მფარველობდა ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვი «კლასთა ბრძოლის მოძრაობას» სჩანს თუ გინდ იმიდან. რომ სწორედ იმ წლებში, რომელ საც ვაჩნაძის მიერ ნახსენები ნამესტნიკის «მოხსენება» ეხება აღმიერ-კავკასიიდგან გადაუსახლებიათ 8334 კაცი. ამათში 74 პრ. საქართველოდან ბათუმის და მისი ოლქის გამოკლებით. რომელთა შესახებ ცნობები ჩვენს განკარგულებაში არ არის. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ბათუმის ოლქის მონაწილეობას მოძრაობაში—გადასახლებათა რიცხვი არც აქედან იქნებოდა უმნიშვნელო. გარდა ამისა. ამავე დროში სასამართლოებში ყოფილა მიცემული—2259 კაცი, რომელთაგან გაუნთავისუფლებიათ მხოლოდ 26 პროცენტი. დანარჩენი ყველა დაუსჯიათ. (ციფრები ამოღებულია თბილისის ციხეთა სამართველოს უწყების ცხრილიდან). ყველა ამათში ვაჩნაძეგაბაშვილის თანამოაზრე არ იქნებოდა არც მეოთხედი პროცენტი ი როგორ მფარველობდა სოც.-დემ. პარტიას ვაჩნაძეამირეჯიბების «ჭკვიანი და განათლებული» ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვი!

რომ ნამესტნიკმა ვორონცოვ-დაშკოვმა 1906 წელს წარუდგინა მოხსენება თავის იმპერატორს კავკასიის შესახებ. რომელმაც იმ დროს დიდი ყურადღება მიიპყრო—ეს სავსებით მართალია. მაგრამ ობსოლიუტურად ტყვილია. თითქოს ამ მოხსენებაში ეწეროს ისეთი რამეები, რასაც ახლა ვაჩნაძეგაბაშვილი თხზავს. სიმართლე იმაშია, რომ ამ მოხსენებას წინ უძღოდა 1905 წლის დიდი ხალხური მოძრაობა: რომელსაც სათავეში ედგა ქართველი. სოც.-დემოკრატია. მოძრაობამ ძირეულად შეარყია კავკასიის იმ დროის მართვა გამგეობა და კავკასიის საკითხი დღის წეს-რიგში დააყენა. ნამესტნიკის მოხსენებაც ამ საკითხს ეხება და თუ შედარებით უფრო ლიბერალური წესების შემოღებას მოითხოვდა მართველობაში—ამაში. როგორც მოძრაობამ, ისე ამ მოძრაობის მეთაურმა სოც.-დემ. პარტიამ უდიდესი როლი ითამაშა არა მხო-

ლოდ რევოლიუციონური, არამედ ეროვნულიც. ასეთია ისტორიული სინამდვილე, ხოლო რასაც ახლა ვაჩნაძე-გაბაშვილები ჩმახავენ—ეს არის მათი «ავი გულით და ავი სულით» ნაკარნახევი ზღაპარი და მეტი არაფერი.

გაბაშვილ-ვაჩნაძის გადმო კემით, თბილისში ჯერ კიდევ 1914 წ. თურმე შექმნილა «საქარ. ნაციონალისტური პარტია», რომელსაც «პრაქტიკული და ორგანიზაციული მუშაობა დაუწყია ჯერ კიდევ 1911 წელს. 1912 წელს გამოუცია ჟურნალი «კლდე», რომლის პირველ ნომერში თავის კრედოთ გაუხდია 1783 წლის ტრაქტატი». გაუჩაღებიათ დიდი მუშაობა და რაც მთავარიაო—სწერ გაბაშვილი—«რიგა იმი დაიწყეს ძალიანად დავიდექით ავსტრია-გერმანიის კიჯალიციის შსარეწმ რუსეთის წინააღმდეგ, და არა მხოლოდ სიტყვით, არამედ პრესით და აქტებით»-ო (ხაზი მისია. გვ. 9). ეს აქტები თურმე იმდენი ყოფილა, რომ «იმის ჩამოთვლა რამდენიმე ფურცელს დაიჭერდა»-ო. ამ აქტების შინაარსი კი მისი გადმოცემით ყოფილა «წყალ-ქვეშა და წყალ-ზედა და ხმელეთზე იმი რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ». (ეს ხაზი კი ჩვენია). ამ ტოტალური ომიდან, რომელიც გაბაშვილის «ნაციონალისტური პარტია»-ს უწარმოებია, მას მოჰყავს სანიმუშოთ «რუსეთის სამხედრო მინისტრ-სუხომლინოვის და .... დუმბაძის და სხვების პროცესი», რაღაც «ამერიკული ყუმბარების პროცესი» და ყოველივე ამასთან დაკავშირებით ჩემდა საკურადღებოთ აცხადებს: «დეე, იცოდეს ურატაძემ, რომ დუმბაძე გურული იყოვო!». დუმბაძე რომ გურული იყო—ეს მე ბავშობიდან ვიცოდი, მაგრამ რა კავშირი აქვს «გურულობას» ყოველივე მის მიერ მოთხრობილთან მაინ ვერ გავიგეთ. გაბაშვილს როცა დასჭირდება გურულებს ლიხის მთის გასავალის დაკეტვით გვემუქრება—თბილისში არ შემოვიდენო, ხოლო როცა დასჭირდება—გურულებთან ახლო ყოფნას მისთვის სანუკვარათ სთვლის! ჩვენ მაინც ვერ გავიგეთ რა კავშირი ჰქონდა იმ «ნაც. პარტიას», რომელიც თურმე თბილისში დაარსებულა და რომლის დაარსება მხოლოდ მას და ვაჩნაძეს სცოდნია—რუსეთის სამხედრო მინისტ სუხომლინოვთან და მის გასამართლებასთან! ხომ არ უნდათ ამით იმის თქმა: შემოგვხედეთ ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ და ჩვენი «ნაციონ. პარტია»-ო? თუ ასე ფიქრობენ მათ სჭირდება ექიმობა და არა კამათი!

გაბაშვილის ამ «ნაც. პარტიის» შესახებ დღემდე ჩვენ არავისაგან არაფერი გვსმენია, არც სადმე პრესაში ამოგვი-

კითხავს ამის შესახებ რაიმე და არც ვფიქრობთ აღმოჩნდეს ისეთი პირი, რომელმაც ეს ზღაპარი დაადასტუროს! აბა, როგორ მოხდა ვერ გავიგეთ, რომ ჩვენში თურმე არსებობდა პარტია, რომელსაც „უწარმოებია «წყალ-ქვეშა და წყალ-ზედა და ხმელეთის ომი რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ», საქმე ჰქონია «ამერიკულ ყუმბარებთან», «ჩრდილო-კავკასიაში სამხედრო მატარებელი გადაუგდიათ». „ელადიკავკაზის ახლოს თვივის ზვინები დაუწვავს». «მრავალი ასეთი რამეების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეძეძლო გამეგრძელებია»-ო—სწერს გაბაშვილი—და ათავებს ასე: «a la guere, comme a la guere»!

მოდი და ნუ შეგეშინდება! აქ ისეთი ამბები ყოფილა, რომ კარაპეტას არ იყოს—სჯობია გავშორდეთ, რომ ხათაში არ გავებათ! მაგრამ განშორებისას ერთი მაინც უნდა ვიკითხოთ: თუ ჩვენში ისეთი ძლიერი მებრძოლი «ნაც. პარტია» არსებობდა, რომელსაც «წყალქვეშა, წყალზედა და ხმელეთის ომი» უწარმოებია, ჰქონებია ამდენი «ამერიკული ყუმბარები»—რა უჭირდა ერთი მაინც სადმე თავის საშმობლო ქვეყნის მიწაზე გაეგორებია, რომ მტერი დაეფრთხო! შეიძლება მოერიდა—ყუმბარების ხმაურობით თავის ჯგუფის წევრები არ გაეღვიძებია!

არა ნაკლებ სენსაციურია მისი მეორე ცნობაც: ჩვენში არსებულა «საქველმოქმედო საზოგადოება», რომლის სახელწოდებით თურმე მოქმედებდა «საქართველოს ფაქტიური დროებითი მთავრობა» (გვ. 13). კიდევ და კიდევ—როგორ მოხდა რომ ამდენი წელი, თვითმპყრობელობის დროს «საქართველოს ფაქტიური დროებითი მთავრობა» გვყოლია და ჩვენ კი ამის შესახებ არაფერი ვიცით! საკვირველია მით უმეტეს რომ გაბაშვილის მიერ ნახსენები «საქველმოქმედო საზოგადოება» არსებობდა არა მხოლოდ თბილისში, არამედ ქუთაისში და ბათუმში და მის მუშაობაში ყველგან აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ჩვენი პარტიის წარმომადგენელნიც. ერთ დროს ქუთაისის «საქვ. საზ.» მუშაობაში, რომლის თავმჯდომარე იყო ნაფიცი ვექილი მექი ფალავა—მე თვითონ ვიღებდი მონაწილეობას სხვა ჩემს პარტიულ ამხანაგებთან ერთად (გრ. გიორგაძე. ან. გელაზაროვი და სხ.) და ღღემდის არ ვიცოდი, რომ თურმე «საქარ. დროებითი მთავრობის» წევრი ვყოფილვარ! ასევე იყო ბათუმშიაც, სადაც ასეთი «საზ.» თავმჯდომარე იყო ექიმი ელიავა და მასთან მუშაობდენ მთელი რიგი ჩვენი ამხანაგებისა. ცხადია არც მათ იცოდენ რომ «საქართ-

ველოს დროებითი მთავრობის» წევრი ყოფილან, თორემ ერთხელ მაინც იტყოდენ სადმე! და თუ არ თქვეს—იმიტომ რომ არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. ეს იყო ჩვეულებრივი, მართლაც საქველმოქმედო საზოგადოება და სხვა დანარჩენი ყოველივე არის ნაყოფი გაბაშვილის ფანტაზიის. აი როგორ სწერენ გაბაშვილები ისტორიას!

კიდევ უფრო სენსაციურია გაბაშვილის ცნობა იმ «დრუჟინა»-ს შესახებ, რომელიც ამ მის მიერ აღმოჩენილ «ნაციონ. პარტიას» ჰყოლია და ისიც თვითმპყრობელობის დროს! არ გჯერათ? აბა დაუგდეთ ყური: «საქარ. განმათავ. კომიტეტის» ლეგიონი ძმები გ. და ლ. კერესელიძეების და ნ. მაღალაშვილის მეთაურობით. ამას უნდა მიუმატოთ ორი დრუჟინა გენ. ვაჩნაძის საერთო ხელმძღვანელობით და მარშალ ნიკარაძის» და სხ. და სხ. «ყველას ვერ ჩამოვთვლიო» (გვ. 11). მაგრამ იქვე უმატებს: «2000 კაცი ქართველ მაგამეტანებისაგან შემდგარი, 1000 კაცი კიდევ აღმოსავლეთ საქართველოდან და 1000 დასავლეთ საქართველოდან შემდგარი მხოლოდ და მხ.ლოდ პატრიოტებისაგან»-ო. ჰქონიათ აგრეთვე მთელი რიგი იარაღის საწყობები, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში. სადაც «გლეხების ურმებით გადაგვქონდა იარაღიო» (გვ. 14). სწორეთ ამაზეა ნათქვამი: იცრუე მაგრამ იცოდე ზომაო და გაბაშვილს რომ «ზომა» დაეცვა და ეთქვა:—ორი-სამი ჩახმახიანი თოფი გვქონდაო—ამას დავიჯერებდით, მაგრამ ეს ათასიანი დრუჟინები და ლეგიონები?! და ყოველივე ეს თვითმპყრობელობის დროს? იქნებ გაბაშვილი ანგარიშობს იმ დრუჟინას, რომელიც შეადგინა ოსებისაგან მისი კუთხის, თავად-აზნაურობამ თავის გლეხებისაგან მიწის ღალის ასაღებათ? ან იქნებ ანგარიშობს თავად აზნაურობის იმ მოხალისე დრუჟინას, რომელიც შესდგა ომის დროს რუსის ჯარის დასახმარებლათ ოსმალების წინააღმდეგ, რომლის ერთ-ერთ რაზმს წინ უძღოდა თვით დავით ვაჩნაძე, თეთრი ცხენით რუსთაველის პროსპექტზე. იქნებ კერესელიძეების ლეგიონი—ეს ის ლეგიონია, რომელიც შეადგინა იმ კომიტეტმა, რომელსაც «საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს» ეძახიან გერმანიის ლაგერში მყოფ ქართველ ტყვეებისაგან, რომელთა რიცხვი ას კაცს არ ასცილებია და რომელიც საქართველოში შემოვიდა თავის კომიტეტთან ერთად მას შემდეგ, როცა საქართველო უკვე განთავისუფლდა და ადგილობრივი ხელისუფლება დამყარდა? არც გაბაშვილი და არც ვაჩნაძე არ ასახელებენ არც ერთ შემთხვევას. რომ ამდენ დრუჟინებს და ამ-

დენ ლეგიონებს რაიმე მონაწილეობა მიეღოთ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმეებში! არ ასახელებენ იმიტომ რომ მათ არც დრუჟინა ყოლიათ, არც რაზმი, არც იარაღი ჰქონიათ და არც მის მიერ სადღეისოთ გამოგონილ «ნაც. პარტია»-ს მიუღია რაიმე მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმეში და არ მიუღია იმიტომ რომ არც ამის მსგავსი რამ არსებულა სინამდვილეში. ყოველივე ეს გამოგონილია აქ, ემიგრაციაში. საქართველოში ასეთი რამის თქმასაც ვერ გაბედავდენ.

იქ, ეროვ.-დემ. გაზეთი «საქართველო», როცა კარგ ხასიათზე იყო (რაც იშვიათად იყო) მაგ. ასეთი რამეების დაბეჭდვასაც არ ერიდებოდა: «ვის ინტერესს იცავდენ ნ. ჟორდანია და რამიშვილი. თუ არა ჩვენი ქვეყნის, როცა ისინი შკოლების, სასამართლოს და ადმინისტრაციის ნაციონალიზაციას ახდენდენ? ვის ინტერესს იცავდა ეს მთავრობა თუ არა ჩვენი ერის, როცა ის ლორის და ჯავახეთის გულისათვის არარატის რესპუბლიკასთან ომსაც კი არ ერიდებოდა» და სხვ. ეროვ.-დემოკრატი გ. ქიქოძე თავის წიგნში («ეროვნული ენერგია») 1917 წ. სწერდა: «ქართველი მენშევიზმი მესამე დასის ნიადაგზე აღმოცენდა. მესამე დასი კი ქართველი ერის ორგანიზაციული განვითარების ნაყოფი იყო. გ. წერეთელის და ეგ. ნინოშვილის შემწეობით ეს რევოლიუციონური მიმართულება საქართველოს სულიერ კულტურასა და ისტორიულ ტრადიციებთან იყო დაკავშირებული» (გვ. 137). «უკანასკნელ არჩევნებში პირველი ნომერი (სოც.-დემ. № გ. ურ.) ნამდვილი ქართული ნომერი იყო» (გვ. 142). «დღეს ნ. ჟორდანია მართლაც მთელი ერის მეთაური გახდა. 1917 წელს, ნოემბრის დღეებში ის ავიდა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც საქართველოში არავინ ასულა ჩვენი თაობის მახსოვრობაში. ეს მოხდა მაშინ, როცა ნ. ჟორდანიამ ეროვნულ ყრილობაზე განაცხადა, რომ ქართველი ერის სხეული გამრთელდა და დაიწერა დიდი ეტრატი თავისუფლებისა»-ო. და სხ. (გვ. 144).

ასე სწერდენ იქ, საქართველოში, წინდახედული, უფრო მომზადებულნი და პასუხისმგებელი პირები მათი წრიდან. მხოლოდ აქ, ემიგრაციაში აიწყვიტეს და ისვრიან რაც ენაზე მოადგებათ. ერთ დროს ამ აწყვეტილებმა თავი მოიყარეს გაზეთ «სამშობლო»-ში, რომლის რედაქტორი იყო იგივე გაბაშვილი და ისეთი კამპანია აწარმოვეს ეროვ.-დემოკ. პარტიის სახელით, რომ აიძულეს ამ პაოტიის ერთი დამაარსებელთაგანი გ. გვახავა გაეცა მათთვის პასუხი ცალკე წერილით,

რომლის სათაურია—«საქართველო და ეროვ.-დემ. პარტია». ეს პასუხი იმდენად საინტერესოა, რომ მოგვყავს აქ ვრცელ ად.

«პარიზში დაარსდა—სწერს გ. ყვაზავა—ახალი ჯგუფი, რომელიც თავის თავს «ეროვ.-დემოკ. პარტიას» უწოდებს. გამოვიდა მისი ბეჭდვითი ორგანოც «სამშობლო». ჯგუფი ებრძვის მთლიან ფრონტს და ამტკიცებს, რომ ქართველ სოციალისტებთან თანამშრომლობა შეუძლებელია. უმთავრესი დებულება ასეთია: ქართველი ერის იდეალების გამომხატველი იყო მესამოციანთა თაობა. შემდეგი თაობის იდეალები მას პრინციპიალურად ეწინააღმდეგება. ის უარყოფითია. მას უნდა შეებრძოლოთ და დაუბრუნდეთ ისევ მესამოციანელთა იდეალებს»-ო. გ. ყვაზავა პრინციპიალურად არჩევს ამ დებულებას და მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ, «სამშობლო»-ს თანამშრომლებს უსვამს: «საქმე იმაში კი არ არის თუ რა პერშმარიტება მოიტანა სოციალიზმა. საქმე იმაშია, თუ რა შინაარსი ჩაესდო მასში ხალხის რწმენამ. ეს შინაარსი მარტივი და სადაა: ხსნა და განთავისუფლება ხალხმა დაინახა იმაში, რომ მისებრ ტანჯული და წამებული სხვებიც ბევრია და შეიძლება მხოლოდ შეერთებული ძალებით იერიშის ქიტანა იქ. სადაც არის სათავე მისი უბედურებისა. სოციალიზმს ყოველმა ერმა ჩაპბერა თავისი სული და მისცა თავისებური ხასიათი. საქართველოშიდაც მოხდა მისი «გაქართველება»—ხალხმა მას უწოდა «ერთობა». ხალხმა ხსნა დაინახა «ერთობაში» და თავის ბედიც გადააბა ამ მოძრაობას. შეცდომა იყო? არ ვიცი. მე ვიცი მხოლოდ ფაქტი და ფაქტი კი ასეთია: ქართველი ერი დაყენებით გზავნიდა სახელმწიფო დუმაში სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებს და მერე თვალი მიჰყვდილი ჰქონდათ პეტერბურგის ჰორიზონტზე იქ მიქონდათ იერიში საიმპერიო ტახტის წინააღმდეგ. ვინაიდან ამ ტახტის დამხობა მოასწავებდა იმპერიალიზმის დამხობას და მაშასადამე გახეთქას იმ ხღუდისა, რომელიც ერტყა საქართველოს. დიდმა ომმა ეს პროცესი დააჩქარა. რუსეთი დაინგრა და ბრძოლის ცენტრი გადმოვიდა თბილისში».... გვაზავას მოჰყავს ზოგიერთი ეპიზოდები ამ «ბრძოლის ცენტრიდან» და განაგრძობს: «როცა რუსეთმა ჯვარი გადააგდო და ააფრიალა წითელი დროშა—აქ ქართველი ხალხი აღმოჩნდა უფრო ფხიზელი და ... გადაუხადა: იმანაც ააფრიალა წითელი დროშა! და როცა დადგა საშიშროება, როცა ასი ათასი მშიერი და თავზე ხელაღებული ლაშქარი მოწყდა ოსმალეთის ფრონტს და მოადგა თბილისს, მის წითელ დროშას საქართ-

ველომ წინ დაუყენა წითელივე დროშა. თბილისი გადარჩა განადგურებას. ეს იყო დიდი ეროვნული საქმე. თბილისის აკლები და დაკარგვით რუსები და სომხები არაფერს ჰკარგავდენ, საქართველო კი ჰკარგავდა ყველაფერს. თბილისს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. აქ არის ნერვიული ცენტრი ორგანიზმისა. რუსებმა ეს კარგად იცოდენ და პირველად აქ დაარტყეს რომ დამბლა დასცემოდა საქართველოს დანარჩენ ნაწილებს. თბილისი გახდა ციტადელი რუსეთის იმპერიალიზმის. საპირო იყო მისი აღება, უამისოდ საქართველო ვერ იცოცხლებდა, როგორც ადამიანი უთავოდ. რა ძალა გვქონდა ჩვენ? დამოუკიდებლობის გამოცხადებისათანავე მოხდა ქალაქის არჩევნები. დაახლოვებით მივიღეთ შემდეგი ხმები: ეროვ.-დემოკრ. სიამ მიიღო—3.500 ხმა, სომხების სიამ —24.000, სოც.-დემოკ. პარტიამ—50.000. საიდან მოგროვდა ეს 50.000 ხმა როცა მთელი ქართველობის რიცხვი (ბავშვებიანათ) არ აღემატებოდა—30.000?! აშკარაა ამ პარტიამ მიიღო 20.000 მაინც არა ქართველების, უცხოელების ხმა. დავით აღმაშენებელს დასჭირდა 20.000 დაქირავებული უცხოელების ჯარი თბილისის ასაღებათ. «ერთობამ» კი 20.000 იპოვა თბილისშივე. ერთი კაპეიკი არ დაუხარჯავს, სისხლი არ დაუღვრია,—ქალაქი კი აიღო და ქართველობას ჩააბარა. ქალაქმა მიიღო ქართული სახე. ეს ისტორიაა. არ უნდა გვეშინოდეს სიმართლის თქმის. ამიერიდან თბილისს საქართველოს სუვერენობიდან ვერავინ ამოერის.

«რით ეწინააღმდეგება ეს გამარჯვება მესამოციანთა თაობის იდეალებს? ეროვნულ ორგანიზმს გაუმრთელდა თავი. იგი გამოცოცხლდა, სისხლის მოძრაობა უნდა ყოფილიყო უფრო მშვიდობიანი და სიცოცხლის მყოფელი. მაგრამ რა მშვიდობიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ირგვლივ ირყევა დედა-მიწა, ჰღელავს ცხოვრების ოკეანე. ტალღა ტალღაზე გადადის, მსოფლიო ომი ჯერ არ იყო გათავებული. სამხრეთით კიდევ სცემდა მისი ტალღა, ჩრდილოეთით რუსეთის რევოლიუცია მოაგორებდა უფრო საშინელ ზვირთებს. განა შესაძლებელი იყო, რომ საქართველოს ტბას შერჩენოდა სარკესავით სწორი და შეურხეველი ზედა-პირი? რასაკვირველია იყო ექსცესები. მაგრამ საქმე ამაში არ არი. საქმე იმაშია რა გზით წავიდა ხალხი ამ გაჭირვების დროს? ვის მიმართა მან? სად ეგულვებოდა შესაძლებელი ხსნა და შველა? მან მიმართა ისევ «ერთობას».

«საყოველთაო არჩევნებში სოციალდემოკრატიამ მიიღო

600.000 ხმა. საიდან მოვიდა ეს საშინელი რიცხვი? ნუ თუ ეს სასწაული მოახდინა «გაღატაკებულმა აზნაურობამ?» ან და შეიძლება ეს შედეგია იმ გარემოების, რომ «სოციალიზმა ქართულ მესტეტში წაჭყო ფეხი?» საცოდავი მოსაზრებაა, რომელიც ვერაფერს ვერ ხსნის და ვერაფერსაც ვერ ახსნის. დავით სარაჯიშვილი არ იყო არც ღატაკი, არც მესტეტებიანი. ის იყო განათლებული კაპიტალისტი, პირადი მეგობარი ილია ჭავჭავაძის. ხმას კი ყოველ არჩევნებში გამუდმებით აძლევდა მენშევიკებს და არც მალავდა ამას. კოტე აფხაზი არ იყო არც ღატაკი, არც მესტეტებიანი. ის იყო მარშალი და ერთ დროს ჩვენი პარტიის თავმჯდომარეც, მაგრამ თავად-აზნაურობის მთელი ქონება გადასცა სახელმწიფოს. თუმცა იცოდა, რომ მთავრობა იყო მენშევიკური. სჩანს სულ სხვა მოტივები ამოქმედებდა ამ პირთ და არა მარქსის თეორია.

«მერე რამდენი იყო ასეთი? ათასი, ათი ათასი, თითქმის მთელი ერი. ჩაუკვირდით ციფრებს. მენშევიკურ ორგანიზაციებს ჰყავდა (თუ არ ვცდები) 18.000 წევრი. ვთქვათ თვითეულმა წევრმა არჩევნების დროს მოიყვანა კიდევ შუა რიცხვით ხუთ-ხუთი კაცი. ჯამი მაინც არ აღემატება 100.000. საიდან მოგროვდა დანარჩენი ნახევარი მილიონი ხმა? ნუ თუ მთელი ხალხი, მთელი ბლეხობა, კაცი და დედა-კაცი, სულ მარქსისტები იყვენ? ნუ თუ ყველამ შეისწავლა თეორია დამატებითი ღირებულების? არა, ეს სისულელეა. ხალ ხის მოძრაობის მიზეზი უფრო ღრმადა ძევს. ხალხი გაიტაცა არა სოციალისტურმა დოქტრიანობამ, არამედ თავისუფლების წყურვილმა და ხსნა ისევ «ერთობაში» დაინახა ე. ი. მთელი ერის შეერთებულ მოძრაობაში თავისუფლების მოსაპოებლათ.

«ამან თავის ნაყოფიც გამოიღო: მოხდა საყოველთაო არჩევნები, რომელიც არას დროს არ მომხდარა; დაარსდა საქართველოს რესპუბლიკა, რაც არას დროს არ ყოფილა; გაერთიანდა მთელი საქართველო, რასაც არ ქონია ადგილი თამარ მეფის შემდეგ—და ეს საქართველო შევიდა საერთაშორისო განწყობილებაში: ააყრევინა რუსეთს შემორტყმული ზღუდე და თვით ცნობილ იქნა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

«ეს ისტორიაა, ქართველი ერის ისტორია. ვინ გაჰბედავს მის წაშლას ან უარყოფას?! სამწუხაროთ ამასაც ბედავენ. «სამშობლო» სწერს: «მენშევიკებმა ერი კი არ გამოაცხადეს სახელმწიფოდ, არამედ პარტიაო». თუ ეს პოეტური სტილია, სჯობია ავტორმა ამისთანა სტილი თავისათვის შეინახოს და

გარეთ არ გამოაჩინოს. თუ ეს სერიოზული სიტყვაა, ის ეწინააღმდეგება ფაქტს, მაშასადამე არის სიცრუე. ყოველ ქართველს ალბათ ზეპირათ ახსოვს ის ისტორიული აქტი, რომელსაც ჰქვიან «დამოუკიდებლობის დეკლარაცია». პირველი მუხლი აცხადებს: «ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა». ეს არის პარტიის სახელმწიფოთ გამოცხადება?! ეს დეკლარაცია ერთხმად იყო მიღებული და დამტკიცებული დამფუძნებელი კრების მიერ. მაშასადამე ის არის არა აქტი რომელიმე პარტიისა, არამედ აქტი ეროვნული ნებისყოფისა... მართლა, თუ «სახელმწიფოდ იყო გამოცხადებული პარტია და არა ერი, მაშინ სახელმწიფოც არ ყოფილა, და თუ სახელმწიფო არ იყო, მაშინ რაღა უნდა ვუსაყვედუროთ რუსეთს?! სად არის მაშინ მისი საერთაშორისო დანაშაული?! სად არის შელახვა საქართველოს სუვერენულ უფლებათა?! რამ აღაშფოთა მთელი განათლებული კაცობრიობა?! აი ამაზეა ნათქვამი: «ღმერთი რომ კაცს გაუწყრება პირველად ტვინს გამოაცლისო».

იმ დროის მოვლენათა და ამბავთა ანალიზს გ. გვაზავა ათავებს ასე: «ეს ახალი ჯგუფი, რომელიც თავის თავს «ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას» ეძახის, არც ეროვნული და არც დემოკრატიული. არ არის ეროვნული, რადგანაც უარს ჰყოფს ეროვნულ მომენტს ისტორიული პროცესის დაფასებაში და შეაქვს განხეთქილება ქართველობაში. არ არის დემოკრატიული, რადგანაც «დემოსი» იმას მხოლოდ თავის თავი ჰგონია და არა ერი. არ აქვს პატივისცემა ეროვნული ნების ყოფის და პირდაპირ ებრძვის ჩვენი კონსტიტუციის აღდგენას, თუმცა იცის, რომ კონსტიტუციის აღდგენა ნიშნავს ეროვნული სუვერენობის აღდგენას.

«ამისთანა «პარტია» ჩვენთვის ახალია. იმას არც წარსული აქვს და მომავალიც არ ექნება»-ო.

«ამიტომაა, რომ ყოველივე მათი ნათქვამი და ნაწერი არის მართლა თავდაყირა დაყენება ყოველივე შემეცნების: ეფლების და მორალის, ვალდებულებისა და სინდისის» და სხვ.

გიორგი გვაზავა არ იყო სოც.-დემოკრატი. ის იყო ეროვ.-დემოკ. პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, ამ პარტიის ერთი უმთავრესი მეთაურთაგანი როგორც ეროვნულ საბჭოში, ისე დამფუძნებელ კრებაში. და თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ეროვნულ საკითხს წინ აყენებდა და მის ირგვლივ მუშაობდა—ეს ითქმის გ. გვაზავაზე. ჯერ კიდევ 1907 წელს ის ვ. ჩერქეზიშვილთან

ერთად ქააგის საერთაშორისო ტრიბუნალს ურდგენს ტრაქ-
ტატს და სთხოვს მის განხილვას და მსჯავრის გამოტანას.
საქართველოში ყველა საპასუხისმგებლო გამოსვლებში ერ.-
დემოკრატიული პარტიის სახელით ის გამოდიოდა და პრაქ
ტიკულათაც იღებდა აქტიურ მონაწილეობას და თუ ასეთი
პასუხისმგებელი პირი ასეთ დაფასებას აძლევს გაბაშვილ
ვაჩნაძეების მუშაობას აქ ემიგრაციაში და აცხადებს რომ
«ასეთი «პარტია» ჩვენთვის ახალია, ის არც ეროვნულია და
არც დემოკრატიული»-ო,—უნდა დავწმუნდეთ, რომ ეს ჯგუ-
ფი მართლაც რომ არც ეროვნულია და არც დემოკრატიული
და ამიტომაა რომ ასე თავგამოდებით ებრძვის ყოველივე
იმას, რაშიდაც ქართველი ერის სახელმწიფოებრივი სუვერე
ნობა ისახება, ებრძვის ეროვნული მთავრობის არსებობას.
აცხადებს მას უცხო აუდიტორიის წინაშე უკვე «საფლავში ჩა-
წოლილათ», აბეზღებენ უცხო სახელმწიფოების წარმომადგე-
ნლებთან ბოლშევიკების მომხრეებათ, აძაგებენ და აფურთხე
ბენ ყოველივე იმას, რაც გაკეთებულა ჩვენი ქვეყნის დამო-უ-
კიდებელ არსებობის დროს, ქმნიან ემიგრაციაში ათასგვარ
«ცენტრებს» ერის კანონიერ წარმომადგენელთა გარეშე და
მის წინააღმდეგ. ყველა იმ კონფლიქტებში, რომელიც ჩვენს
რესპუბლიკასთან ჰქონდა მეზობელ ქვეყნებს—ყველაფერში
ამართლებენ მომხდურებს და ამტყუნებენ თავის ქვეყნის მთა-
ვრობას, უსირცხვილოთ უმოწმებენ და ეხმარებიან ყველას
თავის ქვეყნის ნაწილების წაგლეჯა-მისაკუთრებაში, რო
გორც ეს იყო ჯერ ბათუმის ოლქის, შემდეგ სომხებთან ომის
შესახებ და ახლა კიდევ უმოწმებენ აზერბაიჯანს, თითქოს ზა-
ქათალის ოლქი ხელშეკრულებით მათზე იყო გადაცემული.
მაშასადამე, უფლება აქვთ მიისაკუთრონ ის. ბოლშევიკების
თავდასხმას მოსკოვის ჯარებით, აცხადებენ ბოლშევიკ-მენ-
შევიკების ფრაქციულ ბრძოლათ და ქვეყნის დაპყრობას—
ბოლშევიკების მენშევიკებზე გამარჯვებათ სთვლიან. ერთი
სიტყვით, აკეთებენ მტრის საქმეს და საკვირველი ისაა, რა
უნდა ასეთ ხალხს აქ, ემიგრაციაში! ის, რაც აქ გაბაშვილ-
ვაჩნაძემ დასწერეს და გამოსცეს—სიამოვნებით დაბეჭდავდენ
თბილისშიაც და კარგ ჰონორარსაც მისცემდენ. ყოველივე
ამის შემდეგ მოდი და ნუ იტყვი გ. გვაზავასთან ერთად. რომ
«ყოველივე მათი ნათქმი და ნაწერი არის მართლა თავდაყირა
დაყენება ყოველივე შემეცნების: უფლების და მორალ ის, ვა-
ლდებულებისა და სინდისის».

გაბაშვილი და ვაჩნაძე რუსულ-ქართული შეწყობილი

ლექსიკონით. ცდილობენ დაარწმუნონ თავიანთი მკითხველი, რომ საქართველოს განთავისუფლება მოხდა არა თვით ქართველი ხალხის მიერ, არამედ უცხოეთში არსებული «დამოუკ. კომიტეტის» ს მუშაობით. ამ კომიტეტთან კი თუმცა მეტად მჭიდრო კავშირში ყოფილა დღემდის უცნობი გაბაშვილ-ვაჩნაძეების «ნაციონალისტური პარტია»! ამ «კომიტეტის» შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რაც გაკვრით ამ კომიტეტის წევრებმა არ სთქვეს. მართალია, ახლა გამოჩნ და ერთი ახალი «ისტორიკოსი» კ. სალია, რომელიც იძლევა რაღაც ცნობებს ამის შესახებ, მ:გრამ ის არ ასახელებს წყაროს საიდან იცის მან ეს, არც იმას აღნიშნავს თუ ვინ უამბო ყოველივე მის მიერ მოთხრობილი, თვითონ კი თავის წლოვანების გამო არ შეეძლო ყოფილიყო მონაწილე—აშკარად. ყოველივე რასაც ის სწერს ამის შესახებ უნდა ჩაითვალოს მის საკუთარ გამოგონებათ, ანდა ქუჩაში შეკრებილ ჭორათ. ყოველივე რაც დანამდვილებით ცნობილია დღემდე ამ კომიტეტის მუშაობის შესახებ—ეს არის ის, რომ ორი მისი წევრი, სხვადასხვა დროს, გერმანელების წყალქვეშა ნავით ჩამოვიდა საქართველოში. ინახულეს იქ პარტიათა მეთაურები, გაიკითხ-გამოიკითხეს ადგილობრივი ამბები და დაბრუნდენ უკან. არავითარი მონაწილეობა იმ «ლეგიონებს», რომელიც თურმე მათ ჰყოლიათ უცხოეთში ლ. კერესელიძის სარდლობით—არ მიუღიათ იქ განთავისუფლების საქმეში. ეს «ლეგიონები» და მათი სარდალი შემოვიდენ საქართველოში რევოლიუციის შემდეგ, როცა საქართველო უკვე თავისუფალი იყო. ხოლო რა აკეთეს უცხოეთში, როგორ მოხვდენ ისინი ომის დროს გერმანიის შტაბის განკარგულებაში ისეთ პირობებში, რომ მისი წყალ-ქვეშა ნავებით შავზღვაზე სეირნობდენ—ამის შესახებ ჯერ ჩვენ არაფერი ვიცით და როცა ეს იქნება ცნობილი, მაშინ შეგვეძლება უფრო დაწვრილებით ლაპარაკი.

კიდევ უფრო გასაკვირაღია გაბაშვილისა და გ. კერესელიძის ცნობები—გერმანიასთან, ავსტრიასთან და ოსმ. ლეთთან ხელშეკრულებები დავდეევითო! არც ამ ხელშეკრულებების შესახებ იცის ვინმემ რამე. ანდა რატომ უნდა დაედო გერმანიის და ავსტრიის მთავრობებს ხელშეკრულება ვიღაც უცნობ ემიგრანტულ «კომიტეტთან». რომელიც. როგორც თვითონ სწერენ, შესდგებოდა სულ 7—8 კაცისაგან! ან ვისი სახელით დასდო ამ «კომიტეტ»-მა ასეთი ხელშეკრულება? გ. კერესელიძე სწერს—«საქართველოს სახელით დავდევით

ხელშეკრულებაო»! თუ ეს მართალია—ვინ მისცა მათ უფლება საქართველოს სახელით რაიმე ხელშეკრულება დაედოთ? ჩვენ არ გვგონია რომ გერმანიის და ავსტრიის მთავრობა ისე სულელები ყოფილიყვენ, რომ ვიღაც უცნ.ბ ემიგრანტებთან რაიმე ფორმალური ხასიათის ხელშეკრულ ება დაედოთ! ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ ამ «კომიტეტის» ახალი «ისტორიკოსი» კ. სალია სწერს: «1918 წ., მარტში, მ. წერეთელი და მ.ქარცივაძე ხელმეორეთ მიდიან საქართველოში წყალ-ქვეშა ნავით. მათ დავალება აქვთ—ერისაგან თუ პარტიათაგან აღჭურვილი მანდატით კაცის ჩამოყვანა ბერლინში»-ო («ბედი ქართლისა» № 24-25). რას ნიშნავს ეს «ერისაგან თუ პარტიათაგან მანდატით აღჭურვილი კაცის ჩამ ოყვანა»? გამოდის რომ გერმანიის მთავრობა, რომელთანაც გ. კერესელიძის განცხადებით, ამ კომიტეტს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული—ამ კომიტეტის წევრებს არც ერის და არც პარტიათა წარმომადგენლად არ სთვლიდა. თორემ ასეთი კაცის ჩამოსაყვანად წყალ-ქვეშა ნავით საქართველოში არ გაგზავნიდენ «კომიტეტის» წევრს მიხ. წერეთელს! ვინ დაიჯერებს რომ ასეთ პარტნიორებთან გერმანიის და ავსტრიის მთავრობებმა ხელშეკრულება დასდვეს?! თუ ერისა და პარტიის მანდატს იქ, საქართველოში, ეძებდენ—ესენი რისი მაქნისი იყვენ, რომ ხელშეკრულება დაუდვეს და «ლეგიონები» შეადგინეს, როგორც ამაში გვარწმუნებენ ახლა!

ყოველ შემთხვევაში, როგორც ამ კომიტეტის წევრებმა, ისე მისმა «ისტორიკოსებმა» სჯობია დაიცადონ, სანამ აქის შესახებ შეიძლებოდეს თავისუფლად წერა და გამოქვეყნებოდეს ყველა მასალები—მაშვინ უფრო დაწვრილებით გავეცნობით, როგორც მათ «ხელშეკრულობებს», ისე მათ «ლეგიონებს». ახლა კი უნდა დავკმაყოფილდეთ ზოგიერთი ფაქტიური შესწორებით.

როცა ამ «კომიტეტის» წევრი გ. მაჩაბელი ჩამოვიდა საქართველოში, მას, გაბაშვილის გადმოცემით, ქუთაისში მოუწვევია პარტიათა წარმომადგენლების თათბირი. ამ თათბირზე «მაჩაბლის მოხსენებას—სწერს ის—ჩვენ მაშინვე და მთლიანად მივემხარით «ქართული ნაციონალისტური პარტიის» სახელითო. სოც.-ფედერალისტები ირყეოდენ, ხოლო მაშვინ კიდევ ახალგაზრდა ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი პირდაპირ წამოხტა: «თუ ეს ასეა—გამგზავნეთ ახლავე ოსმალეთში»-ო, მაგრამ ზედ მეტად ფრთხილმა და კომპრომისებით აღსავსე ნ. ჟორდანიამ დააჯინა ახალგაზრდა ენტუზიასტი და

მიმართა ყველას: «თქვენ იცით ბატონებო, რომ ჩვენი პარტია ამ ომში ანტანტის მხარეა» და სხ. და როგორც უფროსმა დაგვლოცა კიდეც ამ საჯვაროსნო გზაზე»-ო (გვ. 10).

ვაცხადებ კათეგორიულად, რომ გაბაშვილის აწერილ კრებას არც ნოე ჟორდანია დასწრებია და არც ევ. გეგეჭკორი. ყოველივე ის რაც გაბაშვილმა ნ.ჟორდანიას და ევ. გეგეჭკორს მიაწერა, როგორც კრებაზე დასწრება, ისე თითქოს მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები—არის ერთავად შეთხზული. მართალია ის, რომ ნ. ჟორდანიამ ლანჩხუთში, სადაც ის ცხოვრობდა იმ დროს, მიიღო მოწვევის წერილი ქუთაისიდგან. დანიშნულ დღეს ის და მე ერთად წამოვედით ქუთაისში. სადგურზე დაგვხვდა საიმედო ამხანაგი, რომელმაც ნოე წაიყვანა იმ ოჯახში, სადაც მას ელოდა გ. მაჩაბელი. მე კი წავედი ევ. გეგეჭკორთან, სადაც, მაჩაბელთან შეხვედრის შემდეგ, მოიყვანდა ნოეს იგივე ამხანაგი. ასეც მოხდა. ნოე ადრე დაბრუნდა და გვიამბო შეხვედრის ამბავი. როცა ნოემ დაასრულა შეხვედრის ამბავი,—ევგენიმ ხუმრობით შენიშნა: ამ შეხვედრაზე მე უნდა წავსულიყავი და არა შენო. მაჩაბელმა ალბათ არ იცის, რომ შენ გერმანიის დამარცხების და რუსეთის გამარჯვების მომხრე ხარო. აქ ევგენის უთუოდ სახეში ჰქონდა, რომ თვითონ ის ჩვენი პარტიის ხელმძღვანელების უმეტეს ნაწილთან ერთად ეკუთვნოდა ე. წ. «პორაჟენცებს» და არა «ობორონცებს», როგორც ნ. ჟორდანია. სხვათა შორის ამიტომაც ვერ იტყოდა ნ. ჟორდანია გაბაშვილის ნახსენებ კრებაზე—«ჩვენი პარტია ამ ომში «ანტანტის» მხარეზეაო», რადგან იყო სწორეთ წინააღმდეგ. რომ გაბაშვილი ჟორდანიასთან ერთად გეგეჭკორის დასწრებასაც თხზავს—სჩანს თუ გინდ იქიდანაც, რომ მას აწერს ასეთ რამეს: «პირდაპირ წამოხტა მაშვინ კიდევ ახალგაზდა ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი: თუ ეს ასეა გამგზავნეთ ახლავე ოსმალეთშიო» და სხ. (გვ. 10). ჯერ ერთი—რა ასეთი ახალგაზდა იყო იმ დროს ევ.გეგეჭკორი, რომ, «წამოხტა» და მოითხოვა—«თუ ეს ასეა ახლავე გამგზავნეთ ოსმალეთში»-ო. ეს კრება გაბაშვილის გადმოცემით ყოფილა 1915 წელს და ამ დროს, სხვას რომ თავი დავანებოთ. ევგენის სახელმწიფო დუმის ოთხი წლის სახელგანთქმული დეპუტატის სტაჟი ჰქონდა, იყო სოც.-დემ. პარტიის ერთი ლიდერთაგანი და ცნობილი სახოგადო მოღვაწე. და აბა რა დასაჯერებელია, რომ ასეთი კაცი ბავშვივით წამოხტა უცხო კრებაზე და მოითხოვა—«ახლავე გამგზავნეთ ოსმალეთშიო»-ო. ვიმეორებ, ეს გამოიგონა გაბაშვილმა, ალბათ, იმ მიზნით,

რომ მოეჩვენებია ჩვენთვის—აი ვისთან ვთანამშრომლობ-
დიო.

ამ კრებას დასწრებია სამ. ფირცხალავაც, მაგრამ თავის
მოგონებაში («სახ. საქმე» № 8) ერთი სიტყვითაც არ ამბობს
რომ მას დაესწრო ნ. ყორდანია და გეგეჭკორი, არც ერთად
და არც ცალ-ცალკე. ძნელი დასაჯერებელია ისიც, რომ ამ
კრებას დასწრებოდეს გრ. რცხილაძე, როგორც სწერს გაბა-
შვილი. ამის შესახებ ს. ფირცხალავა ერთ სიტყვასაც არ ამ-
ბობს. მას არ დაავიწყდებოდა ეს და თავის მოგონებაში იმა-
საც დაასახელებდა, როგორც მისი პარტიის წარმომადგე-
ნელს. რცხილაძე რომ ყოფილიყო კრებაზე ფირცხალავა არ
იტყოდა რცხილაძის ზოგიერთი შეხედულების შესახებ—«ეს
შესაძლებელია»-ო და სხ. მე არ ვამტკიცებ, რომ რცხილაძე
დაესწრო ან არ დაესწრო. მე მხოლოდ ს. ფირცხალავას მოგო-
ნების შემდეგ მისი დასწრება მიმაჩნია საეჭვოთ. მაგრამ, რომ
არც ნოე ყორდანია და არც ევ. გეგეჭკორი არ დასწრებია ამ
კრებას—ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა. სინამდვილე იმაშია,
ვიმეორებ. რომ ნ. ყორდანია შეხვდა ქუთაისში კერძოთ გ. მა-
ჩაბელს ... ბინაზე, ხოლო ნ. ყორდანია და ევ. გეგეჭკორი ერ-
თად მიხ. წერეთელს თბილისში. რომ ყოფილიყო ისეთი რამ,
რასაც დღეს გაბაშვილი თხზავს—ნ. ყორდანია ამასაც იტყო-
და ან მაშვინ, ან ახლა თავის მოგონებაში, როგორც გადმოგვ-
ცა თვით შეხვედრა და ლაპარაკი. როგორც მაჩაბელთან, ისე
წერეთელთან (იხ. «ჩემი წარსული» გვ. 102-103).

გაბაშვილი ეხება ზაქათალის ოლქის საკითხს და აქაც
სტყუის ჩვეულებრივათ. «სამარცხვინო საიდუმლო მუხლით
საქართველოს ერთი საუკეთესო პროვინცია ბოლშევიკებს
გადასცეთ»—სწერს ის იმ ხელშეკრულების შესახებ, რომელ-
საც მე ხელი მოვაწერე.

პირველ ყოვლისა—ხელშეკრულებაში არავითარი საი-
დუმლო მუხლი არ არსებობს. ესეც მისი გამოგონილია.

ზაქათალის ოლქი, მართლაც რომ ერთი საუკეთესო ნა-
წილია ჩვენი ქვეყნის. სხვა რომ არა იყოს რა ყველაზე უფრო
მნიშვნელოვანი სტრატეგიული მხრით. მას უჭირავს ჩვენი
ქვეყნის აღმოსავლეთის საზღვარი, რომელიც ეკავშირება აზ-
ერბაიჯანის რესპუბლიკას. ამ საზღვარს ეკვრის ძალიან ახ-
ლო ჩვენი რესპუბლიკის სატახტო ქალაქი თბილისი. ის რო-
გორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად ისეთივე მნიშვნე-
ლოვანი ნაწილია, როგორც კახეთი. ისტორიიდან ვიცით,
რომ ყოველთვის სწორედ ამ მხრიდან შემოიჭრებოდენ ხოლ-

მე ჩვენი ქვეყნის მტრები, რასაც უადვილებდა ის გარემოება, რომ ეს აღმოსავლეთის საზღვარი სრულიად ღია იყოდა თითქმის არსად თავდასაცავი ბუნებრივი სიმაგრე არ არსებობს. ბევრჯერ მომხდარა ამ მხრიდან თავდასხმა და ამ ომებში ვინ იცის რამდენი სისხლი დაღვრილა. ტყვილა კი არ ჰქვია მდინარე კაშკა-ჩაის—«სისხლის ღელე». გეოგრაფიულად ზაქათალის ოლქი შემოჭრილია ერთი წვერით სიღნაღის მაზრაში თითქმის 80 ვერსის მანძილით, რაც უფრო აახლოვებს მას როგორც კახეთთან, ისე თბილისთან. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ოლქს სამხედრო თვალსაზრისით. ამიტომ იყო, რომ შაკაბაზმა ზაქათალის ოლქის დასავლეთის ნაწილში აყარა მთელი ქართველობა და მათ ადგილას სპარსელები დაასახლა. ასეთი იყო მდგომარეობა მეფობის დროს. შემდეგ, როცა საქართველო დაიპყრო რუსეთმა. ზაქათალის ოლქი მთლიანად თბილისის გუბერნიაში ჩარიცხა და მას მართავდა რუსის ადმინისტრაციის მოხელენი—რუსები თუ ქართველები. ასე გაგრძელდა ერთ საუკუნეზე მეტი, სანამ არ მოხდა 1917 წლის რევოლიუცია. რევოლიუციის მიერ გამოწვეულ არევ-დარევაში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა არც კი იყო გამოცხადებული და მაშასადამე, არც საქართველოს მთავრობა არსებობდა—ოლქს დაეპატრონა აზერბაიჯანი. 1918 წ. ივნისში შესდგა ამ ოლქის მცხოვრებთა წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც მოსთხოვა აზერბაიჯანის მთავრობას მიეცეთ ოლქისათვის ავტონომიური უფლებები. ამ დროს აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარეთ იყო ფ. ხან-ხოისკი. ხან-ხოისკიმ თანხმობა განაცხადა ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებაზე. მაგრამ გადიოდა დრო და დადგენილება სისრულეში არ მოჰყავდათ. მცხოვრებნი დარწმუნდენ რომ აზერბაიჯანის მთავრობა სრულიად არ ფიქრობდა მიღებული დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. 1919 წ. 26 ნოემბერს, შესდგა მეორე ყრილობა, რომელმაც დაავალა თავის დეპუტატებს აზერბაიჯანის პარლამენტში მოეთხოვათ მთავრობისათვის კათეგორიულათ შესრულება იმ პირობების, რომელიც იყო მიღებული პირველ ყრილობაზე. თანახმად ამ დავალებისა—იმავე წლის, ორ მარტს. ზაქათალის დეპუტატმა ბაბა კაბულოვმა წერილობით მიმართა აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარეს ეცნობებია მისთვის სულ მოკლე დროში მთავრობის დადგენილება მათი მოთხოვნილების შესახებ. ამ დროს აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარეთ იყო უსუბეკოვი.

უნდა ითქვას რომ აღმოსავლეთის საზღვრები ყველაზე რთული და მწვავე საკითხი იყო. ამ საზღვრების საკითხში დიდ პრეტენზიას აცხადებდენ აზერბაიჯანი და სომხეთი. მდგომარეობა ითხოვდა როგორმე მის თანხმობით მოგვარებას, რომ სამ ახლად შექმნილ რესპუბლიკათა შორის საზღვრის გამო ომი არ ატეხილიყო. ჩვენმა მთავრობამ საზღვრების დასადგენათ, ჯერ კიდევ ჩემს მოსკოვში წასვლამდე, შექმნა საგანგებო კომისია, რომლის წევრებათ მოიწვია ექვ. თაყაიშვილი, ირ. წერეთელი, დ. ონიაშვილი და მისცა მათ უფლება მოეწვიათ კომისიის წევრათ ყველა, ვისაც საჭიროთ დაინახავდენ. კომისიამ მოიწვია პავ. ინგოროყვა და ალ. მდივანი. ამ კომისიამ დაავალა ინგოროყვას დაემუშავებია ეს საკითხი და მოეხსენებია კომისიისათვის. პ. ინგოროყვამ დაამუშავა ვრცელი მოხსენება, რომელიც იყო აშენებული არა ეთნიურ საზღვრებზე, არამედ სახელმწიფოს საჭიროებაზე. კომისიამ ერთხმად გაიზიარა ინგოროყვას წარდგენილი საზღვრები და დაადგინა მოისმინოს იმფორმაციის სახით აზერბაიჯანის და სომხეთის მთავრობების აზრი. აზერბაიჯანის მთავრობა არ მოვიდა. სომხეთიდან მოვიდენ ალ. ხატისოვი, გენ. კორგანოვი და კარჩიკიანი. მათ გააცანეს კომისიას სომხეთის აზრი ამ საზღვრების მოწესრიგების შესახებ. განსხვავება იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ შეხვედრა დასრულდა აზრთა უბრალო გაცვლა-გამოცვლით.

ამაზე წინ კიდევ ამიერ-კავკასიის სეიმმა აირჩია ე. წ. ტერიტორიის გადამმიჯნავი კომისია სამი წევრისაგან: თავმჯდომარე—საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, წევრები—აზერბაიჯანის განათლების მინისტრი უსუბეგოვი და სომხეთიდგან—სასურსათო მინისტრი საკიანი. ამ კომისიამ თავის უფლებით კიდევ მოიწვია კომისიაში თვითეული ერიდან სამ-სამი კაცი. ჩვენგან იყვენ იყვენ მიწვეულნი: ექ. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი და ხოშტარია (დუტუ მეგრელი). პირველ სხდომაზე კომისიამ ერთხმად სასურველად მიიმჩნია, რომ თვითეულ ერს ჰქონოდა თავის მჭიდროთ შემოფარგლული ტერიტორიალური ერთეული, ხოლო როგორ მოხერხდებოდა ეს—ამის დასამუშავებლათ აირჩია მცირე კომისია სამი წევრისაგან. კომისიის სახელ ით «ეროვნულ საბჭოში» მოხსენება გააკეთა ნ. რამიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ კომისიამ უკამათოდ იცნო ბაქოს გუბერნია აზერბაიჯანის უდაო კუთვნილებათ, ქუთაისის გუბერნია—საქართველოს უდაო კუთვნილებათ, დანარჩენი კი ზოგი მთლი-

ანად, ზოგი ნაწილობრივ გამოაცხადა საბაოთ. სომხეთისათვის უდაოთ აღიარა გუმბრის მაზრა, ყარსის ნაწილი, ეჩმიაძინის და ერევნის მაზრების ნაწილები, დანარჩენი კი გამოაცხადა საბაოთო. შეკითხვაზე ზაქათალის ოლქის შესახებ მან განაცხადა, რომ ამ ოლქს მთლიანად მოითხოვენ აზერბაიჯანელები ისე დაყინებით, რომ საზღვრების შესწორებაც კი არ მიიჩნიეთ შესაძლებლათო, დანარჩენებზე კი პრეტენზიას არ აცხადებენ, თუ ისინი არ დაეთმობა მეორე მხარეს ე. ი. სომხებსო. ეს იყო წინასწარი აზრების შეკრება—ვის, სად, რა ტერიტორიალური პრეტენზიები ჰქონდა. ყველა ეს ცნობები უნდა გადასცემოდა მთავარ კომისიას, მაგრამ სეიმის დაშლის გამო ეს კომისიაც გაუქმდა ისე, რომ მეორედ შეკრებაც ვერ მოასწრო.

როცა მე მოსკოვში წავედი არც დეპუტატ კაბულავას ჰქონდა მიღებული პასუხი თავის შეკითხვაზე აზერბაიჯანის მთავრობისაგან და არც სომხებთან ჰქონდა ჩვენს მთავრობას მოგვარებული აღმოსავლეთის საზღვრები, რომელიც, პირველ ყოვლისა, ეებოდა მის პრეტენზიებს ზაქათალის ოლქში. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვჩქაროდი მოსკოვში ჩასვლას—მგზავრობის პირობები რუსეთის ტერიტორიაზე წარმოებული სამოქალაქო ომის გამო იმდენად ძნელი და რთული იყო, რომ მას დიდი დრო დასჭირდა. გზაში გავიგე მომხდარიყო აზერბაიჯანის გაწითლება, მოსკოვში კი გავიგე, რომ ზაქათალის ოლქის საზღვარზე საბჭოთა ჯარები აწარმოებდენ ომს ჩვენს ჯარებთან, თუმცა ოფიციალურად ეს არსად იყო გამოცხადებული. მე გავიგე ეს კერძო წყაროდან და მაშინვე მივმართე ლენინს, როგორც კომისარიატის თავმჯდომარეს და განუცხადე, რომ თუ არ მოახდენდა განკარგულებას ომის შეწყვეტის შესახებ—გავანებებდი თავს სამშვიდობო მოლაპარაკებას. ლენინმა მისი პირადი მდივანი-აბელ ენუქიძის თანადასწრებით მითხრა, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცის და იქვე დაავალა ენუქიძეს შეკითხებოდა ტროცკის, როგორც სამხედრო კომისარს, თუ რაშია საქმე. ენუქიძე მაშინვე შეეკითხა ტროცკის და როგორც მოახსენა ლენინს ტროცკის ეთქვა—არავითარი ომი არ სწარმოებს, ყოველ შემთხვევაში. მე არაფერი ვიცი და ავალებდა ენუქიძეს ეთხოვა ჩემთვის შეკითხებოდი თბილისს—თუ რომელი ჯარის ნაწილებია, რომ იქ იბრძვიან. როდესაც ენუქიძემ ეს გადასცა ლენინს, ლენინი მომიბრუნდა და მითხრა: «ხომ ხედავთ, არაფერი არ მომხდარა და ჯორებმა არ უნდა შეუშალოს ხელი მოლაპარაკებას»-ო.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ლენინიც და ტროცკიც ორივე თვალთმაქცობდა, ორივემ ძალიან კარგად იცოდა თუ რაში იყო საქმე. მაგრამ არ შევიმჩნიე, გადაუხადე მადლობა და გამოვეთხოვე. ვიცოდი ორივემ იცოდა იმიტომ რომ ის წყარო, საიდანაც მე გავიგე ეს ამბავი იყო მათი საკუთარი წყარო. წყარო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მათთვის იყო შექმნილი. მეორე დღეს, საღამოს, როცა საგარეო საქმეთა კომისარიატში მივდიოდი მოლაპარაკების გასაგრძელებლად—იმავე კერძო, მაგრამ ნამდვილი წყაროდან, გავიგე, რომ ომი გრძელდება. როცა კომისარიატში მივედი, განვაცხადე —თუ ომი არ შეწყვეტილა. აზრი არ აქვს მოლაპარაკებას მეთქი და ვსთხოვე მოეცათ ჩემთვის საშვალება დავლაპარაკებოდი ლენინს. კარახანმა, რომელიც აწარმოებდა ჩემთან მოლაპარაკებას საბჭოთა მთავრობის სახელით, გულახდილათ მითხრა, რომ მას არ შეუძლია ლენინთან პირდაპირ დალაპარაკების საშვალება მომცეს ტელეფონით. მომცა ენუქიძის ტელეფონი და მას ვთხოვე გადაეცა ლენინისათვის რომ მიბიძოს იმ კითხვის შესახებ, რომელზედაც გუშინ ველაპარაკე. ენუქიძემ გადმომცა, რომ ლენინი ჯერ არ მოსულა თავის კაბინეთში და როგორც მოვა მოვახსენებო. ენუქიძემ იცოდა რაში იყო საქმე და ამ შემთხვევაში მე მისი სრული ნდობა მქონდა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა მთავარი კომისარიატები იმ დროს მუშაობდენ მხოლოდ ღამით. დღე ამ კომისარიატებში უბრალო მოხელეების მეტს ვერავის ნახავდით. ენუქიძის პასუხის მოლოდინში მე განვაგრძე მოლაპარაკება. საკითხი ტერიტორიისა და საზღვრების უკვე მოთავებული იყო. მოლაპარაკება სწარმოებდა იმ ჯარების შესახებ. რომელიც გადმოვიდენ ჩვენში ვლადიკავკაზიდან (ერდელის ჯარები). თერთმეტი საათი იქნებოდა ენუქიძემ გადმომცა რომ ელაპარაკა ლენინს და ის შეპირდა ახლავე მოახდენდა განკარგულებას. თორმეტ საათზე ლენინის კაბინეტიდან გამოიძახეს კარახანი, რომელსაც. როგორც გამოირკვა, ლენინმა უბრძანა ჩემთან ერთად წასულიყო ფოსტაში. გამოეძახა ბაკოში ორჯონიკიძე და გადაეცა მისთვის მისი ბრძანება, რომ თუ საქართველოს საზღვარზე მართლა სწარმოებს ომი დაუყონებლივ შეეწყვიტა და ჯარები უკან გაეწვია. წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკ პასუხს აგებდა. კარახანი შემოვიდა, გამაცნო ლენინის ეს განკარგულება და მთხოვა წავსულიყავი მასთან ერთად ფოსტა ტელეგრაფის ბიუროში. პირველის ნახე-

ვარი იყო როცა იქ მივედით. კარახანის ბრძანებით მაშინვე გამოიძახეს ბაქოში ორჯონიკიძე, რომლის მოძებნას და მოსვლას თითქმის ერთი საათი დასჭირდა. როცა მოვიდა—კარახანმა სიტყვა-სიტყვით გადასცა ლენინის ბრძანება. ორჯონიკიძემ უპასუხა: «არ ვეთანხმები, მაგრამ ვემორჩილები-ო. მე ვისარგებლე ფოსტაში ყოფნით და გამოვიძახე თბილისი. მოვიდა ევგენი და ჩემს საყვედურზე—რატომ არ მაცნობა თუ ომი სწარმოებდა, მან მითხრა: სასაყვედურო ჩვენ გვაქვს და შენ აქეთ საყვედურობო! იმდენი რამე გადმოგეცით და არც ერთზე პასუხი არ მოგვეცია. მე აქედან გავიგე, რომ ჩვენ მთავრობას მაშინვე ეცნობებია ჩემთვის ყოველივე. მაგრამ მე არ გადმომცეს. მე გადავეცი მას ლენინის ბრძანება, რითაც ის კმაყოფილი დარჩა და მთხოვა ძალიან მედევნებია თვალ-ყური მომხდარ ამბებისათვის. მე ვერ გადავეცი მას კარახანის თანადასწრებით თუ როგორ შევიწროებული ვიყავი ამ მხრივ. ისიც ვერ უთხარი, რომ მის მიერ გადმოცემულ ცნობებსაც ვერ ვლებულობდი. ლაპარაკი იყო რუსულად, რადგან აპარატით გადამცემმა ქართული არ იცოდა, თან სასტიკი ცენზურა. ყოველივე ზედმეტ, აუწონლათ ნათქვამ სიტყვას ჩემგან თუ თბილისიდგან, შეეძლო გაერთულებია თვით მოლაპარაკება, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ამიტომ, ურთიერთობა თბილისთან, თუ იქიდან ჩემთან, რასაკვირველია ვერ იქნებოდა ნორმალური. მაგრამ რაც მოხერხდა ისეთ პირობებში—უეჭველია მასაც დიდი გავლენა ჰქონდა აზერბაიჯანთან მომხდარ შეტაკებაში. რით დასრულდა და როგორ სწარმოებდა ეს ომი ცნობილია და ამახე მე აქ არაფერს ვიტყვი.

მიუხედავად ოლქის ასეთი რთული მდგომარეობისა—ის მაინც შეტანილია ხელშეკრულების ორ მუხლში. ერთი—საერთო საზღვრებში და მეორე—სადაც ჩამოთვლილია თუ რა ნაწილები შედიან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვრებში. ასე რომ ინგილო ძალიან ცდება, როცა სწერს თითქოს «ზაქათალის ოლქი ამოშლილია ხელშეკრულებიდან». არაფერი ამის მსგავსი. ის არც ამოუშლია ვინმეს და არც წამოჭრილა ასეთი საკითხი. ის შევიდა და დარჩა ხელშეკრულებაში, როგორც საქართველოს უდაო ნაწილი. მისი აღმოსავლეთის საზღვარი აღნიშნულია, როგორც საზღვარი საქართველოსი. ერთ დროს ასე ესმოდა ეს ინგილოსაც. «მოსკოვის ხელშეკრულება და მისი დამატება—სწერდა ის იქ, საქართველოში—ზაქათალის ოლქს სცნობენ საქართვე-

ლოს განუყოფელ ნაწილად, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ მხარეში დაუსჯელად თარეშობენ გაცოფებული წითლები»-ო და სხ. (გაზეთი «საქართველო» № 63. 1920 წ.). ამიტომ სრულიად გაუგებარია რატომ ცდილობენ ახლა ჩვენი ნაციონალისტები, დაჯერონ როგორც აზერბაიჯანი ისე სხვები, ვითომ ეს ოლქი ჩვენ აღარ გვეკუთვნის, რომ ის ჩვენ «დაუთმეთ» აზერბაიჯანს და ისიც ხელშეკრულებით, რომელიც თურმე დაუდასტურებია საქართველოს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას! ცხადია აქ მეორდება ბათუმის და მისი ოლქის ისტორია, რომელიც იგივე გაბაშვილმა და მისმა ამალამ ისე ადვილად მიაკუთვნა ოსმალეთს. ვიღაც გადამთიელი ბამატის გულის მოსაგებად.

მოლაპარაკება ხელშეკრულების შესახებ დათავდა მაისის პირველ რიცხვებში. საბოლოოთ ხელი მოვაწერეთ 7 მაისს. როდესაც ხელშეკრულების ცნობა მივიდა ბაკოში, იქაური რევკომის თავმჯდომარე-მირიმანოვმა ფორმალური პროტესტი გადმოუგზავნა მოსკოვს. პროტესტი ეხებოდა ორ საკითხს: 1 თვით ფაქტს «კონტრრევოლიუციონურ საქართველოს» დამოუკიდებლობის ცნობას და 2. ხელშეკრულებაში ზაქათალის ოლქის შეტანას, რომელიც თითქოს «საუკუნოებით ეკუთვნოდა აზერბაიჯანს». ამ პროტესტის გამო მე მიმიწვიეს საგარეო საქმეთა კომისარიატში, გამაცნეს ის და მთხოვეს მის შესახებ ჩემი აზრი. მე განუცხადე, რომ მე მქონდა დავალებული მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან მხოლოდ და მხოლოდ იმ საკითხების შესახებ, რომელიც შეეხებოდა საქართველოს და საბჭოთა კავშირს. იმ საკითხზე კი, რომელიც ეხება სხვა სახელმწიფოს—მე არ შემიძლია რაიმე მოლაპარაკება ვაწარმოვო არსებითად, რადგან ამის მანდატი მე არ მაქვს. ამიტომ თუ აზერბაიჯანს რაიმე სადაო აქვს საქართველოსთან, უნდა მიმართოს საქართველოს მთავრობას პირდაპირ. მე გამოვდიოდი იმ შეხედულებიდან, რომ დავა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სრულიად არ ეხებოდა საბჭოთა მთავრობას. დავა უნდა მოგვარებულიყო თუ პირდაპირი მოლაპარაკებით არა—არბრიტაჟის საშვალებით, მაგრამ არას შემთხვევაში არა იარაღით. ჩემი პოზიცია იმდენად პრინციპიალური იყო, რომ კარახანმა მის წინააღმდეგ ვერ შესძლო ისეთი რამის წამოყენება, რომლის დაცვას ის შესძლებდა საჯაროთ. ამით დათავდა პირველი თათბირი.

მეორე თათბირზე, 12 მაისს, მოხდა ცალკე შეთანხმება. ეს შეთანხმება შესდგება სამი მუხლისაგან: 1. დავა საზღვარზე

აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის და აგრეთვე თვით ზაქათალის ოლქში უნდა გადაეცეს გადასაწყვეტათ შერეულ კომისიას. 2. კომისიის განაჩენის გამოტანამდე არც საქართველო და არც აზერბაიჯანი არ შეიყვანენ ოლქში ახალ ჯარებს, გარდა იმისა, რომელიც იქ შეთანხმების დროს იდგა და 3. ეს შეთანხმება შედის ძალაში ხელის მოწერისათანავე და არ საჭიროებს რატიფიკაციას.

როგორც ვხედავთ არც «გადამიცია ოლქი» და არც «მოუგლეჯია» ის ვინმეს საქართველოსათვის. ოლქი აღნიშნულია ხელშეკრულებაში და დარჩა ისე, როგორც იყო შეტანილი. 12 მაისის ხელშეკრულება მოითხოვს მხოლოდ საზღვარზე თუ ოლქში რომელიმე ნაწილის (თუ იქნებოდა ასეთი ნაწილი) დავის გადაწყვეტას თვით დაინტერესებულ სახელმწიფოთა მიერ პირდაპირი მოლაპარაკებით, თუ არა და—არბრიტაჟით. აღსანიშნავია ისიც რომ ეს არის არა ხელშეკრულება, არამედ შეთანხმება ჩემსა და კარახანს შორის და ასეთი სათაურითაც არის დაბეჭდილი ცალკე ფურცელზე. ამ დროს აზერბაიჯანის საზღვარზე შექმნილი მდებარეობის გამო—ეს იყო საუკეთესო გამოსავალი: ოლქი უდავოთ საქართველოს საზღვრებში დარჩა, სადაო ადგილების საკითხიკი უნდა მოგვარებულიყო მოლაპარაკებით და არა იარაღით.

ახალ სახელმწიფოთა შორის ყველგან და ყოველთვის ყოფილა და იქნება დავა საზღვრებზე თუ რომელიმე ნაწილზე, მაგრამ მისი მოწესრიგება უნდა მოხდეს დაინტერესებულ მხარეების მიერ. ამას ვიცავდი მე და კიდევაც მივაღწიენე. ასეთი შეთანხმება იმ მომენტში სამხედრო მხრითაც დიდი მიღწევა იყო, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აზერბაიჯანი უკვე გასაბჭოებული იყო და იქ მრავალრიცხოვანი წითელი ჯარი იდგა ჰეკერისა და ორჯონიკიძის მეთაურობით, რომლებიც ყოველგვარ საბაბს იყენებდენ, რომ ჩვენს საზღვრებში შემოჭრილიყვენ. ხოლო თუ როგორი იყო იმ დროს ჩვენი სამხედრო მდგომარეობა—ეს ყველასათვის ცნობილია.

ამ რიგად, ზაქათალის ოლქი, 7 მაისის ხელშეკრულებით, იქნა აღიარებული საქართველოს უდაო ნაწილათ. ამან დიდი როლი ითამაშა იმ მხრივაც, რომ ამ ხელშეკრულების შემდეგ, მთელი ოლქის მოხდობილობით თბილისში ჩამოვიდა საგანგებო დელეგაცია, რომელშიდაც შედიოდა ა. კარდაშევი, პ. აბაკაროვი, ისმაილ მამედოვი და ალიბალა ახმედოვი, რომელთაც მიმართეს ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს—ნ. ჟორდანიას, წერილობითი თხოვნით, სადაც სწერდენ: «7 მაი-

სის ხელშეკრულებით მთელი ზაქათალის ოლქი აღიარებულია საქართველოს განუყოფელ ნაწილათ. ამით აღდგენილია უდიდესი ისტორიული მომენტი—შეერთება საერთო ჩვენი სამშობლოსი—საქართველოსთან, ხელოვნურად მოგლეჯილი მისი ნაწილი—ზაქათალის ოლქის. მოგმართავთ თქვენ ბატონო თავმჯდომარეო დაიჭიროთ ქართველი ჯარების შემოყვანა ოლქში მოძმე ხალხის უფლებების დასაცავად» და სხ. და სხ.

ყოველივე ამის შემდეგ გამომდგარან გაბაშვილები და ნაცვლად იმისა, რომ თავის ქვეყნის უფლებები დაიცვან—აჯერებენ ქვეყანას—ოლქი ბოლშევიკებს გადასცესო. აი მათი პატრიოტული მუშაობა!

7 მაისის ხელშეკრულებას გაბაშვილ-ვაჩნაძე უწოდებს «სამარცხვინო ხელშეკრულებას»! იმ ხელშეკრულებას კი, რომელიც ჭავჭავაძე-ავალოვებმა დასდეს რუსეთთან—სთვლიან გენიალურათ და მიუხედავად საუკუნე-ნახევარის გასვლისა—მას ახლაც თავის დროშათ აღიარებენ და რევოლიუციის დროსაც კი მხოლოდ მის განაღდებას მოითხოვდენ. 7 მაისის ხელშეკრულებას კი, რომელმაც ეს რუსეთზე გადაცემული საქართველო დაიბრუნა და კუთვნილებისამებრ ქართველ ხალხს ჩააბარა—«სამარცხვინოთ« აცხადებენ! ასეთია ამ ბატონ-ყმური ფსიქოლოგიის მქონე ხალხის ზნე და გონიერება. ბატონის გაკეთებული ყველაფერი კარგია და მისაღები, არა ბატონის კი ცუდი და უვარგისი. ამიტომ, არ მოსწონს ის გაბაშვილს, მაგრამ ის მოეწონა ქართველ ხალხს. წაიკითხეთ იმ დროის გაზეთები და თქვენ დარწმუნდებით თუ როგორი აღტაცებით შეხვდა ამ ხელშეკრულებას ქართველი ხალხი. სადღესასწაულო დემონსტრაციები, რომელიც მთელი დღე და ღამე გაგრძელდა, აღფრთოვანებული სიტყვები ყველა პარტიის ორატორებისა, ზარბაზნების გრიალი, ქალაქი მთელი ღამე გაჩირაღდნებული და მრავალ-ფეროვანი მაშხალებით დასერილი ცა. ბევრისათვის გრძნობების შეუკავებლობა და ხვევნა-კოცნა. და ეს არა მხოლოდ თბილისში, არამედ ყველა ქალაქებში და სოფლებში.

როგორ დაიფასა ის მთავრობამ? ერთხმად დაადასტურა და მე დეპეშით გამარჯვება მომილოცა. მთავრობის ეს მოლოცვა გაზეთებშიაც იყო დაბეჭდილი.

როგორ დაიფასა ის დამფუძნებელმა კრებამ?

1920 წ. 11 მაისის დამფუძნებელი კრების სხდომაზე ამ ხელშეკრულებაზე შესახებ ვრცელი მოხსენება გაეკეთა საგა-

რეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა: «დღევანდელი დღე—სთქვა მან—ჩვენი ხალხისათვის დიდი დღეა. მას შეუძლია გაიხაროს იმით, რომ ჩვენ შევსძელით ამ არევ-დარევის დროს გამოგვენახა საერთო ენა რუსეთის ხალხთან» და სხ.

აკ. ჩხენკელი: (სოც.-დემოკრატი) «ზავი რუსეთსა და საქართველოს შორის თავისთავად დიდი ისტორიული მოვლენაა. ეს პირველად ხდება მას შემდეგ რაც ჩვენ რუსეთს შეუთანხმდით. ეს პირველი საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტია, რომელიც დაიწერა რუსეთსა და საქართველოს შორის ჩვენი შეერთების შემდეგ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი მომავლისათვის, ისე ჩვენი დამოუკიდებლობისათვის. თუ დღეს ჩვენ ვკრავთ ხელშეკრულებას—ეს არის ჩვენი ხალხის, მისი მთავრობის და მისი დამფუძნებელი კრების პოლიტიკის და ტაქტიკის გამარჯვება», და სხ.

გ. გვაზავა (ეროვ.-დემ.) ულოცავს ქართველ ხალხს საბჭოთა რუსეთთან ზავს და ამბობს: «ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის ჩვენი ეროვნული გამარჯვება. მართალია ბოლშევიკები ევროპის სახელმწიფოების მიერ არ არის ცნობილი, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბოლშევიკები ფლობენ რუსეთს, მაშინ მათ მიერ ჩვენთან დადებული ზავის დიდი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. რუსეთმა იცნო დამოუკიდებლობა იმ საქართველოსი, რომელსაც თვითონ ფლობდა. ამით წინასწარ წყდება სხვა სახელმწიფოების მიერ ჩვენი ქვეყნის იურიდიულად ცნობის საკითხი» და სხ.

ივ. გობეჩია (სოც.-რევოლ.): «ხელშეკრულება რუსეთთან უდიდესი მნიშვნელობის აქტია. ზავი ხელმოწერილია რუსეთის არა რომელიმე ნაწილისაგან, არამედ ერთადერთ მთავრობისაგან, რომელიც აერთიანებს რუსეთს. ახლა რუსეთის პრეტენზიები საქართველოზე სავსებით მოიხსნა და ყველა სხვა ძალების ზრახვებს ნიადაგი დაეკარგა» და სხ.

ყველა ფრაქციების ზემოთ მოკლეთ მოყვანილი სიტყვების შემდეგ დამფუძნებელი კრების სხდომამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: «დამფუძნებელი კრება იწონებს მთავრობის პოლიტიკას, გამოსთქვამს თავის კმაყოფილებას საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადების გამო და იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა განაგრძობს სათანადო ზომების მიღებას დამოუკიდებლობის განსამტკიცებლათ» (იხ. დამფ. კრების, 1920 წ. 11 მაისის სხდომის ანგარიში).

როგორ დააფასა ის გაზეთებმა?

ადგილის სიმცირის გამო მოგვყავს აქ მხოლოდ ერთი, არა ჩვენი პარტიის, გაზეთის აზრი. ესაა სოც.-ფედ. ორგანო «სახალხო საქმე», რომელშიაც დაბეჭდილია ვრცელი მოწინავე სათაურით: «მორიგი გამარჯვება». «ქართველმა ხალხმა —სწერს გაზეთი—ერთ დიდს გამარჯვებას კიდევ მიაღწია: ეს არის ზავი საბჭოთა რუსეთთან. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მრავალი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა ჩვენს ირგვლივ და ჩვენს საგარეო პოლიტიკაში. მაგრამ ცოტა იყო ისეთი, რომელსაც იმ გვარი განუსაზღვრელი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორიც აქვს 7 მაისის, ღამის 12 საათზე დადებულ ხელშეკრულობას. დღეს მიღწეულია უსისხლოთ ის, რასაც მთელი ქართველი ერი ესწრაფოდა. რუსეთთან ზავი და აღიარება საქართველოს დამოუკიდებლობის თავის ბუნებრივ საზღვრებში—ეს არის მორიგი გამარჯვება, რასაც ჩვენ სიამოვნებით ვულოცავთ მთელ ქართველ ერს». შემდეგ გაზეთი ეხება აზერბაიჯანის ჯარების მოქმედებას ჩვენს საზღვრებზე და ათავებს წერილს ასე: «ჩვენ ერთხელ კიდევ ვულოცავთ ქართველ ხალხს მორიგ გამარჯვებას და იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც იგი ასეთივე უვნებელი გამოვა ყოველგვარი განსაცდელისაგან» და სხ.

ამ წერილს თან ერთვის რედაქციისაგან ასეთი დამატება: «როგორც კი შევიტყვეთ რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან ზავის დადების ამბავი, ჩვენმა რედაქციამ კვირას, მაისის 9, საღამოს 7 ნახევარ საათზე, გამოუშვა ქართულ-რუსული დეპეშები, ხოლო ხელშეკრულების ძირითადი პირობების თაობაზე ხელმეორედ დაიბეჭდა მაისის ათს დილის დეპეშები («სახალხო საქმე» № 822, 11 მაისი, 1920 წელი). ამავე ნომერშია დაბეჭდილი მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას მისალოცი დეპეშა, ჩემს სახელზე, გამოგზავნილი მოსკოვში, თუმცა ის ჩემთვის იქ არ გადმოუციათ.

ასე დააფასა ეს ხელშეკრულება ყველა პარტიამ და ყველა გაზეთმა და თუ ახლა ის გაბაშვილის მიერ გამოცხადებულია «სამარცხვინო ხელშეკრულებათ»—ეს აიხსნება არა ხელშეკრულების შინაარსით, არამედ გაბაშვილის მორალური დაკნინებით!

როგორც გაბაშვილი, ისე ვახნაძე, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ გერმანელებზე და მის მისიაზე თბილისში. მაგრამ კრინტსაც არ ძრავენ იმ გაზეთზე, რომელიც გამოდიოდა იმ დროს თბილისში გერმანულ ენაზე სათაურით: «Kaukas'she

Poci» და რომელთანაც ძალიან ახლო კავშირი ჰქონდათ გაბაშვილ-ვაჩნაძის ახლო მეგობრებს. ეს გაზეთი ძალიან ხშირად იცავდა ისეთ აზრებს, როგორსაც გაბაშვილი და მისიანები იცავდენ. მაგრამ იცავდა ისე ხეპრეთ, რომ ერთხელ «ეროვნულ საბჭოში» შეკითხვაც იყო შემოტანილი მთავრობისადმი—თუ რატომ აძლევს ამ გაზეთს ნებას ასეთი წერილების ბეჭდვისას. სანიმუშოთ მოვიყვან ერთ ამ:ნაწერს; «საქართველოს შინაური მდგომარეობა—სწერდა ეს გაზეთი—თანდათან უარესდება. ეს არის უდაო ფაქტი, მაგრამ ის ვერ პოულობს გამოძახილს იმათში, ვინც სდგას ახლა სახელმწიფოს სათავეში»..... «საქართველო ახლა საჭიროებს სამშობლოს ნამდვილ შვილებს, მხოლოდ იმათ შეუძლიათ ახლა იხსნან ქვეყანა» და სხ.

გაზეთი არ ასახელებს თუ ვინაა ეს «ნამდვილი შვილები», რომლებიც თურმე შესძლებდენ «ქვეყნის ხსნას». მაგრამ ადვილი მისახვედრია თუ ვის გულისხმობდა გერმანული გაზეთი და ვისი ინსპირაცია იქნებოდა გაზეთის ასეთი აზრი. გაბაშვილი უთუოდ კარგად იცნობდა იმ პირებს თუ ჯგუფს, რომელიც ამ გაზეთის ხელმძღვანელებთან ძალიან ახლო კავშირში იყვენ. მას უთუოთ ისიც ეცოდინება თუ ვისი რჩევით მიმართა გორის თავად-აზნაურობამ გერმანელ გენერლებს საჩივრით საქართველოს მთავრობაზე და მის აგრარულ რეფორმაზე, რომელსაც ახასიათებდენ როგორც «მემამულების გაძარცვას» და ითხოვდენ არა მხოლოდ ჩამორთმეული მიწების დაბრუნებას, არამედ გადახდევინებას გლეხებისათვის გასული წლების მიწის ღალისაც? ამის გამო დაჭერილიც იყო რამდენიმე თავადი გორიდგან. თუ ეს არ იცის, ის მაინც ეცოდინება თუ რატომ იყო ის თვითონ დაჭერილი? ხომ ჰქონია მის დაჭერას რაიმე კავშირი ამ მემამულეების საჩივართან? კარგი პატრიოტობა კია—უჩივლო შენი ქვეყნის მთავრობას და შენს მეზობელ გლეხებს უცხო ქვეყნის გენერლებთან.

საერთოდ, გაბაშვილი და ვაჩნაძე ისე ლაპარაკობენ გერმანელებზე თითქოს ისინი მათთან სტუმრათ მოვიდენ! საინტერესო კია ვიცოდეთ რა უფლებით და რა დამსახურებით ხსნიან ისინი გერმანელებთან ასე ახლო ურთიერთობას?!

თავის წიგნაკში დ. ვაჩნაძე ძალიან წინდაუხედავათ ლაპარაკობს იმ არალეგალური მუშაობის შესახებ, რომელიც წინ უძღოდა აგვისტოს აჯანყებას. ჩვენის ღრმა რწმენით აჯანყების ბევრ მხარეებზე საჯაროთ წერა და ლაპარაკი ჯერ კი-

დევ ნაადრევია. დადგება დრო და შესაძლებელი გახდება მი-
სი ყოველმხრივი შესწავლა. აგვისტოს აჯანყება—ეს ისეთი
დრამატიული აქტია ერის ცხოვრებაში, რომ მისი გვერდის
ავლა არ შეეძლება არც ერთ ისტორიკოსს. სხვა რომ არა
იყოს რა, დაღვრილი სისხლი, მსხვერპლთა ხსოვნის პატივის-
ცემა და ელემენტარული სიყვარული სამშობლო ქვეყნის ის-
ტორიისადმი—გვიკარნახებს და გვავალებს ის არ იქნეს გამო-
ყენებული პარტიული და ჯგუფურ-ეგოისტური თავმოყვა-
რეობისათვის. ამიტომ ყოველივე ის, რაც ამ აქტს შეეხება,
უნდა იქნეს მრავალჯერ აწონილ-გაზომილი და მერე გამო-
ქვეყნებული.

მე არ ვარ აჯანყების მონაწილე. მე იმ დროს უცხოეთში
ვიყავი, ამიტომ არ შემიძლია ვილაპარაკო საერთოდ ამბავთა
და მოვლენათა მსვლელობის შესახებ. მე ვიცნობ მხოლოდ
ნაწილობრივ მის წინასწარ მუშაობას, სანამ იქ ვიყავი და წა-
მიკითხავს ისიც რაც სხვებს დაუწერია ამის შესახებ, ჩემის
აზრით, მეტად აჩქარებულათ; დაბეჭდილია აგრეთვე სტენო-
გრაფიული ანგარიში «დამკომის» პროცესის, სადაც აჯან-
ყების ყველა ხელმძღვანელი სრულიად ღიად, თავისთავის
დაუზოგავად გადმოგვცემენ აჯანყების და მისი ხელმძღვა
ნელების ისტორიას. ეს არის ყველაზე უძვირფასესი და ერთ-
ად-ერთი ისტორიული მასალა აჯანყების ისტორიისათვის.
და რადგან ყოველივე ეს გამოქვეყნებულია—საკმისადმი უზ-
იანოთ შეგვიძლია ზოგი რამის შესახებ ჩვენი აზრიც გამო
ვსთქვათ. მით უმეტეს, რომ ვაჩნაძე ისე ასწერს ზოგიერთ მო-
მხდარ ამბებს და ისეთ გაშუქებას აძლევს მათ, რომელიც
სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. ამ საკითხთან დაკავ-
შირებულია ერთი, ასე ვთქვათ, პიროვნული საკითხი, რომ-
ლის შესახებ ცოტა რამის ფქმა უთუოდ საჭიროა. ეს პიროვ-
ნებაა კ. ჩოლოყაშვილი.

როგორც გაბაშვილი და წინეთ შ. ამირეჯიბი, ისე ახლა
დ. ვაჩნაძე, თავის წიგნაკში არწმუნებენ ყველას, რომ ჩოლო-
ყაშვილის სოც.-დემოკრატები მტრობდენ, ეწინააღმდეგებო-
დენ, ხელს უშლიდენ და სხ. «ჩოლოყაშვილის მეთაურობით
დაწყებულ ანტიბოლშევიკურ აჯანყებას, მენშევიკური პარ-
ტიის ცეკას უმრავლესობა მეტად მტრულად დახვდა და თა-
ვის აგენტებით ცდილობდა მის შეჩერებას და მოშლას»-ო,
სწერს ის (გვ. 91).

საკვირველია. კაცს ეროვნულ გმირად აცხადებენ და
ამავე დროს არწმუნებენ ყველას, რომ ნახევარი საქართველო,

თუ მეტი არა, თურმე მისი მტერი ყოფილა! რომც ყოფილიყო ასეთი რამ—მაშინაც არ უნდა სთქვან და არ დაადასტურონ ეს! მაგრამ, ასეთი რამ არც ყოფილა და საქართველოს იმ დროინდელ პირობებში არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს ემიგრაციაშია ერთი-მეორის ჭამა და ღეჭა, თორემ იქ. საქართველოში, მებრძოლ ძალთა შორის არავითარი პარტიული ქიშპობა და გათიშვა არ ყოფილა. საერთო გაჭირვებამ და უბედურებამ ყველა გააერთიანა, ყველას მხოლოდ საერთო მტერი ახსოვდა და ყველას შეგნება იყო—«ერთ ულელში ვართ ლაბავ მე და შენ»!

ჩოლოყაშვილი რომ ცოცხალი იყოს—ის, უეჭველად, ღირსეულ პასუხს გასცემდა ამ არამკითხე ჭირისუფლებს, რადგან, მან, თვითონ, ყველაზე უკეთ იცოდა თუ რა ურთიერთობა იყო მასსა და სოც.-დემოკრატებს შორის, რის შესახებ ერთ დროს შესაძლებელი გახდება დაწერილებით ლაპარაკი. ისიც კი შეთხზეს—თითქოს ჩვენმა პარტიამ მის წინააღმდეგ ფურცელიც გამოსცა, რაც, რასაკვირველია, ხალასი სიცრუეა!

აღსანიშნავია, რომ თვითონ ჩოლოყაშვილს იქ არას დროს არ მოსვლია აზრათ ემოქმედა პარტიებთან შეუთანხმებლათ. სანიმუშოთ მოვიყვან ერთ შემთხვევას.

თელავიდგან თბილისში ჩამოვიდა სოც.-ფედერალისტების წარმომადგენელი, საპატიო მოხუცი, რომელმაც ჩამოიტანა შემდეგი ამბავი: გუშინ მე მთხოვა ქ. ჩოლოყაშვილმა მივსულიყავი მასთან დანიშნულ ადგილას. წავედი მაშინვე. როცა შევხვდი—გადმომცა რომ მან მიიღო თბილისიდგან წერილი, რითაც ატყობინებენ, რომ დადგა დრო გამოსვლების და მოემზადოს. მთხოვა მომემზადებია ჩვენი რაზმი და ესევე მეცნობებია საჩქაროთ სოც.-დემოკრატებისათვის. მე ამან ძალიან გამაკვირვა და უთხარი, რომ ჩვენი ხელმძღვანელობისაგან არაფერი საამისო არ მოგვსვლია, არ მოსვლია არც სოც.-დემ., რომლის წარმომადგენელს დღეს ორჯერ შევხვდი და რომ ჰქონოდა რაიმე ცნობა უთუოდ მეტყოდა-თქო. ჩოლოყაშვილი ამან დაფიქრა და მითხრა—როგორ? აბა ეს ცნობა ტყუილიაო? მე ეკითხე თუ ვისგან მიიღო ეს ცნობა. მან წაიკითხა წერილი, რომელიც დაწერილი იყო ეროვ.-დემოკრატების პარტიის ცეკას ბლანკზე, დასმული ჰქონდა მათივე ცეკას პარტიული ბეჭედი და ხელს აწერდა ალ. ასათიანი, როგორც თავმჯდომარის მოადგილე და მეისაფეშვილი, როგორც მდივანი. მიუხედავად ამისა, მე მაინც კათეგორიულად

განუცხადე, რომ სანამ ჩვენც არ მოგვივა ცნობა თბილისიდ-
გან—მე არ შემიძლია რაზმი გამოვიყვანო, აქ რაღაც დიდი
გაუგებრობაა, ამიტომ მე წავალ თბილისში და გამოვარკვევ
ყოველივეს მეთქი. ჩოლოყაშვილმა მთხოვა წამოვსულიყავი
დღესვე და აი კიდევაც ჩამოვედი გავიგო თუ რაშია საქმე.
აქ მას უთხრეს, რომ ამის შესახებ არაფერი იციან და არც
ასეთი რამ დაუდგენიათ და სთხოვეს მას საჩქაროთ გაბრუნე-
ბულიყო და გაეფრთხილებია ჩოლოყაშვილი. ის გაბრუნდა
იმ დღესვე, გააფრთხილა ჩოლოყაშვილი და არც რაიმე გამო-
სვლას ჰქონია ადგილი.

ამ ცნობამ თბილისში დიდათ შეუწყო ხელი იმის გამო-
რკვევას, რომ მეისაფეშვილი ერთდაიმავე დროს იყო ეროვ.-
დემოკ. ცეკას მდივანი და ჩეკას თანამშრომელიც და იქვი
არაა,—ასეთი წერილის მიწერა ნაკარნახევი იყო ჩეკას მიერ,
რომელიც მოუთმენლად ელოდა, რომ სადმე გამოსვლას ჰქო-
ნოდა ადგილი, თუ გინდ პროვოკაციული საშვალებით. მეი-
საფეშვილი შემდეგ მოჰკლეს, როცა სხვა წყაროებიდანაც
დამტკიცდა, რომ ის უკვე ჩეკას ნამდვილი აგენტი გამხდარი-
ყო, ჩოლოყაშვილიც გადარჩა პროვოკაციულ გამოსვლას.
სხვა რომ არა ყოფილიყო-რა—მარტო ეს შემთხვევა საკმარი-
სი იყო, რომ ჩოლოყაშვილს პარტიების გარეშე რაიმე ნაბი-
ჯი არ გადაედგა.

არალეგალურ მუშაობას ის დიდი ნაკლი აქვს, რომ ამა
თუ იმ უჯრედში აქტიური მომუშავე გაცნობილია საფუძვ-
ლიანად მხოლოდ თავის უჯრედის და მის ირგვლივ წარ-
მოებულ მუშაობას და პირობებს. საერთო პირობებს და სა-
ერთო მუშაობას ის იცნობს მხოლოდ ზოგადათ. ამიტომ
საერთო ამბების შესახებ გადმოცემა ყოველთვის უფრო
ახლოა სინამდვილესთან, როცა ის გამომდინარეობს თვით
ამ საერთო ხელმძღვანელებისაგან, ვინემ რომელიმე უჯ-
რედის თუ გინდ დიდი მომქმედი პირისგან. ასეთი საერ-
თო სინამდვილე ჩვენ გვაქვს დღემდე «დამკოშის» წევრე-
ბის პროცესის სტენოგრაფიული ანგარიში. სხვა ყველა გა-
მოცემანი და მოთხრობანი საჭიროებს დიდ შემოწმებას
რომ ისტორიულ დოკუმენტად ჩაითვალოს. ამის საუკეთესო
მაგალითია დ. ვაჩნაძის მოთხრობა დუშეთში ჩოლოყაშვი-
ლის გამოსვლის შესახებ. ის რასაც ვაჩნაძე სწერს ამის შესა-
ხებ სრულიად არ გამოხატავს იმას, რაც მოხდა. მოხდა კი
შემდეგი: 1922 წ. ზაფხულზე, სოფელ მუხრანში თავს დაესხენ
ერთ შეიარაღებულ ჯგუფს, რომელსაც მეთაურობდა ოფი-

ცერი გვერდწითელი. ასეთი შეიარაღებული რაზმები იმ დროს ბევრ ადგილას აფარებდა თავს და ეს არც ისე ძნელი იყო, სანამ არ შეაიარაღეს სოფლად ადგილობრივი კომუნისტები. ეს სოფლის შეიარაღებული კომუნისტები კი სდევნიდენ ყველა არალეგალურებს და სადაც შეამჩნევდენ ესხმოდენ თავს. ერთი ასეთი თავდასხმათაგანი იყო სოფ. მუხრანის თავდასხმაც. გვერდწითელის რაზმმა ადგილობრივი თავდამსხმელები ადვილად მოიგერია, მაგრამ იმათ წამოეშველენ სხვა სოფლის კომუნისტები და თბილისიდგან კიდევ დაიძრა მთელი რაზმი ზარბაზნებით. გვერდწითელის მდგომარეობა საბედისწერო იქნებოდა, რომ მას არ წამოშველებოდა ჩოლოყაშვილი. ამათ გაარღვიეს რკალი, რომელიც შემორტყმული ჰქონდა სოფლის კომუნისტებისაგან, გაანთავისუფლეს გვერწითელის რაზმი და მათთან ერთად გაეშურენ დუშეთისაკენ, განაიარაღეს აქ ადგილობრივი კომუნისტები, გაანთავისუფლეს დაჭერილი პოლიტიკურები და აქედან გადავიდენ ხევსურეთში. შემდეგ აქაც მოუხდათ შეტაკება, მაგრამ ეს უკვე სხვა ხასიათის შეტაკება იყო და ამას აქ არ ვეხები.

ამ რიგად, ვაჩნაძის მოთხრობა თითქოს დუშეთის გამოსვლა მომხდარიყოს რაღაც წინასწარი შემუშავებული გეგმის თანახმად და ისიც პარტიების სურვილის წინააღმდეგ—მოკლებულია ყოველივე სიმართლეს და თუ მ. ლაშქარაშვილი, რომელიც თურმე დუშეთისაკენ მიიჩქაროდა გზაში გააფრთხილეს და უკან დაბრუნება ურჩიეს, როგორც ვაჩნაძე სწერს —სრულიად არაა გასაკვირი. იმ დროს არამც თუ ჩვენი პარტია—საერთოდ ყველა პარტიის პასუხისმგებელი პირები სასტიკი წინააღმდეგი იყვენ ყოველგვარი პარტიზანული გამოსვლა-მოქმედების. ამ დროს დევნილთა პატარ-პატარა რაზმებით საქართველო მოფენილი იყო. საოკუპაციო ხელისუფლებამ ყველა ეს რაზმები გამოაცხადა ბანდიტებად. ხოლო მათი მახლობლები ბანდიტების ხელის შემწყობად და დამხმარედ. ამ ნიადაგზე ატუსაღებდენ ბრალიანს და უბრალოს და საშინლად აწამებდენ. აქა-იქ, პროვოკაციული მიზნით, თვითონაც ქმნიდენ პატარ-პატარა რაზმებს და ასეთ რაზმებს თუ პირებს შეაპარებდენ ხოლმე ნამდვილ დევნილთა რაზმებში. სავალალოდ, გაუფრთხილებლობის გამო, ამ ნიადაგზე აქა-იქ მეტად სამწუხარო შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როგორც ეს იყო მაგ. გორის მაზრაში (მაისურაძის შემთხვევა), სადაც ათეულებით ჩავარდენ და თითქმის ყველამ საშინელ წამებაში დალია სული.

ასეთმა პროვოკაციებმა მორიგ საკითხათ გახადა დევნილთა რაზმების თუ საერთოდ მიმალვა არა—შემცირება მაინც. მაგრამ ასეთი რამის ცხოვრებაში გატარება მეტად ძნელი გახდა და ამ ნიადაგზე მუშაობამ ბევრი თავდადებული მებრძოლი შეიწირა. ის ჯოჯოხეთური პირობები, რომელიც შექმნა ხიშტით შემოჭრილმა მოსკოვმა—ხალხში იარაღით ბრძოლის სულისკვეთებას ადვილად ბადებდა და აძლიერებდა. ამით დაუზოგველად სარგებლობდენ ოკუპანტები თავის სისხლიანი რეპრესიების საწარმოებლად და ხალხის საუკეთესო შვილების ამოსაყლეტად. ასეთ პირობებში ხალხის ხელმძღვანელთა ღვთაებრივი მოვალეობა იყო განსაკუთრებული სიფრთხილით ემოქმედათ, ხალხისთვის შექმნილი პირობები და ძალთა განწყობილება გაეთვალისწინებიათ და დამარცხებისათვის განწირული გამოსვლები აეშორებიათ. სხვანაირი მოქმედება საბედისწერო იქნებოდა ქართველი ხალხისათვის, რადგან მის წინააღმდეგ იდგა მთელ რუსეთზე გაბატონებული მილიტარული დესპოტია. ასეთი სიფრთხილე და თავდაჭერილობა, ვიმეორებ, აუცილებელი იყო, რადგან ორჯონიკიძე და ჰეკერი სწორედ იმას უცდიდენ და ნატრობდენ რომ მისცემოდათ საბაბი «ცეცხლითა და მახვილით» გაეელოთ საქართველოს სოფელ-ქალაქებში და როცა ამის საბაბს არც ხალხი აძლევდა და არც პარტიები—თვითონ აწყობდენ პროვოკაციებს, როგორც იყო ქუთაისში ს. გეგეჭკორისათვის ბომბის სროლა, რომელიც თვითონ მოაწყვეს. ერთი სიტყვით, პარტიების უმთავრესი ცდა იმ დროს იმაში იყო, რომ ხალხს გამოეჩინა მაქსიმალური სიფრთხილე და თავდაჭერილობა თავის ფიზიკური არსებობის გადასარჩენად. ეს არ იყო ადვილი საქმე, რადგან ხელისუფლება ყველაფერს შვრებოდა იმისთვის, რომ ხალხი მოთმინებიდან გამოეყვანა და როცა აქა-იქ გამოსვლები იჩენდა თავს—პარტიები ყოველ ზომებს იღებდენ, რომ ის არ გაფართოებულიყო და მით ხალხი უდროვო გამოსვლებში ჩათრეული არ ყოფილიყო, რაც მას მეტად ძვირად დაუჯდებოდა.

ამ სიფრთხილეს და წინდახედულობას დ. ვაჩნაძე თავის წიგნაკში ხსნის ასე: «საერთოდ მენშევიკების ფართე ფენებს მოედო დიდი დაბნევა, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ფაქტიურად ნეიტრალიზაციის სფეროში მოექცა, მცირე რიცხოვანი ქართველი სოც.-რევოლიუციონერების პარტია ხომ სრულიად გაქრა. ამ რიგად ბოლშევიკების პირველ წელს ქართული სოციალისტური მოქმედება მიმქრალად, ან სრუ-

ლიად გამქრალად ითვლებოდა» და ბოლოს უმატებს: «შინაური ბრძოლის ფრონტზე, მის პირისპირ მთლიანად შეურიგებელ მოწინააღმდეგეთ დარჩა ქართველი ერის მედროშე და მოწინავე მებრძოლი ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია» და სხ. (გვ. 76-77).

პირველ ყოვლისა—რა უფლებით ეძახის თავის ჯგუფს ვაჩნაძე-გაბაშვილები ილია ჭავჭავაძის პარტიას? რა აქვთ ამათ საერთო ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობასთან, რომ მის შემკვიდრეთ ასაღებენ თავის თავს?! ჩვენ ეს ხშირად გვსმენია მათგან, მაგრამ ყურადღება არ მიგვიქცევია, რადგან კარგად გვახსოვს გოგოლის ის პერსონაჟი, რომელიც არწმუნებდა გამვლელ-გამომვლელთ: ისპანიაში დაიბადა მეფე და ეს მეფე მე ვარო. მაგრამ არავინ უჯეროდა, რადგან ყველამ იცოდა, რომ ის იყო «მკვდარი სულებიდან». სწორედ ასეა ვაჩნაძე-გაბაშვილის საქმე. რადგან საკუთარი არაფერი აქვთ სათქმელი—ეფარებიან დიდი მიცვალებულების საფლავს და იქიდან გვესვრიან კენჭებს. მაგრამ ტყუილად იწუხებენ თავს. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამსახურება ჩვენი ხალხის წინაშე ისე მტკიცეთაა აღბეჭდილი საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, რომ მისი წაშლა ყველა ჯურის ვაჩნაძე გაბაშვილების ცდას აღემატება.

ჩვენ არ მივსცემთ თავისთავს ნებას ვილაპარაკოთ ღღევანდელ პირობებში იმაზე. თუ ვინ როგორ შეხვდა «ბოლშევიკების პირველ წელიწადს», ვინ სად მოიკალათა და ვისი ჭკუა-გონება რა იდეებმა მოიცვა. ეს არ შეეფერება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, მაგრამ თუ არ დაიშლიან და იძულებულს გაგვხდიან—აღარც ამას დავერიდებით და თუ ჩვენი მოწინააღმდეგენი აქაც იარაღ აყრილნი დაბრუნდენ სახლში—თავს დაგაბრალონ. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო—ნათქვამია.

ვ. ვაჩნაძე ასახელებს ეროვ.-დემოკ. პარტიის ცენტ. კომიტეტის ერთ საიდუმლო კრებას, ჩამოთვლის ყველა იქ დამსწრეთ და მოჰყავს მათი სიტყვებით. ეს კრება მრავალმხრივ არის საინტერესო. პირველ ყოვლისა გასარკვევია—მართლა ეროვ.-დემ. პარტიის ცეკას კრება იყო ეს? და თუ იყო,—რატომ მას არ ესწრება არც ერთი ლიდერი ამ პარტიის, თუმცა მათი დიდი უმეტესობა იმ დროს ჯერ კიდევ იქ იყვენ? როგორ მოხვდა თვითონ ვაჩნაძე ამ კრებაზე? ის ხომ დიდი ხანია გავიდა ამ პარტიიდან და გაბაშვილ-ვეშაპელთან თავის საკუ-

თარი პარტია შექმნეს და თავის საკუთარი გაზეთიც გაიჩინეს, საიდანაც დაუზოგველად ამტვრევდენ თავზე კაკალს თავის ყოფილ პარტიის ხელმძღვანელობას? აქვს თუ არა წაკითხული დ. ვაჩნაძეს მისი თავმჯდომარის გრ. ვეშაპელის წერილი «ახალი საქართველო»-ში (№ 3) ეროვ. დემ. პარტიის შესახებ? ჩვენ ვსვამთ ამ კითხვებს, მაგრამ არ ვუპასუხებთ, რადგან მთავარი მოპასუხე ამ შემთხვევაში არის თვით ეროვ.-დემოკ. პარტიის მემკვიდრენი აქ, ემიგრაციაში და თუ ისინი სიჩუმით ჩაატარებენ ყოველივე იმას, რასაც მათი პარტიის ადრესზე სწერენ ვაჩნაძე-გაბაშვილი—ეს სიჩუმე ჩათვლილი იქნება მათ თანხმობათ. თუ სხვებზე არა—ერთზე მაინც უნდა დასძრახ ენა: ვაჩნაძე შავი ასოებით აღნიშნავს, რომ «ეროვ.-დემოკრ. პარტია წინააღმდეგი იყო საერთო აჯანყებისა» ო. დღემდის ყველას გვეგონა, რომ ეს პარტია მომხრე იყო საერთო აჯანყების, იღებდა აქტიურ მონაწილეობას მის მომზადებაში, იყვენ «დამკომის» წევრათ, იყვენ დაპერილები, გასამართლებულნი და დასჯილნი. ახლა გამოდის ვაჩნაძე და ამტკიცებს, რომ «ეროვ.-დემ. პარტია საერთო აჯანყების წინააღმდეგი იყოო»! თუ ეს მართალია—რატომ იღებდენ მაშინ მონაწილეობას «დამკომ»-ში? არც ამის განმარტებას მისცემენ საზოგადოებას? დაუცადოთ და შემდეგ გავაკეთოთ სათანადო დასკვნა.

გაბაშვილმა გამოიგონა ისიც თითქოს ჩემს წიგნში იყოს, რომ «საქართველოს არას დროს თავის პური არ ყოფნიდა» ო. ამ ფრაზას, შავი ასოებით აწყობილს, ის სვამს ფრჩხილებში და შემდეგ დიდი რიხით მას «შედეგებით მძიმე ტყუილათ» აცხადებს (გვ. 29). თვითონ გამოიგონა, მომაწერა მე და ახლა მევე მითვლის «მძიმე დანაშაულათ»! მოდი და ეკამათე ასეთ «პადლოგისტს»!

ვაცხადებ კათეგორიულად რომ ასეთი რამ არც დამიწერია, არც მითქვამს და არის ეს ჩემს წიგნში. მე ვსწერ არა საქართველოზე, არამედ ამიერ-კავკასიაზე. ის კი მომდგარა და ითვლის და ანგარიშობს თუ რამდენი პური მოჰყავდა ძველად «ჩემს სამშობლო გურიას» (რატომ «ჩემს სამშობლოს» და არა მისასაც ნეტავი?). სამეგრელოს ჯერ კიდევ თურმე მე-18 საუკუნეში იმდენი ბრინჯი მოყავდა, რომ არამც თუ «ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა—კონსტანტინეპოლის ბაზარზედაც კი ეაჰქონდა გემებით, როგორც სავალიუტო საქონელი» (გვ. 29). ისიც კი დაუთვლია თუ რამდენი კვერცხი გაქონდათ, რამდენ ფუთს სიმინდს ჰყიდდენ და სხ. ერ-

თი სიტყვით აწუხებს მკვდარს და ცოცხალს, აწვალებს მეფეების და მერმინდელი დროის სტატისტიკას, რომ უარჰყოს ვითომდა ჩემი დაწერილი—«საქართველოს თავის პური არას დროს არ ყოფნიდაო», რომელიც, ვიმეორებ, არც მითქვია და არც დამიწერია.

მე დავსწერე, რომ თავის პური არ ყოფნიდა ამიერ-კავკასიას-თქო და რომ ეს ასეა საკმარისია წაიკითხოთ თუ გიხდ პროფ. გუგუშვილის შრომა: «მარცელეული მეურნეობა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში», სადაც სარწმუნო წყაროდან მოყვანილია შემდეგი ცნობები: პირველი მსოფლიო ომის წინ ამიერ კავკასიაში, ყოველწლიურად შემოქონდათ 23-24 მილიონი ფუთი. უკანასკნელი მსოფლიო ომის წინ მთელ ამიერ კავკასიაში მოჰყავდათ 85 მილ. ფუთი პური. დეფიციტი შეადგენდა—16 მილ. ფუთს (საქართველოში—4 მილ., სომხეთში—2 მილ., აზერბაიდჟანში—10 მილ. (გვ. 34) და სხ. კიდევ უფრო უარესი იყო მდგომარეობა, რასაკვირველია, თვით ომების დროს, როცა ჯანსაღი მუშა ხელის ჯარში გაყვანით დათესილი ფართობიც შემცირდა და შრომის ნაყოფიერებაც კატასტროფიულად დაეცა, რის გამო პურის დანაკლისმა საშიში ხასიათი მიიღო, და ეს მომყავს მე როგორც დამახასიათებელი იმ ეპოქის, რომელსაც ჩემი წიგნი ეხება და არა საერთოდ იმის თუ სად და როდის რამდენი პური მოჰყავდათ!

ასეთი ტყუილებით სავსეა გაბაშვილ-ვაჩნაძის წიგნაკები. მაგრამ ყველას გასწორება მეტად ძნელია, რადგან წერილი ისედაც ძალიან გაგვიგრძელდა და დროა დავათავოთ და გვინდა დავათავოთ ის ნოე ყორდანიას ერთი წერილის შემდეგი ადგილით: «დღევანდელ უმაგალითო მსოფლიო ქარტეხილში, განსაკუთრებით საბედისწეროა პატარა ერის მდგომარეობა. ის მიშკებულია ალალბედზე. არავინ იცის ვინ როდის და სად გადააჯირგალებს. ამ მხრით ყველაზე უფრო სახიფათო პირობებშია დღეს ჩავარდნილი ქართველობა, დასახლებული დიდ შარა-გზაზე. რომლის თავი და ბოლო უპყრია ორ მოპირდაპირე საომარ ბანაკს, მზათ ჩვენს ტერიტორიაზე დაეტაკონ და ერთმანეთს ანგარიში გაუსწორონ. კავკასიის გეოგრაფიული მდგომარეობა მას ხდის ორი ქვეყნის--ევროპის და აზიის შუღლის საგნად, რაიცა დღეს გამწვავებულია იმ დენად, რომ ჩვენს ქვეყანას საშიშროება კარს ადგია. ამიტომ მუდმივ საფიქრებელი და თავსამტვრევია საკითხი—თუ რა საშვალებით გადაურჩება ქართველი ერი მსოფლიო ძალების სამკვდრო სასიცოცხლო დაჯახებას» და სხ.

აი ყველა ჭეშმარიტი პატრიოტისათვის მართლაც და მუდმივი საფიქრებელი და თავსამტვრევი საკითხი და ოროცა, ნაცვლად ამისა, გაბაშვილ-ვაჩნაძეები მთელ თავის ძალას იმას ახმარებენ, რომ დაარღვიონ და დაასუსტონ ის პატარა წრე, რომელიც სწორედ ამ მუდმივ თავსამტვრევ საკითხზე ფიქრობს და შეძლებისდაგვარად იღწვის—მრდი და ნუ გაიმეორებ რუსთველის სიტყვებს:

ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს
მოყვარესა—მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს...

ამ წიგნის დაბეჭდვა ძალიან ცაგვიანდა
ტექნიკური მიზეზების გამო.

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.